ᲙᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ-ᲒᲛᲘᲠᲘ

PRIME Time

N30 (280) ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 2014 Წ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲚᲐᲠᲘ www.ptpress.ge

ᲠᲐ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲓᲒᲐᲡ ᲫᲔᲑᲜᲘᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ

EXCLUSIVE

ᲠᲐ ᲓᲐᲣᲯᲓᲐ ᲙᲣᲓ-Ს ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ?

EXCLUSIVE

ᲠᲝᲛᲔᲚ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲡ ᲣᲮᲓᲘᲓᲐ ᲤᲣᲚᲡ ᲔᲠᲗᲯᲔᲠ ᲙᲝᲓᲣᲐ ᲓᲣᲛᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ

EXCLUSIVE

ᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ

26 ᲛᲐᲘᲡᲘ - ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ ᲗᲣ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ

EXCLUSIVE

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲑᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲣᲛᲫᲘᲛᲓᲔᲡ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐ: „ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲝᲡ“

EXCLUSIVE

ᲡᲐᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲮᲣᲗ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ RIXOS ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ

EXCLUSIVE

ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘ - ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 7 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲔᲡ ᲨᲝᲙᲘ ᲘᲧᲝ“

„ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ, ᲐᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲩᲐᲕᲗᲕᲐᲚᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲪᲣᲓᲔᲑᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲓᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲛᲐᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲡ ᲓᲐᲕᲣᲜᲓᲠᲔᲕᲗ, ᲕᲘᲦᲐᲪᲔᲑᲡ ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑᲗ, ᲐᲛᲐᲗ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲓᲐᲕᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲗ, ᲘᲛᲐᲗ 1 ᲚᲐᲠᲐᲓ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲕᲐᲩᲣᲥᲔᲑᲗ...“

ᲠᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲓᲐᲜᲐᲛᲐᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ

ᲘᲦᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠ ᲨᲔᲓᲔᲒᲖᲔ?

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲐᲚᲡ ᲒᲘᲒᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ ᲬᲐᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ?

EXCLUSIVE

ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐ: „ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲔᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ? ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲝᲓᲐ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘ?“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

რა ნიშნით ხდება ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდადებულ პატიმართა შეწყალება

იღებს თუ არა პრეზიდენტი პასუხისმგებლობას შესაძლო ნეგატიურ შედეგზე?





თამარ გორთამაშვილი

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რამდენიმე დღის წინ 280 პატიმარი შეიწყალა. 280 შეწყალებულიდან, 8 ქალი და 10 არასრულწლოვანია.

ისევე როგორც წინა შემთხვევაში, საზოგადოებისთვის ამჯერადაც უცნობია, რა კრიტერიუმით მოხდა შეწყალებულთა შერჩევა... მათი უმრავლესობა 280-დან 181 ხომ ნარკოდანაშაულზე იყო მსჯავრდებული... ბევრი კითხვა ჩნდება, მით უმეტეს ამ ფონზე, როცა ნარკომანია ასე გავრცელებულია საქართველოში... უდავოა, რომ ეს ფაქტი კარგის მომტანი ნამდვილად ვერ იქნება...

საინტერესოა კიდევ ერთი რამ, როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის ახალი თავმჯდომარე სულ რაღაც ერთი თვის წინ წარადგინა... ამიტომ გაუგებარია, როგორ მოასწრო ზვიად ქორიძემ, ამ ვადაში, ამ მოცულობის საქმეების ბოლომდე შესწავლა, გადაწყვეტილების მისაღებად... ისმის კითხვა, ხომ არ არის ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება და გააზრებული აქვს თუ არა მარგველაშვილს პასუხისმგებლობა შედეგზე... ფაქტია, რომ ერთი საქმიდან გამორჩენილი ერთი დეტალიც კი, შესაძლოა, სერიოზულ საფრთხეს შეიცავდეს საზოგადოებისთვის... უცნაურია, რატომ ეკიდება პრეზიდენტი ამ თემას ასე ზერელედ, რადგან მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგზე პასუხისმგებელობა, სწორედ მას დაეკისრება.

რა ხდება შეწყალების კომისიაში, რატომ უშვებენ ციხიდან ძირითადად ნარკოდანაშაულსა და სხვა მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პირებს?! - საზოგადოებას ეს კითხვა დიდი ხანია აწუხებს...

მაგალითად, თბილისის ფორუმზე ასეთი გამოკითხვა მიმდინარეობს.

რას იტყვით?

1. გააგრძელოს პრეზიდენტმა პატიმრების შეწყალება უფრო მეტად ვიდრე აქამდე და გამოუშვას უფრო მეტი პატიმარი - 11.11%

2. სასწრაფოდ შეწყვიტოს შეწყალებები, აივსო რეციდივისტებით ისევ ქვეყანა - 14.53%

3. ამინისტია და შეწყალება მხოლოდ არაძალადობრივ დანაშაულზე (კორუფცია, ქრთამი ა.შ.) - 74.36%

აი, ასეთია ფორუმელთა განწყობა, რომელიც, დამეთანხმებით, შორს არაა ამ თემისადმი საზოგადოების დამოკიდებულებისაგან.

პრეზიდენტის მიერ ბოლო შეწყალების აქტს სოციალურ ქსელში ხმაური ერთი კონკრეტული საქმითაც მოჰყვა. მეუღლის მკვლელობისთვის მსჯავრდებული, შექსპირის ჯულიეტას როლის შემსრულებელი, ელენე ჯავახია, რომელმაც დანაშაული 15 წლის ასაკში ჩაიდინა, 4 წლის შემდეგ რობერტ სტურუასთვის მიძღვნილი პერფორმანსის შემდეგ, პირდაპირ ღონისძიებიდან გაათავისუფლეს. ელენეს გათავისუფლებას სოცქსელებში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. დიდი ნაწილი ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა, რადგან საქმე განზრახ მკვლელობასთან გვაქვს.

საქმის მასალების მიხედვით: ჯავახიამ და კახა ვ.-მ ერთმანეთი „სკაიპით“ გაიცნეს და არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ერთთვიანი თანაცხოვრების შემდეგ კი, 2010 წლის 29 სექტემბერს, მათ ოჯახში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ჯავახიას განმარტებით, მათ შორის კონფლიქტი არაერთხელ წარმოიშვა. ერთ-ერთი კამათის დროს კი, იგი მეუღლეზე განაწყენდა და საკუთარი მშობლების სახლში წასვლა გადაწყვიტა. მეუღლემ ამის საშუალება არ მისცა, რის გამოც მათ შორის დაწყებული კამათი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ჩხუბის დროს ჯავახიამ, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მეუღლეს სამზარეულო დანით გულმკერდის მარცხენა არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. რის შედეგადაც კახა ვ. ადგილზე გარდაიცვალა. ჯავახია წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა და სასამართლო სხდომაზე აცხადებდა, რომ მისი მეუღლე მუდმივად ეჭვიანობდა და მეგობრებთან მობილურით კონტაქტს უკრძალავდა. თუმცა, ამის მიუხედავად, იგი მაინც ახერხებდა ძველ მეგობრთან სატელეფონო კონტაქტს, რომელიც მეუღლესთან გაყრას და მასთან თანაცხოვრებას ჰპირდებოდა“.

ეს, რაც შეეხება უშუალოდ საქმის მასალას, შესაძლოა, ელენემ მართლაც მოინანია დანაშაული, მაგრამ საქმე აქ სხვა რამეშია... უფრო მეტი კითხვა ჩნდება, მისი გათავისუფლების ფორმაზე. ისე გამოჩნდა, რომ ჯავახია რობერტ სტურუას პატივსაცემად შეიწყალეს. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ, ეს ყველაფერი უცნაურად ჩანს...

სხვათა შორის, შექმნილ ვითარებაზე, ბოლო პერიოდში, სოციალურ მედიაში არაერთი მასალა გამოქვეყნებულა, რომელიც ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს.

პირადი ინტერესები შეწყალების კომისიაში - რატომ მალავენ შეწყალებულ პატიმართა სიას? - ასეთი სათაურით, რამდენიმე თვის წინ, მასალა სააგენტო presa.ge-მ გამოაქვეყნა, რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ.

presa.ge: პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ შეწყალებულ პატიმართა სია მკაცრად გასაიდუმლოებულია. შეწყალების კომისიის წევრებსა თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციას აკრძალული აქვს შეწყალებულ პატიმართა ვინაობის გასაჯაროება.

წარმოიდგინეთ, თუ თქვენ ხართ მოკლულის ახლობელი, თქვენი ახლობლის მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირი, შესაძლოა, პრეზიდენტმა ისე შეიწყალოს, რომ ამის შესახებ არც არაფერი იცოდეთ.

ცხადია, შეწყალების კომისია მძიმე მუხლით გასამართლებულ პატიმართა შეწყალებას ერიდება, თუმცა, ამავე დროს, პრეზიდენტს აქვს ე.წ. ალტერნატიული გზა და შეუძლია შეწყალების კომისიის წევრთა რეკომენდაციის გარეშე შეიწყალოს ნებისმიერი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმარი.

„პრესა.ჯი“-სთვის ცნობილი გახდა, რომ შეწყალების კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, პირადი დაინტერესების საფუძველზე, ერთ-ერთი მძიმე მუხლით გასამართლებული პატიმარი შესაწყალებელთა სიაში მოახვედრა. საბოლოოდ, ეს პატიმარი მარგველაშვილმა შეიწყალა.

დავსვათ კითხვა: რატომ არის შეწყალებულ პატიმართა სია გასაიდუმლოებული და უნდა ჰქონდეს თუ არა, დაზარალებულს უფლება, შეიტყოს მის საქმეზე გასამართლებული პატიმრის სავარაუდო შეწყალების შესახებ?

იურისტთა შეფასებით, ის ფაქტი, რომ შეწყალებულ პატიმართა სია კონფიდენციალურია, კორუფციისთვის ნოყიერ ნიადაგსაც ქმნის.

მართალია, კომისია უნდა სარგებლობდეს საზოგადოების მაღალი ნდობით, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს, შეწყალების კომისია ასეთი მაღალი ნდობით ვერ სარგებლობს. ვერც წინა ხელისუფლების დროს სარგებლობდა.

იმისთვის, რათა გამოვრიცხოთ კორუფცია, პირადი, მერკანტილური ინტერესი, საზოგადოებამ უნდა იცოდეს პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ პატიმართა ვინაობა - წერს presa.ge.

მოკლედ, საზოგადოებას არც ინფორმაცია აქვს და არც სურვილი, რომ ნარკოდანაშაულში მხილებული, ასევე ქურდობისთვის, ძარცვისთვის, მკვლელობისთვის და მკვლელობის მცდელობისთვის მსჯავრდებული პირები საპატიმროს ასე მარტივად ტოვებდნენ... როგორც ფორუმის გამოკითხვიდან ჩანს, საზოგადოება უფრო სერიოზულად ეკიდება ამ საკითხს, ვიდრე პრეზიდენტი, იმიტომ რომ ამ გაუაზრებელი ნაბიჯის შესაძლო შედეგი, სწორედ უბრალო მოკვდავებზე აისახება...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხუთ თვეში საპარტნიორო ფონდი სასტუმრო RIXOS გაახსნის

RIXOS-ის სასტუმრო კომპლექსის გახსნამდე სულ რამდენიმე თვე დარჩა. როგორც საპარტნიორო ფონდში აცხადებენ, დაბა ბორჯომში, RIXOS-ის სასტუმრო კომპლექსის სარემონტო და აღჭურვის სამუშაოები დასკვნით ფაზაში გადავიდა. თურქულმა კომპანია „დეკონმა“, რომელიც სასტუმროს თანამედროვე ტექნიკით, ავეჯით და სხვა აუცილებელი ელემენტებით აღჭურვას უზრუნველყოფს, RIXOS-ის სტანდარტების შესაბამისი საჩვენებელი ოთახის მოწყობა უკვე დაასრულა.



RIXOS-ის სასტუმროების ქსელის განვითარების დირექტორი გოკჰან სარპერი აცხადებს, რომ პირველ დამსვენებელს უკვე დეკემბრის პირველ ნახევარში მიიღებენ. „ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია მსოფლიოში. თქვენთანაც ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მე ხშირად ჩამოვდივარ ხოლმე საქართველოში და ვამჩნევ, რომ ეს სექტორი (აქაც) ძალიან სწრაფად მზარდია; თქვენ გჭირდებათ უფრო მეტი სასტუმროები, მეტი ღამის გასათევი ტურისტებისთვის და თან, რაც შეიძლება მალე, რათა მოთხოვნა დააკმაყოფილოთ“, - აღნიშნა მან.

საქართველოში ვიზიტის და ბორჯომში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ სარპერი მიიჩნევს, რომ პროექტი წარმატებით მიმდინარეობს, რაც „მეტწილად საპარტნიორო ფონდის დამსახურებაა“.

სასტუმრო კომპლექსი, რომელიც ლიკანში (ბორჯომი) ყოფილი IV სამმართველოს ტერიტორიაზე შენდება საპარტნიორო ფონდისა და ყაზახური კომპანიის „ყაზმუნაიგაზ-სერვისის“ ერთობლივი პროექტია. ყაზახურმა მხარემ ეს ტერიტორია 2006 წელს შეისყიდა სახელმწიფოსგან, ხოლო საპარტნიორო ფონდი ამ პროექტის განხორციელებაში 2011 წლიდან ჩაერთო.

2014 წლის გაზაფხულზე რამდენიმეთვიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად ფონდმა და ყაზახურმა მხარემ სასტუმრო კომპლექსის აშენებისთვის საჭირო დაფინანსების გამოყოფის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

„საპარტნიორო ფონდი, რომელთანაც ვთანამშრომლობთ ბორჯომის სასტუმროზე, საიმედო და კომფორტული პარტნიორია. მენეჯმენტი გამოცდილია და აკეთებენ იმას, რაც კარგად იციან“, - აღნიშნა სარპერმა ინტერვიუში.

ხუთვარსკვლავიანი RIXOS-ის სასტუმრო კომპლექსი 152 ნომრიანი იქნება და აღჭურვილი იქნება დასვენებისთვის აუცილებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურით. კომპლექსში შესაძლებელი იქნება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება. პროექტი ითვალისწინებს ასევე სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიის - გზების, პარკინგის, გასართობი ცენტრის და კომპლექსის სხვა დამხმარე ნაგებობების რეაბილიტაციას.

საპარტნიორო ფონდში აცხადებენ, რომ მათი მიზანია რეგიონში აშენდეს „რიქსოსის“ ხუთვარსკვლავიანი, ბრენდირებული სასტუმრო, რომელიც იქნება ერთ–ერთი საუკეთესო სასტუმრო არამარტო ბორჯომში, არამედ მთელ საქართველოში.

„სასტუმრო კომპლექსის დროულად დასრულებისთვის ადგილზე ყოველდღიურ რეჟიმში 150 კაცი მუშაობს, ხოლო ჩვენი წარმომადგენლები მუშაობის პროცესს მუდმივად უწევენ მონიტორინგს“, აცხადებს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე. მისი თქმით, სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და ამჟამად მიმდინარეობს სასტუმროს თანამედროვე ტექნიკით, აევეჯით და სხვა აუცილებელი ელემენტებით აღჭურვა, რომლის დასრულებაც ზაფხულის ბოლოსთვის იგეგმება.

ირაკლი კოვზანაძე: „ვგეგმავთ, რომ კომპლექსი წლის ბოლომდე გავხსნათ და ტურისტებს შევთავაზოთ დასვენებისთვის აუცილებელი ყველა პირობა. ბორჯომის რეგიონისთვის ეს პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა და ვფიქრობთ, რომ იგი დამატებით შარმს შესძენს მთლიან რეგიონს და ტურისტულ ცხოვრებას გამოაცოცხლებს რეგიონში“.

კომპლექსის მთლიანი საინვესტიციო მოცულობა 38,5 მლნ. აშშ დოლარია. ფონდის თანამონაწილეობა პროექტში კაპიტალის 50%-ია. ახალი სასტუმრო, რომლის ოპერირებას მსოფლიოში ცნობილი ოპერატორი RIXOS განახორციელებს. 2000 წელს თურქეთში დაფუძნებული სასტუმროების ქსელი RIXOS-ი დღეისათვის უკვე 20-ზე მეტ სასტუმროს მართავს, როგორც თურქეთში, ასევე ყაზახეთში, ხორვატიაში, ეგვიპტეში, შვეიცარიაში, აზერბაიჯანსა და გაერთიანებულ არაბულ საამიროებში, ხოლო 2014 წლის ბოლოსთვის ამ რიცხვს ბორჯომის RIXOS-იც შეემატება.

„წიგნი ყველა სოფელს“- მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტი დაიწყო!

1 აგვისტოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში პროექტის „წიგნი ყველა სოფელს“ პრეზენტაცია შედგა. პროექტი რეგიონალური ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. „წიგნი ყველა სოფელს“ - არასამთავრობო, სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქოს და კერძო სექტორის ერთიანი ძალისხმევით, ორგანიზაცია „სტუდენტური ერთიანობის“ და „წიგნის მეგობრების“ ინიციატივით განხორციელდება.

პროექტის ფარგლებში, 1 აგვისტოდან, საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში განთავსებულ „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე, სუპერმარკეტების ქსელ „სმარტის“, ამერიკული რესტორნების ქსელ „ვენდის“ ვაკისა და რუსთაველის ობიექტებზე, „დავითიანის“ ოფისებში რუსთაველის გამზ. # 21/23-სა და სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლოში მიიტანოს წიგნები და გააჩუქონ ისინი მათთვის, ვისთვისაც წიგნი ხელმიუწვდომელია.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდ „ვისოლ ჯგუფის“, საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანის“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“, „პალიტრა L“-ის, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისა და ქვეყელმოქმედი საზოგადოების მხარდაჭერით სვანეთის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და აჭარის სოფლების სასკოლო თუ ცენტრალური ბიბლიოთეკები საჭირო წიგნებით მომარაგდება. შესაბამისად, პროექტი რეგიონალური ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ წიგნების დახარისხების შემდგომ, რეგიონების მოსახლეობისთვის წიგნების მიწოდებაზე „მოსიარულე ბიბლიოთეკა“ იზრუნებს, რომელიც საქართველოს დიდ ქალაქებში გაჩერდება და დაგეგმილი ღონისძიებებისა და ცნობილი მწერლების დახმარებით იქაურ მოსახლეობასაც მისცემს საშუალებას გააჩუქონ წიგნები და ჩაერთონ საგანმანათლებლო პროექტში. „მოსიარულე ბიბლიოთეკა“ სტარტს 14 აგვისტოს აიღებს და პირველად კახეთს ესტუმრება.

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე საზოგადოებას პროექტში აქტიური ჩართვისკენ მოუწოდებს.

„ზოგადად, იყო ევროპული ოჯახის წევრი, რას ნიშნავს – ეს არის მაღალი ინტელექტის, ცოდნის, განათლების დონე; ამიტომ არის ეს პროექტი უნიკალური; ცოდნაზე, ინტელექტზე დამყარებული საზოგადოება ყოველთვის აღწევს წარმატებას“, - აცხადებს ფხაკაძე.

პროექტის პრეზენტაციას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჟოლიანი პროექტის სხვა მხარდამჭერებთან ერთად დაესწრნენ.

„ეს ზღვაში წვეთია, მნიშვნელოვანია, რომ კერძო ინვესტიციაც ჩაერთოს ამ პროექტში. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მხარდამჭერს. ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს გულთან მიიტანა. წიგნი არის ის, რაც ადამიანებს აახლოებს და ის საზრდო, რომელიც ჰაერივით სჭირდება ყველას. მნიშვნელოვანია, რომ რეგიონებში იწყება ეს პროექტი, რადგან იქ უნდა მივაწოდოთ ბავშვებს ის რესურსი, რაც მათ აკლიათ. ჩვენ საზოგადოების გაერთიანების იმედი გვაქვს“, - განაცხადა ლევან ყიფიანმა.

„წიგნი ყველა სოფელს“ გრძელვადიანი პროექტია და ამჯერად სვანეთის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და აჭარის რეგიონს მოიცავს. მოსახლეობის აქტიურობიდან გამომდინარე პროექტი სხვა რეგიონების ბიბლიოთეკების მომარაგებასაც ისახავს მიზნად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა იმალება და ვინ დგას ძებნილი

მარიამ ნადირაძე

რა უნდა ქნას ხალხმა, როდესაც ერთსა და იმავე ფაქტზე უდევს ორი „სამართლე“? თანაც უბრალოდ სხვადასხვა ხელისუფლების პოლიტიკური პოზიციის სახით კი არა, ორი მრავალტომიანი სისხლის სამართლის საქმის სახით... ერთ შემთხვევაში დანაშაულში იმხილება პრეზიდენტობის კანდიდატი, მეორე შემთხვევაში კი – ის პრეზიდენტი, რომელმაც „პრეზიდენტობის კანდიდატი“ დანაშაულში ამხილა... პირველ შემთხვევაში „მთავარი დამნაშავე“ გარდაცვლილია, მეორე შემთხვევაში კი მთავარი დამნაშავე ხდება ის, ვინც გარდაცვლილი დამნაშავე დაადანაშაულა“... პირველ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეს ჰქვია სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, მეორე საქმის პირობითი სახელი კი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის საქმის ფალსიფიკაციაა...

ერთი სიტყვით, ძალიან რომ არ ჩავახუჭუჭოთ, ქრონოლოგიას მივყვეთ, რადგან სამართლებრივად შევაფასოთ 6 წლის წინანდელი და დღეს მიმდინარე პროცესები, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ტყუილი და მართალი და შევეცადოთ იმის დანახვას, ვინ და რატომ გვჩრის თვალებში ამ „სიმართლეებს“ ასეთი მონდომებით.

ჯერ – დანაშაული, მერე – მტკიცებულება

2007 წლის დეკემბრის ბოლოს, მაშინ როდესაც ქვეყანაში „7 ნოემბერი“ უკვე მომხდარია, თავის გასამართლებლად სააკაშვილის პროკურატურა აქვეყნებს ბადრი პატარკაციშვილისა და ერეკლე კოდუას საუბრის ჩანაწერს, რითაც ადასტურებს, რომ პატარკაციშვილი ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა. ეს საუბარი ლონდონში 23 დეკემბერს შედგა, ანუ მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილის ტელევიზიაც დარბეულია და უამრავი ადამიანიც – რუსთაველის გამზირსა და რიყეზე... თუ ვინმე იტყვის, რომ მსგავსი ტიპის სხვა საუბრის ჩანაწერებიც ჰქონდა პროკურატურას – ვალერი გელბახიანს, მარინა გაბუნიასა (ყოფილი მოსამართლე. – მ.ნ.) და ერეკლე კოდუას შორის, ამაზეც გეტყვით, რომ ის 18 და 21 დეკემბერს შედგა და ლოგიკურად ვერ გახდებოდა ტელევიზიასა და ხალხზე თავდასხმის საფუძველი. ამდენად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჯერ მოხდა დანაშაული ხელისუფლების მხრიდან და შემდეგ დაიწყო მისი გამართლებისთვის ახალი დანაშაულის შეფუთვა...

ახლა კი მივხედოთ მთავარ თემას, რამაც 7 წლის წინანდელი მოვლენები ახალი რაკურსით დაანახა საზოგადოებას:

პირველ რიგში, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ის აჟიოტაჟი არ გამოუწვევია საზოგადოებაში, რაც სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ერეკლე კოდუას სკანდალურმა ინტერვიუმ გამოიწვია, რომელიც დიდი ნაწილის მიერ მის თვითლუსტრაციად იყო აღქმული. თუმცა ფაქტია, რომ ეს ორი განცხადება ერთმანეთს დროშიც დაემთხვა და კონტექსტითაც. ამდენად, საეჭვოა, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითი იყოს. სანამ კოდუას ნაამბობს უფრო დაწვრილებით განვიხილავდეთ, დასაწყისისთვის, ალბათ, ღირს იმის აღნიშვნაც, რომ საქმეში, სადაც დღეს ბრალდებულად სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, კეზერაშვილი და უგულავა გვევლინებიან, არსად ჩანს კოდუა. არადა 2008 წლის სახალხო დამცველის, ანუ სოზარ სუბარის ანგარიშში, ეს უკანასკნელი კი დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი გამოკვეთილი სახეა, სწორედ კოდუას პასუხისგებაში მიცემის რეკომენდაცია გაიცემა. გთავაზობთ ამონაწერს ამ ანგარიშიდან:

რატომ აციცილეს ბრალეულობა ერეკლე კოდუას?

„2007 წლის 17 დეკემბერს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორმა, ერეკლე კოდუამ პატაკით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ამირან მესხელს, სადაც აღნიშნული იყო, რომ მას დაუკავშირდა ყოფილი მოსამართლე მარინა გაბუნია და სოლიდური თანხის საფასურად შეეცადა მის მოსყიდვას სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის მისაღებად. პატაკის საფუძველზე შსს-ს სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა იმავე დღეს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულების მომზადების ფაქტზე. სოდ-ის დირექტორის მოადგილემ ე. როგავამ მიიღო დადგენილება – დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობის გამოვლენა-დოკუმენტირებისა და აღკვეთის მიზნით, დანაშაულებრივ ჯგუფში ოპერატიულ თანამშრომლად ჩართულიყო სოდ-ის დირექტორი ერეკლე კოდუა.

18 დეკემბერს მარინა გაბუნიას შუამავლობით ერეკლე კოდუა სამოქმედო გეგმის კონკრეტული დეტალების დასაზუსტებლად არკადი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის უფროსს ვალერი გელბახიანს შეხვდა. გელბახიანმა დაადასტურა, რომ პატარკაციშვილი მზად იყო, პირადად შეხვედროდა კოდუას.

2007 წლის 23 დეკემბერს ერეკლე კოდუა ლონდონში პატარკაციშვილთან ჩავიდა, სადაც საქართველოს ხელისუფლების დამხობის გეგმის დეტალები განიხილეს და ფინანსური და პოლიტიკური გარანტიები განსაზღვრეს.

ერეკლე კოდუას მიერ (როგორც ოპერატიული მუშაკის) მტკიცებულებათა მოპოვება უნდა მომხდარიყო „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით – სასამართლო ბრძანების საფუძველზე. რადგან ეს წესი არ იქნა დაცული, ლონდონში მოპოვებულ აუდიოჩანაწერს არ შეიძლებოდა მინიჭებოდა მტკიცებულებითი ძალა.

შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ზ. შანშიაშვილის მიერ, ნივთმტკიცებად ცნობის ნაცვლად, ის უნდა მიჩნეულიყო დაუშვებელ მტკიცებულებად და ამოღებულიყო სისხლის სამართლის საქმიდან.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს, იმის გამო, რომ არ მოხდეს დაუშვებელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვალერი გელბახიანის ბრალდება, კოდუა-პატარკაციშვილის საუბრის ფარული აუდიოჩანაწერი არ დაედოს საფუძვლად ვალერი გელბახიანის საბრალდებო დასკვნას.

ამავე დროს, ინგლისში კოდუა-პატარკაციშვილის საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის მოპოვებისას ერეკლე კოდუამ აშკარად გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, რამაც გამოიწვია არკადი პატარკაციშვილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა და შედეგად კანონდარღვევით მტკიცებულების მოპოვება.

ვინაიდან ერეკლე კოდუას აღნიშნული ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს, დაიწყოს წინასწარი გამოძიება ამ ფაქტზე“.

ერთი სიტყვით, კოდუა დღეს გამოძიებაში არსებული ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმის ფარგლებში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა, მაგრამ ამავდროულად, როგორც იტყვიან, სუფთად გამომძვრალი, რაც, ცხადია, სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდებოდა მისი თანაგუნდელებისთვის. როგორც ჩანს, სწორედ ამ ეჭვების გასაფანტად ის იძულებული ხდება (ან იძულებული გახადეს) მიეცა ეს „ტელეჩვენება“ იმ დროს, როდესაც მისგან ამას არავინ, უფრო სწორად, სამართალდამცავი ორგანოები არ ითხოვდნენ...



არის კიდევ სხვა ფაქტორები, რომლის შესახებაც ქვემოთ გიამბობთ...

კიდევ ერთი ტალახი ვანოს

ახლა კი ქრონოლოგიურად მივყვეთ თემას: კოდუა ინტერვიუს მასა და ვანო მერაბიშვილს შორის დაპირისპირებაზე საუბრით იწყებს და ამ თემითვე ამთავრებს.

დაწყება: „აქ ლაპარაკობდნენ, რომ პიროვნული დაპირისპირება მქონდა, რაც არ არის სიმართლე. უბრალოდ ვანოს უყვარდა კონკრეტულ თემებში ჩარევა, რაზეც ვმუშაობდით და რაღაც რჩევების მოცემა და მე ვთვლიდი, რომ არასწორი რჩევები იყო, არ იცოდა ეს საკითხი და მე მქონდა ჩემი ხედვა. ამაზე გვქონდა ჩვენ ყოველთვის კამათი სამსახურის თემაზე და ეს იყო თვეში 2-ჯერ, 3-ჯერ კამათი გვქონდა ხოლმე და ამის გამო მივიღე მე გადაწყვეტილება, რომ ამ ხელმძღვანელთან მე ვერ ვმუშაობდი და ნავსულიყავი სამსახურიდან... მქონდა ამაზე პატაკი დაწერილი, რომ შევთავაზე სხვამ იმუშაოს და სხვამ შეასრულოს. რაზეც მე მაშინ მითხრეს უარი. არ დამიკმაყოფილეს მოთხოვნა...

დასასრული: ერეკლე კოდუა ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილისგან მიიღო დავალება გოგა ხაინდრავას მკვლელობაზე, შეთანხმდნენ, რომ დანარჩენი სამი ადამიანის გვარს მოგვიანებით შეატყობინებდა მას პატარკაციშვილი. ვანო მერაბიშვილმა კი მას ეს საქმე ბოლომდე არ მიაყვანინა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ განცხადებით კოდუამ რამდენიმე კურდღელი ერთად დაიჭირა:

თავის მეტოქეზე, ვანო მერაბიშვილზე შური კიდევ ერთხელ იძია...

სააკაშვილს კუდი აუწია...

და რაც მთავარია: ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებაზე საუბრისას ძალიან ბევრი ხელს კოდუასკენ იშვერდა. თუ ის ამ ინტერვიუში აცხადებს, რომ მას საქმის ბოლომდე მიყვანა უნდოდა, თავსაც ითეთრებს და ისრებიც ვანო მერაბიშვილის მიმართულებით გადაქცევს... მისი გათვლებით, ეს ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი უნდა იყოს, რის გამოც მას ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებაში არავინ არასდროს დაადანაშაულებს...

გამოცხადებული მკვლელობების ქრონიკა

ის, რომ ერთსა და იმავე პერიოდში არაერთი ფაქტი დასტურდება მკვლელობის შეკვეთის, ეს ნამდვილად ბადებს ძალიან დიდ კითხვის ნიშნებს და ცალსახად ადასტურებს რეჟიმის არსებობას.

მოგეხსენებათ, რომ ერეკლე კოდუამ უკვე დაასახელა გოგა ხაინდრავა, რომლის ლიკვიდაციაც მას თურმე ბადრი პატარკაციშვილმა შეუკვეთა... იქვე მისთვის ვანო მერაბიშვილის განეიტრალებაც დაუვალებიათ... ლოგიკურად გაჩნდა კითხვა, რატომ ავალებდა მას ამ მკვლელობებს? თუ პატარკაციშვილი მოინდომებდა მსგავსი სცენარის განვითარებას, ქილერიც გაცილებით იაფი დაუჯდებოდა და ეს სულაც არ შეუშლიდა ხელს მას, მისი თანაგუნდელების ლიკვიდაციაში მაინც მაშინდელი ხელისუფლება დაედანაშაულებინა... თუმცა კოდუასთან ეს კითხვა არ დასმულა და შესაბამისად, საზოგადოებასაც პასუხი ლოგიკის შედეგად შეუძლია მიიღოს მხოლოდ...

ამ მოსაზრებაზე კი პასუხი აქვს გოგა ხაინდრავას, რომელიც აცხადებს: „ეს არის შიზოფრენია, ავადმყოფობა. დიდი ხანია ვამბობ, რომ სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა, ბოკერია, კოდუა არიან შიზოფრენიით დაავადებული ხალხი. ეს ავადმყოფობა უკვე ისეთ ხარისხში გადავიდა, თვითონ აღარ იციან უკვე, რას აკეთებენ. კოდუას იმ ცუდი ოფიციანტივით მოუვიდა, დაკვეთები რომ ერევა ხოლმე – როგორც ჩანს, ჩემი მკვლელობა სააკაშვილმა და მერაბიშვილმა დაუკვეთეს და პატარკაციშვილს გადააბრალა“.

ვალერი გელბახიანის თქმით კი, მისი ბრალდების ფარგლებში თავის დროზე კოდუაც დაიკითხა. მას ჩვენებაში ნათქვამი აქვს, რომ პატარკაციშვილმა მას სამი კაცის მკვლელობა შეუკვეთა, მაგრამ არავის გვარი არ დაუკონკრეტებია. ამიტომაც გელბახიანი მიიჩნევს, რომ გოგა ხაინდრავას დასახელება სრულიად ახლად შეთითხნილი ვერსიაა...

ამასობაში კი გიორგი თარგამაძე ამხელს ერთ საიდუმლოს და აცხადებს, რომ თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილმა ის გააფრთხილა, შენს ლიკვიდაციას აპირებენო და დაცვა მიუჩინა. შემდეგ კი იგივე ინფორმაცია მან შეიტყო შოთა უტიაშვილისგან, რომლის მიხედვითაც მისი მკვლელები ჩრდილოეთ კავკასიიდან უნდა გადმოსულიყვნენ...

თავად ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციის შესახებ საზოგადოებამ თავის დროზე ტელეეთერიდან შეიტყო, როდესაც გადაიცა ფარული ჩანაწერი კუდ-ის მაღალჩინოსნის, ე.წ. მასტერასა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომელ პატიმარს უხდიდა ფულს ერეკლე კოდუა დუმილის სანაცვლოდ



და ჩეჩენ მებრძოლს შორის, სადაც მასტერა მას ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციას ავალებდა... მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა, ნიკა გვარამიამ ამ ფაქტს ასეთი შეფასება მისცა: ბადრი პატარკაციშვილის მორიგი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ლიკვიდაცია იგეგმება, პირველი არ არის და ამან უკვე ტენდენციის, თუ ტრადიციის სახე მიიღო. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არც ერთი ეს განცხადება არ დასტურდება...“

არადა ბადრი პატარკაციშვილი ძალიან მალე იპოვეს გარდაცვლილი. ის ერთადერთი რეალური მსხვერპლი აღმოჩნდა ზემოჩამოთვლილ შესაძლო მსხვერპლთაგან...

ვის დავუჯეროთ?

ერეკლე კოდუას განცხადებების ერთი ნაწილი „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში დაადასტურა შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის ყოფილმა უფროსმა, შოთა უტიაშვილმა, თუმცა ამ ინტერვიუში მკითხველი წინააღმდეგობებსაც ბევრს აღმოაჩენს:

– კოდუა საუბრობდა, რომ მას ეს ოპერაცია ბოლომდე არ მიაყვანინეს...

– კოდუა საქმეს უყურებს, როგორც ოპერეტიული თანამშრომელი, უნდა, რომ საქმის დეტალები ბოლომდე შეისწავლოს ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკური ეფექტი, რომელიც ამ საქმეს ექნებოდა და ხალხს უნდა სიმართლე და პოლიტიკოსი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ დეტალებს. ბუნებრივი ამბავია და ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

– დავუშვათ, ეს რეალურად იყო სახელმწიფო გადატრიალება და ეს პოზიცია არის მყარი და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ტელევიზიის დახურვა და საზოგადოებისთვის ყურების დახშობა? არაინფორმირებულება. რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო იგივე „იმედში“ შესვლა და ტელევიზიების გაჩერება.?

– ამაზე შეიძლება ვიკამათოთ... თუმცა ეს საკამათო არ არის, როცა გადატრიალებაზე ვსაუბრობთ.

– თქვენ გქონდათ ინფორმაცია, რომ პატარკაციშვილი აპირებდა გოგა ხაინდრავასა და სხვა თანაგუნდელების მოცილებას?

– თუ გახსოვთ, თარგამაძემ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ თურმე ის გავაფრთხილე, რომ მის მოკვლას აპირებდნენ და დიდი ხანია არსებობს ეს ინფორმაცია და მე ახლა ვადასტურებ, რომ ყოველთვის იყო ეს ეჭვი, რომ შეიძლებოდა მომხდარიყო პოლიტიკური მკვლელობა, ისეთი, რომელიც მთავრობას დაჰბრალდებოდა და ჩავთვალეთ, რომ თარგამაძე შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი ამათგანი. ამის შესახებ მასაც შევატყობინეთ. ხაინდრავაც მაშინვე გააფრთხილეს.

– კოდუამ ისაუბრა დაპირისპირებაზე ვანო მერაბიშვილთან და რამდენად რეალური იყო ეს დაპირისპირება და მართლა ტოვებდა თუ არა კოდუა უწყებას?

– არ ვიცი, ეს შიდა ინტრიგებია, რომელშიც ჩახედული არ ვარ და არ ვიცი.

კონტრვერსია

იმის პარალელურად, რასაც ერეკლე კოდუა გვიყვება ოპერაციის დაგეგმვის შესახებ, ინფორმირებულ ადამიანებს, რომლებიც 2007-2008 წლებში ქმედუნარიანებად ითვლებოდნენ, კარგად ახსოვთ, რომ ერეკლე კოდუა მართლაც სერიოზულად უპირისპირდებოდა ვანო მერაბიშვილს და არავისთვის იყო დასამალი მისი წყურვილი, ხელში აეღო მთელი სამინისტროს მართვის სადავეები. შესაბამისად, ოპერაციის პირველი ეტაპი, რასაც კოდუა ოპერაციად მოიხსენიებს, უფრო მეტად პერსპექტიული თანაგუნდელების შეხვედრას უფრო ჰგავდა, ხოლო როდის გადაწყვიტა მან, ეს შეხვედრა სპეცოპერაციად ექცია, სწორედ აქ იყოფა ინფორმირებულთა პოზიციები. ჩვენთვის ცნობილი სხვა ვერსიებიდან აქამდე უცნობის შესახებ მოგახსენებთ, რომლის მიხედვითაც ამ შეხვედრის შესახებ შეიტყო ვანომ და კოდუა იძულებული გახდა, ჩანაწერებიც გაეკეთებინა და ისევ ძველ გუნდთან თანამშრომლობას დაბრუნებოდა. თუმცა აქ იკვეთება მეტად გასაკვირი და უფრო მეტიც, კურიოზული დეტალი: თუ სოდის ყოფილ შეფს დავუჯერებთ, შეხვედრაზე ის ტანსაცმელზე მიმაგრებული ქალის ათი „გულაბკით“ მივიდა, იმ მიზნით, რომ აპარატს მასზე მიეცა რეაქცია და ამგვარად რკინის აქსესუარებით გაწყობილი ფეხსაცმლით ჩამწერი მოწყობილობა შეეტანა. მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ დამაჯერებლობას არის მოკლებული ფაქტი, თითქო ბადრი პატარკაციშვილის დაცვა დაიღალა აპარატის ხმაურით და მორიგი „გულაბკების“ აღმოჩენით, ბოლოს კი ოლონდაც კოდუა არ წასულიყო, საშუალება მისცა მას, აპარატზე აყვირებული ფეხსაცმლით შესულიყო შეფთან... ამ ვერსიით გამოწვეული ღიმილის კარგად გვესმის, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩამწერი მოწყობილობა პატარკაციშვილის სახლში შევიდა. ყველაზე ეჭვიანები, ალბათ, საფუძვლიანად ჩათვლიან, რომ კოდუა ამ ნარატივით ვიღაცის გადარჩენას, ხელის დაფარებას ცდილობს, ვინც მას, სავარაუდოდ, პატარკაციშვილის გარემოცვიდან დაეხმარა ამ მოწყობილობის შეტანაში.

კოდუას „მადლი“ და სავარაუდო გეგმები

ჩვენ, ჟურნალისტებს, ძალიან გვიყვარს ინფორმირებულ და კონფიდენციალურ წყაროებთან ურთიერთობა. ჰოდა, ასეთი წყაროს ინფორმაცია გვსურს მივაწოდოთ მკითხველს: როგორც ირკვევა, ერეკლე კოდუას თავისი ინტერესები ჰქონია მედიაში. თუმცა ერთ-ერთი ასეთი სურვილის განხორციელების მოწმე ამ სტატიის ავტორიც გახლდათ, როდესაც რამდენიმე წლის წინათ მისი ოჯახი ერთ-ერთი ქართული ჰოლდინგის ყიდვით დაინტერესდა, თუმცა მერე გადაწყვიტეს, რომ ახალი გაზეთის გახსნა და მათთვის არაკეთილმოსურნე გაზეთებიდან წამყვანი ჟურნალისტების გადაბირება იგივე შედეგს მოიტანდა და თანაც გაცილებით იაფად... როგორც ჩანს, ეს მიდრეკილებები არ გამქრალა და ჩვენი ინფორმირებული წყაროს ცნობით, ის დღესაც აფინანსებს საქართველოში რამდენიმე მედიასაშუალებას. კოლეგიალობის დაცვით „პრაიმტაიმი“ ამ თემას, ცხადია, არ ჩაუღრმავდება, თუმცა ჩვენს ყველაზე ცნობისმოყვარე მკითხველს ვურჩევდით, რომ, თუ თვალს უფრო დაკვირვებულს გახდის, ამის გაშიფვრა სულაც არ წარმოადგენს დიდ სირთულეს... ამასთანავე, შევიტყვეთ, რომ ერეკლე კოდუა აფინანსებდა ცალკეულ პირებსაც, რომლებიც ზემოშემოთავაზებულ ისტორიაში დაიჩაგრნენ. მათ შორის სახელდება ყოფილი მოსამართლე, მარინა გაბუნია, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების დროს კოდუასა და პატარკაციშვილის მთავარ მაკავშირებლად დასახელდა და რის გამოც ის სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის გამო პასუხისგებაშიც მისცეს. ჩვენი წყაროს ცნობით, მათ შორის კავშირი ერეკლე კოდუას დედის, ლაურა ღაჭავას დამსახურებაა. სოდ-ის ყოფილ შეფს ის პატიმრობის დროსაც არ მიუტოვებია. ცხადია, „პრაიმტაიმი“ შეეცადა, ეს ინფორმაცია თავად ყოფილ მოსამართლესთან გადაემოწმებინა, თუმცა ინტერვიუზე სასტიკი უარი მივიღეთ. სამაგიეროდ წარმოგიდგენთ მცირე ინტერვიუს ლაურა ღაჭავასთან:

– ქალბატონო ლაურა, მარინა გაბუნიასთან ახლაც გაქვთ კონტაქტი?

– არა. მე არ მაქვს არავისთან კონტაქტი. შევარდნაძის დროს სამოქალაქო დავა მქონდა. ის იყო მოსამართლე.

– არადა ამბობენ, რომ თქვენი მეშვეობით მოხდა თქვენი ვაჟისა და ყოფილი მოსამართლის დაკავშირება, რის შედეგადაც ირაკლი კოდუა ბადრი პატარკაციშვილთან აღმოჩნდა შეხვედრაზე...

– როგორ გეკადრებათ... პირიქით, გაკვირვებული ვიყავი, რომ ლაპარაკობდნენ, ლონდონში იყოო. საერთოდ არაფერი ვიცოდი. საერთოდ არ ვერევი ჩემი შვილის საქმეში. მე მაქვს ჩემი საქმე და არ ვერევი არავის საქმეში.

– როდესაც მარინა გაბუნია ციხიდან გამოვიდა, ხომ შეხვდით მას და გქონდათ რაღაც საუბარი?

– საქმე მაქვსო და მეტი არაფერი ყოფილა.

– და რაზე გესაუბრათ?

– აბსოლუტურად არაფერზე. თქვა, რომ გამოვიდა და არის შეუძლოდ და მკურნალობა უნდა დაიწყოს. მეტი არაფერზე.

– როგორც ვიცი, მან დაფინანსება მოგთხოვათ.

– არა, არ მოუთხოვია.

დაბოლოს

ბადრი პატარკაციშვილის შტაბის ხელმძღვანელი ვალერი გელბახიანი აცხადებს:

„ბადრიმ მე მითხრა, რომ ის იწერდა შეხვედრას, მე მითხრა, რომ სტენოგრამას აკეთებდა, ქართულიდან ინგლისურ ენაზე, მითხრა, რომ ხვალ დილით დაიდებოდა, წაიღო ფირი ბერეზოვსკიმ, ფირი აღმოჩნდა საელჩოში, საელჩომ გადასცა კოდუას. არავითარი ჩაწერა იქ კოდუას არ გაუკეთებია, ჩაწერა გააკეთა ბადრიმ, იმისთვის, რომ გამოძიება დაწყებულიყო მისი ლიკვიდაციის საკითხთან დაკავშირებით“.

... ესეც ვერსია არსებობის უფლებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვასილ მაღლაფერ

საიდუმლო თათბირის დეტალები 7 წლის შემდეგ გასაჯაროვდა

ქეთი ხატიაშვილი

ტექსტი პირველად 7 წლის შემდეგ გამოაქვეყნა, თუმცა მომხდარიდან 13 თვის შემდეგ ამ ჩანაწერებზე ომბუდსმენმა პარლამენტში ისაუბრა. სოზარ სუბარმა მაშინ უმრავლესობას საგამოძიებო კომისიის შექმნა და მის ხელთ არსებული მასალების გამოძიება შესთავაზა. თუმცა 2008 წელს ნაციონალებმა ამ შეთავაზებაზე უარი თქვეს, სოზარ სუბარი პოლიტიკურ ინტერესებში დაადანაშაულეს და 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შესწავლაზე უარი თქვეს.



მაშინ შს მინისტრის კაბინეტში გამართულ საიდუმლო თათბირზე მხოლოდ ხმები დადიოდა, ახლა კი ეს ჩანაწერები ვასილ მაღლაფერიძემ, რომელიც მაშინ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად მუშაობდა, გაასაჯაროვა:

„მხოლოდ ფაქტი.

გუშინ, 4 ნოემბერს, კვირას, დაახლოებით დილის 11 საათზე, მობილურ ტელეფონზე დამირეკეს სამთავრობო ოთხნიშნა ნომრიდან. ავიღე, ქალბატონმა მითხრა, ელაპარაკეთ შს მინისტრის თანაშემწესო. ახალგაზრდა კაცი წარმომიდგა, ესა და ეს ვარო, გვარ-სახელი არ მახსოვს, პირველად გავიგე და არც მნიშვნელობა მიმინიჭებია. ძალიან ზრდილობიანად მაცნობა, დღეს, საღამოს ცხრა საათზე მინისტრმა გთხოვათ გუბერნატორებს მოსვლა და ხომ შეძლებთო? დავეთანხმე, მადლობა გადამიხადა და გავთიშეთ ტელეფონები.

გადავურეკე ჩემს მძღოლს, ვუთხარი, მოსულიყო 20:15 წუთზე, ვიფიქრე, მიტინგის გამო გზებზე საცობებს არ შეეშალა ხელი, თუმცა, უპრობლემოდ მივედით და დაახლოებით ნახევარი საათი შსს-ს შენობის პირდაპირ, გზის გადაღმა მანქანაში ვიჯექი. დრო რომ მოვიდა, შევედი შენობაში, ლიფტთან შემხვდნენ მეორე შესასვლელიდან შემოსული დავით კირკიტაძე და ზაზა გოროზია. მეხუთე სართულზე ავედით და პირდაპირ შევედით ვანო მერაბიშვილის კაბინეტში. იქ დაგვხვდნენ ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი, ამირან მესხელი(?) (ტანმორჩილი ახალგაზრდა, რომელსაც ამირანს ეძახდა ვანო და ვიფიქრე, მესხელი თუ არის-მეთქი), რომლის თანამდებობაც არ ვიცი, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გოგა ხაჩიძე, იმერეთის გუბერნატორი კაკო ბობოხიძე, შიდა ქართლის გუბერნატორი, რომელიც მეორედ ვნახე და გვარი არ მახსოვს, ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი.

ვანო ჩქარობდა, დავიწყოთო.

ვიღაცამ თქვა, სადაცაა მიხოც მოვაო და, მართლაც, ორ წუთში გურიის გუბერნატორი მიხო სვიმონიშვილიც მოვიდა. აი, ოქრუაშვილის კიდევ ერთი კადრიც მოვიდა, იხუმრა ვიღაცამ, ეგ, აუცილებლად, გენერალური პროკურორის გვერდით დასვითო (გარკვეული პერიოდის წინ, ივლის-აგვისტოში, მიხოზე საუბრები მიდიოდა და არცთუ უსაფუძვლოდ, შეიძლება ოქრუაშვილთან სიახლოვის გამო პრობლემები შეექმნასო. პროკურატურამაც დაუწყო ერთ პერიოდში ქექვა). მიხომ უხერხულად გაიცინა და მართლაც ადეიშვილის გვერდზე დაჯდა.

მელიქიშვილმა თქვა, გია ნაცვლიშვილმა (კახეთის გუბერნატორი) დამირეკა, სართიჭალას გამოვცდიო. კირკიტაძე ეხუმრა, შენ რას გირეკავს, ვიზას ხომ არ გთხოვს, შენს ტერიტორიაზე გამოვლისთვისო. კაკომ საიდანღაც იაპონური ხმალი აიღო, აქეთ-იქით იქნევდა და, როგორც ყოველთვის, ხმაურობდა. ვიღაცამ უთხრა, დადე, ეგ ხმალი ხომ არ გგონია, ხარაკირის ხანჯალიაო. მაშინ სიცილით ჩემკენ გამოაცურა მაგიდაზე, მაშინ ეს ვასიკოსთვის დამითმიაო (ჩემმა ყოფილმა მოადგილემ ორი-სამი კვირის წინ მწვავე განცხადებები გააკეთა პრეზიდენტის ოჯახის წინააღმდეგ და ოპოზიციას შეუერთდა, ამაზე მეხუმრებოდა. მანამდეც გამეხუმრნენ ამ თემაზე ერთი-ორჯერ, ვერ ვიტყვი ბოროტად, თუმცა, ორაზროვნად, როგორც ეს საერთოდ ხელისუფლებაშია მიღებული). ვანომ გაიცინა, მართალი არ გეგონოს, არ შეშინდეო. არც მეშინია, ჩემგან ერთი გადავიდა და რაც მთავრობიდან და უმრავლესობიდან ხალხი გადავიდა ოპოზიციაში, ჩემამდე იმდენს აქვს ხარაკირი გასაკეთებელი, ჩემამდე ვერც მოაღწევს ეს ხანჯალი-მეთქი, ვეხუმრე მეც. ასეთი ორაზროვანი სიამტკბილობით ვიწყებდით თათბირს.

ვანომ, გვეჩქარება, ველარავის დაველოდებით, დავიწყოთო. თან უგულავას უთხრა, შეთამაშებული ხუმრობით, ზედმეტებმა დაგვტოვონ, ხელს ნუ გვიშლი, ოტიაშვილთან (თუ უტიაშვილთან – კარგად ვერ გავიგე) გადიო. გიგი ოთახში წინ და უკან დადიოდა და ღლაბუცობდა, ნუ არღვევ ადამიანის უფლებებსო და სვიტრს ვეძებო თუ რაღაც ესეთი. ეს ერთი სვიტრიც რომ შენ დაგიტოვო, შეირჩენ და მე რაღა ვქნაო. მერე მართლაც იპოვა სავარძელზე მიგდებული სვიტრი და გავიდა. გუშინ არ მიფიქრია, დღეს შთაბეჭდილება მრჩება, წინასწარ შეთანხმებულები იყვნენ, რომ გიგი ამ ლაპარაკს არ უნდა დასწრებოდა. ვანომ კიდევ იხუმრასავით (საერთოდ, მთელი თათბირი სულ სიცილ-ხითხითით მიმდინარეობდა. ოღონდ მეორე ნაწილში, რომელიც ახლა იწყება, ბევრ გუბერნატორს აღარ გვეღიმებოდა), კიდევ ვინმე ხომ არ არის ზედმეტიო, მერე გოკას შეხედა და, აი, კიდევ ერთი ზედმეტი, მაგრამ, რადგან დარჩი, იყავიო. ახლა ამ ეპიზოდს რომ ვიხსენებ, მგონია, რომ გოკა ვერ მიხვდა, რომ უნდა გასულიყო და მას არ მართებდა იქ დარჩენა, რათა უგულავასავით ფორმალურად „თეთრი ხელთათმანებით" დარჩენილიყო.

ცხადია, მათ ვიწრო წრეში მოლაპარაკებული და დალაგებული ჰქონდათ, რაც შემდგომ გვითხრეს, მაგრამ ამდენ ხალხში, ასეთ საჩოთირო თემასთან დაკავშირებით ზედმეტ მოწმედ ყოფნა არაფერში სჭირდებოდა. თუმცა, ვიმეორებ, ეს ფიქრი შემდგომ გამიჩნდა, მაშინ კი სხვა რამ მაინტერესებდა, ჩემი გუბერნატორობის ორ წელიწად-ნახევრის განმავლობაში არ მომხდარა, ყველა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი ერთად შეგვხვედროდა გუბერნატორებს. მეტიც, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოვახერხე ტელეფონით დავკავშირებოდი გენერალურ პროკურორს, რომელთანაც საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა, სანამ ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ძალოვანთა მხრიდან ამგვარი ყურადღება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანთან რომ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, მაგრამ ოდნავ მაბნევდა კულტურის მინისტრის იქ ყოფნა. ძალოვნებისა და კულტურის მინისტრის ამგვარი სიმბიოზი საკმაოდ უცნაურად ჩანდა. ზოგადად ვვარაუდობდი, რომ საუბარი იქნებოდა რუსთაველზე მიმდინარე აქციის რაიმე პიარკამპანიით გადაფარვაზე.

მერაბიშვილის სამუშაო მაგიდის მარჯვნივ მართკუთხა მაგიდის ერთ თავში იჯდა ზურაბ ადეიშვილი, მისგან მარცხნივ, კედლის მხარეს ზურაბ მელიქიშვილი, ოთარ სირაძე (რაჭის გუბერნატორი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლისას გამორჩა), შიდა ქართლის გუბერნატორი, ამირან მესხელი(?) და თვითონ ვანო. მაგიდის მეორე თავში ისხდნენ დავით კეზერაშვილი და დათა ახალაია. მეორე მხარეს – დავით კირკიტაძე, აკაკი ბობოხიძე, გოგა ხაჩიძე, მე, ვასილ მაღლაფერიძე (მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი), და გოკა გაბაშვილი. ჩვენს უკან სკამზე იჯდა ახალგაზრდა ბიჭი, ალბათ, ვანოს თანაშემწე.

დაიწყო ვანომ, ორ საკითხთან დაკავშირებით მინდა თქვენთან საუბარიო. პირველი, უნდა იყოთ ძალიან მხნედ, ყველამ უნდა დაგინახოთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, რაც ქუჩაში ხდებაო. ეს მხიარული (ზუსტად ეს სიტყვა გამოიყენა!) ნაწილია იმისა, რაც უნდა გითხრათ, ახლა კი სერიოზულ ნაწილზე გადავიდეთო და მონოლოგის სახით გვითხრა ის, რაზეც თავშიც ვთქვი, რომ ორი დღეა, ვფიქრობ.

„ეს ნაძირალები ძალიან გაბლატავდნენ, ორ დღეში მოინდომეს იმის ნაღება, რისთვისაც ჩვენ ოთხი წელი ვიბრძოდით. მართალია, დიდი არაფერი ძალა არ აქვთ, მაგრამ აუცილებელია პრევენციული ზომების მიღება. კაცმა რომ თქვას, რაიონებიდან მართლაც არ ჩამოსულა ბევრი ხალხი, მაგრამ ვინც ჩამოვიდა, ან აწი ჩამოვა, ყველას უნდა მიხედვა. უკვე დავალებული აქვს კონსტიტუციურს, მაგრამ თქვენც აქტიურად უნდა ჩაერთოდ ამ პროცესში, შეადგინეთ სიები ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე, არც ერთი ადამიანი არ უნდა ჩავიდეს უკან გაულახავი. არა სახალხოდ, სათითაოდ. მაგალითად, გურიიდან ან ზუგდიდიდან ჩამოსული ადამიანს უკან გზაზე გააჩერებენ, მაგალითად, ქუთაისთან და დაუნგრევენ თირკმელებს. გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას (სიცილით!)".

– მე არაფერი გამიგია, ჩუმად ვარ და რომ მორჩება ყველაფერი, მერე გეტყვით, რას ვფიქრობ, – ეს იყო ერთადერთი და ღიმილით წარმოთქმული რეპლიკა, რომელიც ადეიშვილმა ჩემს იქ ყოფნაში თქვა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შიგადაშიგ ორიოდე წამოძახილს: „დავიჭიროროთ", „დედა მოვუ...ნათ").

„მოკლედ ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ დადგეს ფეხზე, სახეზე ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად თირკმელებში, მუცელში, ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან".

ჩემგან მარჯვნიდან, კეზერაშვილისგან ან ახალაიასგან (ბობოხიძე და კირკიტაძე ნამდვილად არ იყვნენ, მათ ხმას კარგად ვცნობ) ისმის სიცილნარევი რეპლიკა: „განსაკუთრებულ შემთხვევაში სახეშიც შეიძლება!"

ვანომ განაგრძო: „განსაკუთრებულში აუცილებელიც კია, ოღონდ განსაკუთრებულში, ასეთებიც ბევრი ვიცით (იცინის!). ვინც ცოტა „მოშავოა" ან ეგეთი ტიპი, ჯიბეში ნარკოტიკი და ბაჩოსთან. გარეთ ერთი ახალაია მოუვლით, შიგნით მეორე ახალაია დახვდებათ". საკუთარ ამ ხუმრობაზე საკმაოდ იცინა.

შემდეგ გააგრძელა: „ცემა არის აუცილებელი, იმიტომ რომ რაიონებში ჩადიან მიტინგებზე ნამყოფი ადამიანები და იწყებენ იქ ბლატაობას და ხალხის შემოკრებას, გალახული კაცი კიდე არის ჩმორი საქართველოში და კარგავს ეგრევე გავლენას".

– ეს თვითონაც კარგად იციან და იმიტომ უნდოდათ ჩხორუნყუს გამგებლის გალახვა და არ დავანებეთ, – წამოიძახა გოროზიამ.

– არ დაანებე კი არა, ისა, თუ რამის თავი გქონდა, ზუგდიდში გექნა, ახალაია რომ არა, მოდიოდნენ ბედნიერად იქიდან, – ჩემგან მარჯვნიდან იყო ვილაცის რეპლიკა. გოროზიამ ჩაიბურდღუნა რაღაც და გაჩუმდა.

გოგა ხაჩიძემ ითხოვა, რაღაცის თქმა მინდაო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იძე: „ეს ფოკი იყო“



„კანონი კი არ არის მთავარი, აი, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ვიღაც ადამიანები არიან ცუდები, სახელმწიფო გადატრიალებას აპირებენ და მოდი ახლა ამათ გვერდებს დავუნგრევთ, ვიღაცებს ვაპატიებთ, ამათ ხელფასებს დავუნიშნავთ, იმათ 1 ლარად რამეს ვაჩუქებთ...“

EXCLUSIVE

ვანომ, გისმენთო.

„მე ბევრი ვიფიქრე შექმნილ ვითარებაზე და მგონი, არ იქნება ცუდი, თუ გავუშვებთ კლიპებს, სადაც მითითებული იქნება ოპოზიციის კონკრეტული გამონათქვამები, კანონის რომელ მუხლს არღვევენ“.

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვანომ გააწყვეტინა: „არ არის ახლა ამ სისულელეების დრო, ახლა თეორიებისა და ჰაერში ფრენის დრო არ არის, ლაპარაკია, ამ ბოზების ბოლომდე ჩატ...აზე. შექმნით ჯგუფებს, პირველად რომ დაბეთქავენ ვიღაცას, მერე ისეთ აზარტში შევლენ, ვერ გაჩერებთ. ეს ბევრჯერ გამოვცადეთ. ორი საქმე კეთდება, ბოზები იტ...ან და ჩვენი რიგები მტკიცდება. არ შეიძლება, ახლა ჩვენ ერთმანეთზე ვეჭვიანობდეთ, ასე გადავჭამთ ერთმანეთს. ამიტომ ვინც ჩვენიანია, საქმით უნდა დაამტკიცოს. თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ კეზერაშვილს უთხარით და მიხედავს. ეპარქიებთან იმუშავეთ, იმ ბიზნესმენებთან, ვინც ეპარქიებს ეხმარებიან, რომ ხალხს სისულელეები არ ელაპარაკონ. მიტინგზე გადახედეთ, ყველას გვყავს ნაცნობი სპორტსმენი, მსახიობი, ეგეთი ტიპები, დაურეკეთ, გადმოიბირეთ, დაარწმუნეთ, შეაშინეთ, თუ გინდათ, მოისყიდეთ, ოღონდ ფული არ მომთხოვოთ (იცინის). ამაზე გამახსენდა, ონაშვილზე რა ქენით?

– ჩემთან მყავდა და მივხედე, ყველაფერი წესრიგშია, – უპასუხა ახალაიამ.

„აი, ასე სხვებთანაც. ეს სასწრაფოდ გასატარებელი ღონისძიებებია, დანარჩენს მერე მოვ...ავთ დედებს, ერთი არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ. მთავარია, მიტინგზე ნასვლის შეეშინდეთ, ცემა არის ამის წამალი. გაიგეთ, ვინ არიან, მათი ნათესავები, მამა, ბიძაშვილი, ზოგზე ასე ვიმოქმედებთ, ზოგზე – ისე, ზოგი გაილახება, ზოგთან ფინანსური შევა, ზოგს ჯიბეში ნარკოტიკი. ყოფილი პოლიციელები გამოსულან მიტინგზე, დედებს მოვ...ვთ, უკვე მოვნახეთ წესიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატიმრები, რომლებიც დაწერენ, როგორ აწამებდნენ ის პოლიციელები თავის დროზე. ამათ გავუნახევრებთ, იმათ შევყრით. ახლა არის გადამწყვეტი მომენტი და მთავარია სიმტკიცე. დალაქიშვილს ყოფა აქვს სატირებელი „დვურუშნიკობისთვის“. დაურეკეს და ბლოკების დალაგება უთხრეს, ვითომ დაალაგა. ჯერ ერთი, თუ დებ, ისეთი დადე, ხელით ვერ განიონ, თან ორმოცდაათ ადგილას დარეკა და ატეხა პანიკა. ეს არის ჩათლახობა“.

მერე ისევ სიცილით გააგრძელა:

„სულ წუხდა ბობოხიძე და დანარჩენებიც, გუბერნატორებს ფუნქცია და უფლებები არ გვაქვსო. აჰა, უფლებებიც გაქვთ და ფუნქციაც, გამოიყენეთ. რა დრო დაგვიდგა, კაკო, შენი დახმარება რომ გვჭირდება?“

„კაკო“, სიტყვის მასალად თქვა, ადრესატი ყველა გუბერნატორი იყო. „ხვალიდანვე შეუდექით საქმეს, დაუძახეთ კონსტიტუციურს, პოლიციის უფროსებს და გააკეთეთ შტაბები. თბილისს ჩვენ მივხედავთ. ახლა მოვრჩით, სხვა საქმეები გვაქვს“.

მეხვედრის დასასრულს, შემოვიდა უგულავაც, მაგიდასთან არ მოსულა, ვანოს მაგიდასთან იჯდა და იქიდან გვისმენდა. უკვე ვიშლებოდით, როცა გია ნაცვლიშვილი მოვიდა და იკითხა, რაზე საუბრობდითო. ახლა შენი გულისთვის თავიდან ვერ დავიწყებ, დარჩი და მიხვდებიო.

წამოვედით, დარჩნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, უგულავა, კეზერაშვილი, ახალაია, გაბაშვილი, კირკიტაძე, ნაცვლიშვილი, შეიძლება ვინმე სხვაც“.

„პრაიმტაიმი“ ვასილ მაღლაფერიძეს კომენტარისთვის დაუკავშირდა:

_ ... ნოემბრის ამბების შემდეგ, როცა სააკაშვილი გადადგა, საპრეზინდენტო არჩევნების თარიღი უკვე დაინიშნა და პრეზიდენტობის მოვალეობას ნინო ბურჯანაძე ასრულებდა, მას საგურამოში ვესაუბრე ერთიერთზე. ბურჯანაძე მაშინ ილია ჭავჭავაძის იუბილეზე იყო ჩამოსული მარტო. მე მას გავუზიარე ჩემი შეხედულებები, რა პროცესები მიმდინარეობდა ქვეყანაში. აღმოჩნდა, რომ ერთი ხედვა გვქონდა. ვუთხარი, რომ თანამდებობის დატოვებას ვაპირებდი, ვამჩნევ, რომ მძიმე გაყალბებისთვის ემზადებიან-მეთქი. მან მითხრა, ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ არჩევნები ობიექტურად ჩავატაროთო. მისი არგუმენტები დამაჯერებელი იყო და მართლაც დავრჩი კიდევ თვე-ნახევარი. ჩატარდა ეს არჩევნები და მიმაჩნია, რომ მცხეთა-მთიანეთში მაქსიმალურად ობიექტურად ჩატარდა.

ნინო ბურჯანაძისთვის ეს წერილი არც მიჩვენებია და ამ თემაზე მასთან არც მილაპარაკია. ჩავთვალე, რომ ერთადერთი სახელმწიფო მოხელე, ვისთანაც ჯერ კიდევ შემეძლო საუბარი სამართლიანობასა და კანონიერებაზე, ეს მაშინდელი ომბუდსმენი სოზარ სუბარი იყო. ჩავთვალე, რომ სახელმწიფო მოხელეები უკვე სრულიად გაცდენილები იყვნენ კანონიერების ზღვარს, უკვე „ბეზპრეიელი“ იყო... ამიტომაც ვუთხარი ომბუდსმენს. სხვასთან არ მქონია საუბარი.

– ჩანაწერს რომ მივუბრუნდეთ, მაშინ სოზარმა წყარო არ დაასახელა, რატომ? მაშინ თქვენ ჩათვალეთ, რომ უკვე რეჟიმი იყო, რომელიც საფრთხის შემცველი იქნებოდა თქვენი უსაფრთხოებისთვის?

– არამხოლოდ, თუმცა, ესეც იყო. ჩვენ მაშინ ბევრი ვიმსჯელეთ და ვთქვით, რომ საზოგადოებას უნდა სცოდნოდა, რა ხდებოდა ქვეყანაში და ამის ერთადერთი გზა იყო სამართლებრივი გზა, რომ როგორმე მიგვეღწია, საქმე აღძრულიყო, ამიტომაც მიმართა სუბარმა პარლამენტს საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით – მას ჰქონდა კანონით ამის უფლება. იმედი გვქონდა, რომ მაშინ უმრავლესობა ამაზე უარს ვერ იტყოდა, თუმცა უარი თქვეს. გარდა ამისა, ჩვენ ეს ტექსტი ვთარგმნეთ და თომას ჰამერბერგსა და პიტერ სემნებს მივაწოდეთ...

– გამოცდილი პოლიტიკური ფიგურა ხართ, მე მახსოვს თქვენი მუშაობა გუბერნატორად და ვიცი, ბევრი რამ გაქვთ იქ გაკეთებული... მაინტერესებს თქვენი პოზიცია, მაშინ ხელისუფლებამ თქვა: სახელმწიფო გადატრიალებას ჰქონდა ადგილი, თუმცა იქვე დასძენდნენ, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება, დევნა არ დაიწყოს პოლიტიკური ფიგურების წინააღმდეგო... ეს რამდენად ლოგიკური არგუმენტია... თუ პოლიტიკური ფიგურა იყო ჩართული სახელმწიფო გადატრიალებაში, მაშინ სახელმწიფოს ასეთი პოზიცია უნდა ჰქონოდა?

– არ უნდა ჰქონოდა... წარმოიდგინეთ, ვიღაც სახელმწიფო მოღვაწეები ამბობენ, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, რაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაულია, რომელიც შეიძლება პირთა ჯგუფმა ჩაიდინოს, მაგრამ იქვე დასძენენ, ჩვენ ამას მსვლელობას არ მივცემთო. ეს იცით, რას ნიშნავს? რომ ვიღაც ადამიანები არიან კანონზე მაღლა და მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ, სახელმწიფო გადატრიალების შემთხვევაში საქმე ბოლომდე მიიყვანონ თუ არა...

ეს თათბირიც, რაც მე ჩავწერე, სწორედ ამის მაგალითია. ანუ კანონი კი არ არის მთავარი, აი, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ვიღაც ადამიანები არიან ცუდები და სახელმწიფო გადატრიალებას აპირებენ და მოდი ახლა ამათ გვერდებს დავუნგრევთ, ვიღაცებს ვაპატიებთ, ამათ ხელფასებს დავუნიშნავთ, იმათ 1 ლარად რამეს ვაჩუქებთ... ასეთ ვითარებაში ჩვენ გაგვიჭირდება იმის გარკვევა, იყო სახელმწიფო გადატრიალება თუ არა... წმინდანები არიან და მათ სიტყვაზე უნდა ვენდოთ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა დაუჯდა კუდ-ს სანდრო

მირიან ბოქოლიშვილი

რამდენიმე კვირის წინ სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიმდინარე პროცესის ფარგლებში კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი მიხეილ ბიბილურიძე დაიკითხა. მან სასამართლოს გააცნო სქემა, რომლის ფარგლებშიც მოხდა მისი და კუდ-ის კიდევ სამი თანამშრომლის დაკავება სანდრო გირგვლიანის საქმეზე.

ციხეში წასვლის სანაცვლოდ, მათ მიიღეს მთელი რიგი პრივილეგიები და საკმაოდ სოლიდური თანხებიც. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ 2006 წლის 6 მარტს დაკავებულ ალექსანდრე ღაჭავას, მიხეილ ბიბილურიძეს, გერონტი ალანიასა და ავთანდილ აფციაურს, მათი მხრიდან სანდრო გირგვლიანის მკვლელობის რეალური გარემოებებისა და დანაშაულში დათა ახალაიას შემხებლობის გაუმჟღავნებლობის სანაცვლოდ ეტაპობრივად გადასცეს სოლიდური „გასამრჯელო“.

კერძოდ, გერონტი ალანიამ, ალექსანდრე ღაჭავამ და მიხეილ ბიბილურიძემ თანხების ეტაპობრივად გადაცემით, ჯამში, 100-100 ათასი აშშ დოლარი მიიღეს, ხოლო ავთანდილ აფციაურმა –12 ათასი აშშ დოლარი, რადგან დათა ახალაიასთან შეთანხმებული პირობით დანარჩენი თანხა მას სასჯელის მოხდისა და ციხიდან გათავისუფლების შემდეგ უნდა გადასცემოდა.

ცნობილია ისიც, რომ ახალაიას მიერ მათთვის დაკავებამდე გადაცემული თანხებით მოახდინეს ბანკებში მათ სახელზე არსებული კრედიტებისა და კერძო ვალების გასტუმრება. ხოლო შემდეგში გადაცემული თანხებით ძვირადღირებული ბინებისა და ავტომანქანების შეძენა. მაგალითად, საჯარო რეესტრში გადამოწმების შედეგად, გავარკვიეთ, რომ 2007 წლის 3 სექტემბერს მიხეილ ბიბილურიძის მეუღლემ ნუცუბიძეზე შეიძინა 124 კვ.მ

ფართობის ბინა. ასევე, ნუცუბიძეზეა შეძენილი ბინა გერონტი ალანიას ოჯახის მიერ 2008 წლის 14 აგვისტოს. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიბილურიძეცა და ალანიაც, დანარჩენ ორ მაღალჩინოსანთან ერთად, სასჯელს ავჭალის ციხეში იხდიდნენ.

სანდრო გირგვლიანის საქმეზე დაკითხულია მიხეილ ბიბილურიძის დედა, ციური თევდორაშვილიც... როგორც მისივე ჩვენებით ირკვევა, ბიბილურიძე სწორედ მას ატანდა ციხიდან იმ თანხებს, რომელსაც დათა ახალაია დუმილისა და ციხეში წასვლის სანაცვლოდ უხდიდა.

„მიუხედავად იმისა, რომ მე დედა ვარ და მიხეილს ვთხოვდი, მოეთხრო, რეალურად რა მოხდა 2006 წლის 28 იანვარს, ანუ სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების დღეს, ვატყობდი, რომ ის თავს იკავებდა ყველაფრის თქმისგან. მაგრამ ერთ-ერთი ასეთი თხოვნის შემდეგ მან მიამბო, რომ ის და მასთან ერთად დაკავებული ალექსანდრე ღაჭავა, ავთანდილ აფციაური და გერონტი ალანია იძულებულნი გახდნენ, დასთანხმებოდნენ დავით ახალაიას, ჩამჯდარიყვნენ ციხეში, რადგან მათ მიერ მართლაც მოხდა სანდრო გირგვლიანისა და მისი მეგობრის იძულებით წაყვანა ლესელიძის ქუჩიდან ოქროყანის სასაფლაოზე. წაყვანას კი წინ უსწრებდა გერონტი ალანიას სიტყვები, რომ ასეთი დავალება მას მიღებული ჰქონდა დავით ახალაიასგან. ოქროყანაში ზემოაღნიშნულ პირებს უცემიათ სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი, მაგრამ სანდროს მოუხერხებია გაქცევა, ხოლო მისი მეგობარი ბიჭებს სასაფლაოზე დაუტოვებიათ, რადგან უფიქრიათ, რომ ის მეგობარს მოძებნიდა და ორივე ერთად ჩამოვიდოდნენ თბილისში. სამწუხაროდ, სანდრო გირგვლიანი ხევში ჩაჩეხილა, გზა ვეღარ გამოუგნია და გარდაცვლილა. ამ უკანასკნელის გარდაცვალებას მიშა საკმაოდ განიცდიდა და ამბობდა, რომ ის არ უნდა მომკვდარიყო, რადგან მისთვის არაფერი ისეთი დაზიანება არ მიუყენებიათ, რომ სიკვდილი გამოეწვია. ციხეში წასვლაზე დათანხმება კი იმიტომ მოუწია, რომ დათა ახალაიას მისთვის უთქვამს: ან მე დამიჯერებთ, ან არადა დიდხანს მოგიწევთ ციხეში ჯდომა, რადგან მაინც დაგიჭერენო. სანაცვლოდ კი მას ციხეში კარგი პირობები და მალე განთავისუფლება შეუთავაზებია, მისი სახელის არდასახელების შემთხვევაში, რადგან სანდრო გირგვლიანის გატაცება და სასაფლაოზე მისი ცემა სწორედ ახალაიას დავალება ყოფილა. მიშა ამბობდა: დათა ახალაიას რომ არ დავთანხმებულიყავი, რაღაცას მიზამდა – ან მომკლავდა, ან სამუდამოდ გამომკეტავდა ციხეშიო. ამ თემაზე ძალიან უჭირდა საუბარი, მხოლოდ ამას ამბობდა, დრო მოვა და ყველაფერი გაირკვევაო. მიხეილ ბიბილურიძის დაკავების შესახებ საინფორმაციო საშუალებებიდან გავიგე, მანამდე მას ოჯახისთვისაც არაფერი უთქვამს, თუმცა ბოლო დღეები ძალიან ნერვიულობდაო. თუ არ ვცდები, 2006 წლის მარტის დასაწყისში მოხდა დაკავება. გერონტი ალანია ჩვენი მეზობელია, ხოლო ალეკო ღაჭავა და ავთო აფციაური მიშას ბავშვობის მეგობრები არიან და ყველა მათგანს კარგად ვიცნობდი. ისე მოხდა, რომ ყველა მათგანი ერთად მუშაობდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში და მეც დამშვიდებული ვიყავი, რომ მეგობრები ერთმანეთს არაფერს გაუჭირვებდნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ყველა მათგანი ერთ უბედურებას და ერთ კაცს – დათა ახალაიას შეეწირნენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მიშასა და ბიჭების უბედურ დღეში ყოფნა მარტო ციხეში ყოფნით არ დამთავრებულა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ძალიან ბევრი უბედურება შეგვამთხვია დათა ახალაიამ. ვიცი, რომ ჩემი შვილის მსგავსად, ალეკო ღაჭავაც სცემეს „მოდულში“. ჩემი შვილის მსგავსად, ისიც დათა ახალაიამ სცემა სხვა მის დამქაშებთან ერთად“, – **ყვება ციური თევდორაშვილი.**

ის დეტალურად იხსენებს, როგორ და რა ვითარებაში მიიღო ოჯახმა პირველი თანხა, ბრალის წაყენების შემდეგ.

„მიშას დაკავების შემდეგ ოჯახი სრულ შოკში იყო და ვერავის ვერ ვეკონტაქტებოდით, რადგან არ ვიცოდით, რა გვეთქვა. მიშას დაკავების მეორე დღეს, არ ვიცი, როგორ მოახერხა, მაგრამ სახლში დარეკა და ტანსაცმლის მიტანა გვთხოვა. ზუსტად აღარ მახსოვს, მგონი, თანამშრომელი იყო მოსული და მან წაუღო ტანსაცმელი, რადგან წინა დღეს ის კოსტიუმით იყო წასული. რამდენიმე ხანში მან კვლავ დარეკა და გვითხრა, რომ ჩანთა წამოგვეღო მისგან გამოცვლილი ტანსაცმლით. „მოდულში“, სადაც იყო დაკავებული მიშა, წავიდა ჩემი ქალიშვილის მეუღლე, რომელიც ამ დროს ავად იყო და ჩვენთან იმყოფებოდა სახლში. მალევე დაბრუნებულმა სპორტული ჩანთა მოიტანა. ტანსაცმლის ამოლაგების დროს ვნახე კონვერტი, რომელშიც 100-დოლარიანი კუპიურები იდო. გადავთვალე და კონვერტში 10 000 აშშ დოლარი აღმოჩნდა. ნანახი არ მითქვამს არც სიძისთვის, არც მიშას მეუღლისთვის და არც ჩემი ქალიშვილისთვის. ძალიან გაკვირვებული დავრჩი ნანახით, მაგრამ თანხა სასწრაფოდ შევინახე. ვერაფრით ვერ მივხვდი, საიდან შეიძლებოდა ჩემს შვილს ამხელა თანხა გამოეტანებინა მაშინ, როცა ის დაკავებული იყო. ძალიან მინდოდა მასთან შეხვედრა და აღნიშნულის კითხვა, მაგრამ აბა, როგორ ვნახავდი. მიშას ნახვა გარკვეული პერიოდის შემდეგ შევძელი, როცა ის უკვე ციხეში გადაიყვანეს. პირველივე შეხვედრაზე ვკითხე, რა ხდებოდა და ამხელა ფული საიდან ჰქონდა. პასუხად მისგან მივიღე, რომ ეს თანხა ციხეში წასვლაზე დათანხმების სანაცვლოდ გადაუხადეს. ჩემს დაჟინებულ კითხვაზე მიპასუხა, რომ თანხას კიდევ მისცემდნენ, თუ ყველაფერს ისე გააკეთებდა, როგორც ეს დათა ახალაიას სურდა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს მიშამ კიდევ გადმომცა ფულის შეკვრა და მითხრა, – რახან დავთანხმდი ციხეში ჩაჯდომას, ეს ფული მაინც შევინარჩუნოთ. ციხიდან გამოსულმა ფული დავთვალე და კვლავ 10 000 დოლარი აღმოჩნდა“, – **ამბობს ბიბილურიძის დედა.**

მისივე თქმით, ციხიდან გამოტანილი ფული „თიბისი ბანკში“ შეჰქონდა. ბიბილურიძე თანხას ეტაპობრივად, დაახლოებით 4 თვეში ერთხელ გადასცემდა ხოლმე.

„არ ვიცოდი, რა მექნა ამ ფულისთვის და „თიბისი ბანკში“ ჩემს სახელზე გახსნილ ვადიან ანაბარზე შევიტანე, მაგრამ მალევე მომიწია მისი გამოტანა, რადგან ოჯახში დაგვჭირდა. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მიშა და მასთან ერთად დაკავებული ბიჭები, ავჭალის ციხეში გადაიყვანეს. აქ მე ხშირად მივდიოდი, რა დროსაც ჩემი შვილი რამდენიმე თვეში ერთხელ კვლავაც მატანდა ფულად თანხებს. ეს ოთხ თვეში ერთხელ, ან უფრო მეტი ხნის სხვაობით ხდებოდა. ჯამში, ჩემთვის გადმოცემულმა თანხამ 100 000 აშშ დოლარი შეადგინა. თანხის წამოღების წინ მიშა მირეკავდა და მეც მივდიოდი ზაჰესში. ფულის წამოღების დროს მან კიდევ რამდენიმეჯერ მითხრა, რომ ეს ფული მისი ციხეში წასვლის ნაცვლად იყო მიცემული დათა ახალაიას მიერ. რამდენიმეჯერ მან ვანო მერაბიშვილიც მიხსენა და მითხრა, რომ გერონტი ალანიას მისთვის უთქვამს: დათა რისი მომცემია, ვანო მერაბიშვილი გვიხდის ამ ფულსო“, – **აცხადებს ციური თევდორაშვილი.**

მისივე მონაყოლით ირკვევა, რომ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მიხეილ ბიბილურიძის ოჯახს კვლავაც ემსახურებოდა კუდ-ის მიერ დანიშნული ავტომობილი, რომელსაც ოჯახის წევრები დაჰყავდა ბაზარში, ციხეში, სამსახურში თუ სხვ. ამ პერიოდში ოჯახმა ორი მძღოლი გამოიცვალა, მათ შორის ერთ-ერთი გახლდათ მსჯავრდადებულ გია ალავიძის ძმა. ალავიძე იმ პერიოდში გირგვლიანის საქმეზე გასამართლებულ პირებთან

„გერონტი ალანიამ, ალექსანდრე ღაჭავამ და მიხეილ ბიბილურიძემ თანხების ეტაპობრივად გადაცემით, ჯამში, 100-100 ათასი აშშ დოლარი მიიღეს, ხოლო ავთანდილ აფციაურმა –12 ათასი აშშ დოლარი, რადგან დათა ახალაიასთან შეთანხმებული დანარჩენი თანხა მას სასჯელის მოხდისა და ციხიდან განთავისუფლების შემდეგ უნდა გადასცემოდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბირგვლიანის მკვლელობა?

„ეს თანხა ციხეში წასვლაზე დათანხმების სანაცვლოდ იქნა გადახდილი. ჩემს დაჭინებულ კითხვაზე მიპასუხა, რომ თანხას კიდევ მისცემდნენ, თუ ყველაფერს ისე გააკეთებდა, როგორც ეს დათა ახალაიას სურდა“

ბიბილურიძის პატიმრობის პერიოდში მისმა ოჯახმა საკმაოდ სოლიდური შენაძენი გააკეთა, მათ შორისაა ბინა და ძვირადღირებული ავტომობილი, რომელიც დიმიტრი ქიტოშვილისგან შეიძინეს. ქიტოშვილი მიხეილ ბიბილურიძის ახლო მეგობარი და ბავშვის ნათლიაა

ერთად იხდიდა სასჯელს ავჭალის კოლონიაში.

ციური თევდორაშვილი, ასევე, იხსენებს აგვისტოს ომის პერიოდს, როდესაც მისი შვილი სრულიად მოულოდნელად სახლში გამოცხადდა.

„2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში, მიშა უეცრად მოვიდა სახლში. მახსოვს, რომ გვიანი საღამო იყო, როცა მიშა და მისი მეგობარი აკაკი მუშკუდიანი მოვიდნენ. გახარებასთან ერთად, გაკვირვებაც გამოვხატეთ მის სახლში მოსვლასთან დაკავშირებით, რადგან ერთ წელზე მეტი მას კიდევ ჰქონდა დარჩენილი მოსახდელი სასჯელი“, – **ყვება თევდორაშვილი.**

მისი თქმით, ციხიდან გამოყვანის პერიოდში ბიბილურიძე ძირითადად სამხედრო ფორმით დადიოდა და დროის უმეტეს ნაწილს სამსახურში ატარებდა. მას ჰპირდებოდნენ, რომ ამავე პერიოდში გადასცემდნენ პრეზიდენტის მიერ ხელმონერილ დოკუმენტს შეწყალების თაობაზე, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა... ბიბილურიძე სხვებთან ერთად აგვისტოს ბოლოს კვლავ საპატიმროში შეაბრუნეს. ისინი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, კონკრეტულად კი 2009 წლის სექტემბერში მიხეილ სააკაშვილის შეწყალების საფუძველზე განთავისუფლდნენ.

განთავისუფლებიდან რამდენიმე დღეში კი, როგორც ციური თევდორაშვილი ყვება, ბიბილურიძე ნიღბიანმა პირებმა გაიტაცეს და მოდულის შენობაში მიიყვანეს, სადაც დათა ახალაია სასტიკად გაუსწორდა.

„რამდენიმე ხანში ჩემი შვილი გაიტაცეს ნიღბიანმა პირებმა, რომლებმაც მას სასტიკად სცემეს, ხოლო შემდეგ დათა ახალაიასთან მიიყვანეს მოდულში. მიზეზები ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ როგორც ჩემმა შვილმა მითხრა, დათა ახალაიამაც სცემა მას საკუთარ სამუშაო ოთახში, სხვა თანამშრომლებთან ერთად. როცა ნაცემი მიშა სახლში მოვიდა, ის კარგა ხანს ხმას არ იღებდა, შემდეგ კი მოგვიყვა, რაც გადახდა, თუმცა მიზეზი რა იყო მისი ცემის, მით უმეტეს ახალაიას მხრიდან ასეთი სასტიკი მოპყრობის, მან არ იცოდა.

შემდეგ მას დაავალეს სამხედრო მანქანების ყიდვა. ამაზე ძალიან ნერვიულობდა მიშა, რადგან არ იცოდა, სად შეიძლებოდა სამხედრო მანქანების ყიდვა, ან რა სახსრებით. მიშა ამბობდა, სანამ დათა ახალაია ციხეში ყოფნის დროს მოცემულ ფულს არ დაგვაბრუნებინებს, არ მოგვეშვებაო. სულ იმას იძახდა, რომ შეცდა, როცა დათა ახალაიას დაუჯერა და დასთანხმდა მას ციხეში წასვლაზე. სჯობდა მართლა დავეჭირე და თუ დასასჯელი ვიყავი, დავესაჯე და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, ეს კაცი არ მოგვეშვებაო. არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ რამდენიმე ხანში დათამაც და მისმა „ბანდამაც“ თავი დაგვანებეს. როგორც მიშა ამბობდა, ეტყობა, ჩათვალეს, რომ მე ხმის ამომღები არ ვარო“, – **ამბობს თევდორაშვილი.**

მისი მონათხრობით ცნობილი ხდება, რომ გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული მიხეილ ბიბილურიძე მეგობრებთან ერთად თავის დროზე ტელევიზიის გახსნას გეგმავდა. ამ მიზნით ჰქონდათ სატელევიზიო სიხშირეც, თუმცა დაპატიმრების შემდეგ სიხშირის გაყიდვა მოუწიათ. პატიმრობის პერიოდში კი, როგორც უკვე გითხარით, ბიბილურიძის ოჯახმა საკმაოდ სოლიდური შენაძენი გააკეთა, მათ შორის ბინა და ძვირადღირებული ავტომობილი, რომელიც, როგორც ციური თევდორაშვილი ამბობს, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ყოფილი ხელმძღვანელის, დიმიტრი ქიტოშვილისგან იყიდეს. ქიტოშვილი მიხეილ ბიბილურიძის ახლო მეგობარი და ბავშვის ნათლიაა.

„მიშა მეგობრებთან ერთად ფლობდა სატელევიზიო სიხშირეს და აპირებდნენ ტელევიზიის მოწყობას საბურთალოზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაიჭირეს, მათ ეს სიხშირე გაყიდეს და ფული გაინაწილეს. თუ არ ვცდები, მიღებულმა თანხამ 100 000 შეადგინა. ამავე დროს გვქონდა სხვა დანაზოგიც“, – **ამბობს ციური თევდორაშვილი.**

882008252962

გაწცხადების მიღების ბარათი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

გადაწყვეტილება N 012007134348-03 (07.09.2007)

სარეგისტრაციო მოწმობა

იმ დღეს ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებები 600-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო, მათ შორის იყვნენ მცირეწლოვანი ბავშვებიც

მირიან ბოქოლიშვილი

„პრაიმტაიმი“, ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ სამი კვირის წინ წერდა, რომ პროკურატურამ 7 ნოემბრის საქმის გამოძიება დაასრულა და უახლოეს დღეებში ყოფილ მაღალჩინოსნებს ბრალს წაუყენებდნენ. ამ მაღალჩინოსანთა შორის კი, არც მეტი, არც ნაკლები მიხეილ სააკაშვილიც აღმოჩნდა. რა კავშირი აქვს ყოფილ პრეზიდენტს 7 ნოემბერს და მის შემდგომ დღეებში განვითარებულ მოვლენებთან, ამას, ალბათ, სასამართლო დაადგენს, მანამდე კი ჩვენ თვალი გადავავლეთ მომიტინგეთა დარბევის ქრონიკას და მკითხველის ყურადღება იმ ადამიანებზე შევაჩერეთ, რომლებიც არც პოლიტიკოსები ყოფილან და არც ჟურნალისტები. იმ დღეს ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებები 600-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო, მათ შორის იყვნენ მცირეწლოვანი ბავშვებიც.

დარბევაში მონაწილე ოფიციალური ფორმირებები

„გთხოვთ, დაიშალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები“, – ეს სიტყვები კარგად ემახსოვრებათ იმ ადამიანებს, რომლებიც 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე ანტისამთავრობო მიტინგს მართავდნენ. მოწოდების მიუხედავად, ხალხი დაშლას არ აპირებდა.

ამასობაში რუსთაველის გამზირზე, ქაშუეთის ეკლესიის მხრიდან უკვე გამოყვანილი ჰყავდათ წყალსატყორცნი, რომელსაც შეიარაღებული ფორმირებები ახლდა. ისინი სხვადასხვაგვარად გამოიყურებოდნენ. პირველ ჯგუფს, რომელიც წინა ხაზზე იდგა, პლასტიკური ჩაფხუტები ეხურა, ხელში ფარები და რეზინის ხელკეტები ეკავა. იქვე იმყოფებოდნენ შავ პიჯაკსა და ჯინსებში გამოწყობილი პირები, ზურგზე წარწერით: „კრიმინალური პოლიცია“. შავ ტანსაცმელში ჩაცმულ პირთა უმრავლესობას სახეზე ნიღაბი ეკეთა. ჩაფხუტიანთა უკანა მხარეს იმყოფებოდნენ სამხედრო კამუფლაჟში გამოწყობილი პირები. მათი ერთი ნაწილი აირწინაღით იყო. ტროტუარზე იდგნენ საპატრულო პოლიციის ყვითელ საწვიმარში ჩაცმული თანამშრომლები. აქციის დასაშლელად გამოსულ არც ერთ შეიარაღებულ პირს არ ჰქონდა საიდენტიფიკაციო ნიშანი. სპეცოპერაციაში თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობაც მონაწილეობდა, რაზეც მიუთითებს რუსთაველის გამზირზე შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის, ზაზა გოგავას ყოფნა, ასევე, თავისუფლების მოედანზე თავდაცვის უწყების კუთვნილი ავტომობილების მობილიზება.

სპეცრაზმელები აქციის მონაწილე ქალბატონებს „პატარკაციშვილის ბოზებს“, „ურიის ბოზებს“ უწოდებდნენ

დარბევა რუსთაველზე

რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ ავზიდან წყლის ჭავლი გაუშვეს, რასაც მალევე მოჰყვა ჰაერში მომწამლავი აირის, ცრემლსადენი გაზის გაშვებაც. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად თეთრ კვამლში გაეხვია. ათასობით ადამიანი სირბილით ტოვებდა რუსთაველის გამზირს და თავს მიმდებარე ქუჩებს აფარებდა, სადაც, რიგ შემთხვევაში, დიდი მასის თავმოყრამ ჭყლეტა გამოიწვია.

სპეცრაზმელები მისდევდნენ რუსთაველის გამზირიდან გაქცეულ დემონსტრანტებს, ძალით ამტვრევდნენ სასტუმროებისა და კერძო სახლების კარებს, შედიოდნენ და ხელჯოხით სცემდნენ იქ შეფარებულ ადამიანებს.

სახალხო დამცველის მოადგილე, სოფო ხორგუანი ერთ-ერთი გახლდათ, ვინც თავი სასტუმრო „იფარს“ შეაფარა. ეს მას შემდეგ, რაც თეატრალური უნივერსიტეტის მახლობლად გაზის კაფსულა აუფეთქდა ფეხებთან. ხორგუანის თქმით, მან „შეამჩნია ახალგაზრდების დაახლოებით 25-კაციანი ჯგუფი, რომელთაც უკან მისდევდნენ შავ ტანსაცმელში ჩაცმული ნიღბიანი სპეცრაზმელები. ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა სასტუმრო „იფარში“ შეაღწია, რის შემდეგაც კარი ავტომატურად დაიკეტა. სპეცრაზმელებმა შენობაში შეღწევის მიზნით, სასტუმროს კარს ქვები და ხელკეტები დაუშინეს, ასევე ამტვრევდნენ იქვე მდებარე იტალიური ეზოს ჭიშკარს, სადაც დემონსტრანტთა ნაწილი აფარებდა თავს“.

ცრემლსადენი გაზის ჭარბი რაოდენობით მიღების შედეგად გული წაუვიდა ირმა ქარდავას 7 წლის ვაჟს

პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის მსხვერპლი აღმოჩნდა მოქალაქე ნინო სოსელია. რუსთაველის გამზირზე ცრემლსადენი გაზის გაშვების დროს ის პარლამენტის გვერდით, პირველ საშუალო სკოლასთან იდგა, რა დროსაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ერთ-ერთმა ნიღბიანმა მას თავის არეში ხელკეტი ჩაარტყა, სახეში სილა გააწნა და მთელი ძალით მიახეთქა სკოლის კედელს. მწვავე ტკივილის მიუხედავად, სოსელიას გონება არ დაუკარგავს. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ის სახლში დაბრუნდა. მოგვიანებით მარცხენა თვალიდან დაეწყო ცრემლდენა, ასევე, ძლიერი ტკივილი თავისა და ბეჭის არეში. მან მეორე დღეს, 8 ნოემბერს მიმართა მიხეილის საავადმყოფოს, სადაც ექიმთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ გატეხილი აქვს საფეთქლის ძვალი.

ცრემლსადენი გაზის ზემოქმედების შედეგად მოიწამლნენ #1 კლასიკურ გიმნაზიასთან მყოფი სხვა პირებიც, მათ შორის სახალხო დამცველის 4 რწმუნებული და 9 წლის თორნიკე პაპიაშვილი.

ცრემლსადენი გაზის ბალონი შევარდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეშიც, სადაც თავს აფარებდა პარლამენტის შენობიდან გამოქცეული ირმა ქარდავა, ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად. შენობაში გაზის გაშვების შემდეგ იქ მყოფი ადამიანები გავიდნენ ეზოში, სადაც აღმოაჩინეს, რომ გასასვლელი ჭიშკარი ჩაკეტილი იყო გარედან, სამთავრობო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ. ცრემლსადენი გაზის ჭარბი რაოდენობით მიღების შედეგად გული წაუვიდა ირმა ქარდავას უმცროს, 7 წლის ვაჟს. ამის შემდეგ ჭიშკარი გაიღო და ირმა ქარდავა გაემართა მთავრობის კანცელარიის მიმართულებით, სადაც კიდევ ერთხელ გაუშვეს მომწამვლელი აირი. ქარდავა და მისი მცირეწლოვანი შვილები მოგვიანებით იაშვილის სახელობის კლინიკაში აღმოჩნდნენ.

სამედიცინო დახმარება დასჭირდა ნატო მასხარაშვილის ორ მცირეწლოვან შვილსაც, რომლებიც რუსთაველზე ცრემლსადენი გაზის გაშვების შემდეგ არ შეუშვეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. ბავშვები უცნობმა პირმა გადაიყვანა კოლმეურნეობის მოედანზე, სადაც მათ დასახმარებლად სასწრაფო გამოიძახეს.

7 ნოემბერს სამედიცინო უნივერსიტეტის ნეიროქირურგიულ განყოფილებაში შეიყვანეს მოქალაქე მალხაზ ჯოლოხავა. მას ჯერ კიდევ აქციის დარბევამდე კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დეზოდორანტის მსგავსი ბალონიდან სახეში შეასხეს უცნობი ნივთიერება. მალევე ის კვლავ პარლამენტის შენობასთან დაბრუნდა, სადაც ხელკეტებით გაუსწორდნენ. ჯოლოხავას დაესვა თავის ტვინის შერყევის დიაგნოზი. მას ფრჩხილების ქვეშ აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები. მისი თქმით, პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას, რაც ფრჩხილებში ნემსის შერჭობაში გამოიხატებოდა.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს მოქალაქე გია შერაზადაშვილი, რომელსაც დაესვა დიაგნოზი: ქალა ტვინის დახურული ტრავმა და ჰემატომები. გია შერაზადაშვილი იმყოფებოდა ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე. აღსანიშნავია, რომ შერაზადაშვილი არ იყო საპროტესტო აქციის მონაწილე. ის იმყოფებოდა საკუთარი სახლის წინ გრიბოედოვის ქუჩაზე, რა დროსაც მომიტინგეებს დადევნებულმა სპეცრაზმელებმა შენიშნეს და სასტიკად გაუსწორდნენ.

დარბევა რიყეზე

რუსთაველზე აქციის დარბევის შემდეგ აქციის მონაწილეებმა შეკრება რიყის ტერიტორიაზე დაიწყეს, შესაბამისად, სპეცრაზმმაც ამჯერად რიყეზე გადაინაცვლა. ცრემლსადენი გაზის, რეზინის ტყვიებისა და ხელკეტების გამოყენებით აქცია რიყეზეც სასტიკად იქნა დარბეული. მომიტინგეთა ნაწილმა გაქცევის მიზნით გეზი ღვინის აღმართ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაანონსებული ცხელი ზაფხული მხოლოდ „7 ნოემბრის საქმით“ არ შემოიფარგლება და სავარაუდოდ, ტემპერატურა კიდევ უფრო მოიმატებს

ისკენ აიღო. მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ სპეცრაზმელებიც, ავლაბრის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე კი სანვიმარში გამოწყობილი უამრავი პოლიციელი ელოდათ, რომლებმაც დაიწყეს რიყიდან გამოქცეული ხალხის ცემა და სკანდირება – „მიშა! მიშა! ბადრის რა? დედის ტყ...ნა!“

რიყიდან გამოქცეულმა დაახლოებით 8 ადამიანმა თავი შეაფარა ავლაბრის მეტროს მოპირდაპირე მხარეს მდებარე „პსპ“-ს აფთიაქს. თუ როგორ შეამტვრიეს პოლიციელებმა აფთიაქის კარი, იქ მყოფ ქალებსა და ბავშვებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, მამაკაცები კი ძალის გამოყენებით გამოიყვანეს, წააქციეს და ერთ ადამიანს 10-15 პოლიციელი ნიხლებსა და რეზინის ხელკეტებს ურტყამდა. ეს ფაქტი დადასტურებულია ტელეკომპანია „იმედის“ ვიდეოჩანაწერით, რომელიც გადაცემა „დროების“ ეთერში გავიდა.

მეტროსადგურ „ავლაბართან“ მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებდნენ მოპირდაპირე მხარეს მდებარე კორპუსის მაცხოვრებლები, რომლებიც სამართალდამცველთა სისასტიკემ იმდენად აღაშფოთა, რომ ფანჯრიდან და აივნიდან ისროდნენ სხვადასხვა ნივთებს. ბოლოს, სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზი მათი მიმართულებითაც გაუშვეს.

მომიტინგეთა ნაწილმა თავი სამების საკათედრო ტაძარს შეაფარა, იქიდან გამოსულ ყველა პირს კი სპეცრაზმელები ხელკეტებით „უმასპინძლდებოდნენ“. მაგალითად, სამების მიმდებარე ტერიტორიაზე იდგა მიკროავტობუსი, სადაც დაახლოებით 8 მომიტინგეს ეძინა. სპეცრაზმელები მათ სწორედ ამ დროს დაესხნენ თავს და ხელკეტებით გაუსწორდნენ.

დარბევა „იმედთან“

7 ნოემბერს, 20:20 საათზე, ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ წამყვანებმა – ლევან ჯავახიშვილმა და სოფო მოსიძემ მაყურებელს აცნობეს ტელეკომპანიაში სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრისა და არხის ანძიდან გათიშვის შესახებ. სატელევიზიო განცხადების შემდეგ, ტელეკომპანია „იმედთან“, ახმეტელის ქუჩის გარშემო შეკრება დაიწყეს მოქალაქეებმა. საპროტესტო აქციას შეუერთდნენ ჟურნალისტებიც, რომლებიც სამსახურში ბრუნდებოდნენ და შესვლას ვერ ახერხებდნენ. აქციის მონაწილეები ითხოვდნენ ეთერის აღდგენას და სკანდირებდნენ – „იმედი“! „იმედი“! რამდენიმე წუთში სპეცდანიშნულების რაზმმა რეზინის ტყვიებისა და ხელკეტების გამოყენებით დაიწყო აქციის დაშლა. სპეცრაზმელები აქციის მონაწილე ქალბატონებს „პატარკაციშვილის ბოზებს“, „ურიის ბოზებს“ უწოდებდნენ.

ცრემლსადენი გაზი გაუშვეს „იმედის“ შენობასთანაც, რის შემდეგაც აქციის მონაწილეები გაიქცნენ იქვე მდებარე კორპუსების მიმართულებით, თუმცა მათი ნაწილი სპეცრაზმმა ალყაში მოაქცია და გაუსწორდა, ნაწილს კი კორპუსების სადარბაზოებში მიაგნეს. ტელეკომპანიასთან აქციის დარბევის დროს სპეცრაზმელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს 12 წლის არასრულწლოვანსაც. ნიღბიანები გაქცეულების დევნას მხოლოდ რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, მაიაკოვსკის ძეგლთან წყვეტდნენ.

„რუსთავის 2“-ის მაყურებელმა პირდაპირ ეთერში იხილა მამა-შვილის, თემურ და გიორგი თოფურიების ცემის კადრები. ტელეკომპანია „იმედის“ მიმდებარე ტერიტორიიდან ჟურნალისტ მანანა მანჯგალაძის პირდაპირი ჩართვის დროს ყვითელ ლაბადაში ჩაცმული პოლიციელები გამოედევნენ აქციის მონაწილეს, თეიმურაზ თოფურიას და ხელკეტი ჩაარტყეს. ამ დროს თემურ თოფურია ძირს დაეცა, პოლიციელთა რამდენიმეკაციანი ჯგუფი კი წაქცეულს მივარდა და წიხლებით გაუსწორდა. მას მისი შვილი, გიორგი თოფურია გადაეფარა, რომელსაც თავად მოხვდა მოქნეული ხელკეტი.

საბოლოო ჯამში, 7 ნოემბერს მომიტინგეთა რამდენიმეეტაპიანი დარბევის შედეგად 600-ზე მეტი ადამიანი დაშავდა, მათ შორის იყვნენ რიგითი მოქალაქეები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, სახალხო დამცველი და მისი რწმუნებულები... და თუ ყოფილი გუბერნატორის, ვასილ მაღლაფერიძის ჩვენებას დავუჯერებთ, ეს ყველაფერი 3 დღით ადრე ვანო მერაბიშვილის კაბინეტში დაიგეგმა. მაღლაფერიძის მტკიცებით, 4 ნოემბრის თათბირს ესწრებოდნენ ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიგი უგულავა, დათა ახალაია, გოკა გაბაშვილი, გოგა ხაჩიძე, აკაკი ბობოხიძე, ზურაბ მელიქიშვილი. მაღლაფერიძის თქმით, მერაბიშვილმა გუბერნატორებს მიტინგზე მიმსვლელების სიების შედგენა და მათი ცემა დაავალა. აღნიშნულზე საუბრობს მთავარი პროკურატურაც.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და კულტურის ყოფილი მინისტრი გოკა გაბაშვილი უარყოფს მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ჩვენებას. მსგავს პოზიციას აფიქსირებენ ნაციონალების სხვა ლიდერებიც.

„თუ ვასიკო მაღლაფერიძე ასეთ რამეს ამბობს, რომ ოდესმე ერთად ვესწრებოდით რაღაც თათბირს, სადაც დაიგეგმა რამე დარბევა, ეს არის მტკნარი სიცრუე, სრული ტყუილი და ეს არის ზუსტად პოლიტიკურად მოტივირებული ცრუ ჩვენება. ვანო მერაბიშვილმა გუბერნატორები და მინისტრები, მაგალითად, კულტურის მინისტრი, ერთად შეკრიბა და რაიმე სახის დარბევაზე ლაპარაკობდა, ეს არის აბსურდი და მის სინდისსა და ნამუსზე იყოს“, – ამბობს გაბაშვილი.

რა არის სიცრუე და რა – რეალობა, ამას სასამართლო გაარკვევს, ისევე, როგორც მთელ ამ პროცესში მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობის საკითხს, თუმცა არ არის გამორიცხული ექსპრეზიდენტს ამასობაში მორიგი ბრალი წაუყენონ. შეგახსენებთ, რომ პროკურატურას გამზადებული აქვს 10 საქმე, რომლის ირგვლივაც სააკაშვილს ჩვენების მისაცემად იხმობს, მათ შორისაა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმე. ასე რომ, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დაანონსებული ცხელი ზაფხული მხოლოდ „7 ნოემბრის საქმით“ არ შემოიფარგლება და სავარაუდოდ, ტემპერატურა კიდევ უფრო მოიმატებს.

პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას, რაც გამოიხატებოდა ფრჩხილებში ნემსის შერჭობაში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როდის აგეგს პასუ

ქეთი ხატიაშვილი

ზვიად გამსახურდია რუსეთის მონაწილეობით ჩამოაგდეს, შევარდნაძეს რუსეთის მონაწილეობით ორი ტერაქტი მოუწყვეს 1995 და 1998 წლებში, სააკაშვილის დროს კი სახელმწიფო გადატრიალების სამ შემთხვევაზე მუშაობდნენ ძალოვნები.

პირველი იყო 2006 წელს, როცა სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით, იგორ გიორგაძის მომხრეები დააკავეს, დააკავეს 13 ადამიანი, პარტიის ლიდერის ირინა სარიშვილის გარდა.

მეორედ უკვე, 2007 წელს, ასეთი ბრალდება ბადრი პატარკაციშვილს წაუყენეს, მოგვიანებით მსგავსი ბრალდებით საქმე სასამართლოში ნინო ბურჯანაძისა და მისი მეუღლის წინააღმდეგ უნდა წასულიყო. თუმცა, მაშინდელი ხელისუფლება მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლა. ბოლო ორ შემთხვევაში საქმე სასამართლომდე არ მისულა...

ჩაპმანი ამერიკაში და ბურჯანაძე საქართველოში... პუტინის ქალები, ზოგი შპიონისა და ზოგიც პოლიტიკური აგენტის ამპლუაში. ჩაპმანი გაშიფრეს და პუტინს უკან დაუბრუნეს, ბურჯანაძეც გაშიფრულია, თუმცა, მას უკან ვერ დავაბრუნებთ – ასეთი ფუფუნება არ გვაქვს, მოგვიწევს ავიტანოთ...

აი, ჩაპმანი მაინც უფრო ღირსეულად მოიქცა, თუმცა, მის წინააღმდეგ ისეთი მტკიცებულებები დადეს სასამართლოზე, რომ იძულებული გახდა, სასჯელი მიეღო და უკან, სამშობლოში დაბრუნებულიყო. პუტინმა ის გულდაწყვეტილი არ დატოვა.

ალბათ, ნინო ბურჯანაძესაც არ დასწყვეტდა გულს, იგორ გიორგაძე ხომ შეინარჩუნეს დიდი რუდუნებით. უბრალოდ, ბურჯანაძის საქმე სასამართლომდე არ მივიდა. ისე, საინტერესოა, 1995 წლის ტერაქტის შემდეგ უშიშროების მინისტრი გიორგაძე საქართველოდან რომ არ გაქცეულიყო, დაიჭერდნენ? თუ დაიჭერდნენ, ბრალს დაუმტკიცებდნენ?

აი, ბურჯანაძე 26 მაისის პროვოკაციის შემდეგ არც გაიქცა და არც დანაშაული აღიარა. მაშინდელმა ხელისუფლებამ კი მას პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების საშუალება მისცა. რატომ? მოგვიანებით, უკვე მაშინ, როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, შს მაშინდელმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა თქვა:

– აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ 26 მაისის მოვლენების გამო, რაც მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ამ მოვლენების შედეგად მიღებული მსხვერპლის გამო, ისევე როგორც მანამდე, ე.წ. „შეფიცულთა რაზმის“ ჩამოყალიბების გამო, ჩვენ კანონიერი უფლება გვქონდა, პასუხისგებაში მიგვეცა ნინო ბურჯანაძე, ისევე როგორც მისი მეუღლე, ბადრი ბიწაძე, რომელიც აღნიშნულ „შეფიცულთა რაზმს“ ხელმძღვანელობდა. თუმცა, ჩვენ თავი შევიკავეთ ამ ნაბიჯის გადადგმისგან, რათა ვინმეს არ ჩაეთვალა, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ დევნას.

ახლა როცა ნინო ბურჯანაძე ისედაც საუბრობს პოლიტიკურ დევნაზე კი არა და ტერორზე, როცა უარყოფს მასა და მის შვილს შორის ფარული ჩანაწერის ავთენტურობას, ჩნდება კითხვა: რამდენად გამართლებული იყო მაშინდელი ხელისუფლების პოზიცია? თუკი ბურჯანაძის ოჯახი სერიოზულ პროვოკაციას გეგმავდა, რატომ არ უნდა დაეჭირათ და რატომ არ უნდა მისცემოდა საქმეს მსვლელობა?



რამდენიმე დღის წინ უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა განაცხადა, რომ 2007 წლის სახელმწიფო გადატრიალების საქმეს მსვლელობა იმიტომ არ მიეცა, რომ ის ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ იყო აღძრული, ბადრი კი გარდაიცვალაო. ნინო ბურჯანაძის შემთხვევაში ხომ შეეძლოთ საქმის ბოლომდე მიყვანა?

ბურჯანაძე შეგნებულ პროვოკაციაზე წავიდა. მას სურდა 7 ნოემბრის შედეგისთვის მიეღწია. მაშინ მიტინგის დარბევისა და ტელეკომპანია „იმედში“ შევარდნის შემდეგ პრეზინდეტი გადადგა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა. ნინო ბურჯანაძესაც სწორედ ეს ჰქონდა დაგეგმილი, ამიტომაც აპრილის აქციების დაწყების წინ მტკიცედ აცხადებდა, – სააკაშვილი აუცილებლად გადადგებაო, ეს არ იყო მხოლოდ პოლიტიკური განცხადება. მაშინ პარლამენტის ექსთავმჯდომარე საიდუმლო გეგმაზეც ალაპარაკდა.

– არსებობს კონკრეტული გეგმა, როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ეს ბრძოლა წარმატებულად დასრულდეს. – ამბობდა აქციების წინ ბურჯანაძე.

ოპოზიციას სურდა, ქუჩის აქციებს შეერთებოდა, დავით უსუფაშვილი ბევრს ეცადა მაშინ, გაეგო, რა კონკრეტულ გეგმაზე იყო საუბარი, მაგრამ ბურჯანაძემ რაიმე დეტალის გამჟღავნებაზე კატეგორიული უარი თქვა. რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა მაშინ თქვა, რომ ეს სახიფათო და არაკონსტიტუციური გეგმა უნდა იყოს, რაკი ნინო მას ასე გულმოდგინედ მალავს.

მოგვიანებით გამოჩნდა ნინო ბურჯანაძისა და მისი შვილის, ანზორიკო ბიწაძის ფარული ჩანაწერები:

ანზორ ბიწაძე: „თუ პასუხისმგებლობას იღებ, მაშინ სამოქალაქო ომზე წასვლაც ღირს. ღირს, ძმაო, 100 კაცის სიკვდილითაც და 500 კაცის სიკვდილითაც“.

ნინო ბურჯანაძე: „ხო, ეგრეა, კი“.

ნინო ბურჯანაძე: „კოჯრის ბატალიონი გვესვრის, ვითომ?“

ანზორ ბიწაძე: „არა, შანსი არ არი...“

ნინო ბურჯანაძე: „რატომ ხარ ეგრე დარწმუნებული?“

ანზორ ბიწაძე: „იცი, რა? კოჯრის ბატალიონი თუ მესვრის, პირველ იერიშს ავიცილებ და მერე „გრუ“-ს „სპეცნაზთან“ გაარკვიოს საქმე, რა...“

უკვე 27 მაისს კი შსს-მ გამოაქვეყნა კიდევ ერთი ფარული ჩანაწერი (8 მაისს). რესტორანში სუფრასთან მსხდომი მამაკაცები სახალხო კრების „შეფიცულთა“ გეგმებს განიხილავენ. ვიდეომასალაში ჩანან სახალხო კრების „შეფიცულთა“ ფრთის ერთ-ერთი ლიდერი გია უჩავა, სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერის ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძე და (ვიზუალური გამოსახულების გარეშე) ისმის სახალხო კრების კიდევ ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის ხმა.

შსს-ს მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით: ბადრი ბიწაძე, ნინო ბურჯანაძის მეუღლე და სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი ამბობს, რომ „ამ სიტუაციას“ ბათუმში უხელმძღვანელებს ვინმე „სიხარულიძე“, სადაც არის 150 კაცი და სადაც იქნება „მინითბილისი“ წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით. ის ასევე ამბობს, რომ „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის რეალური მებრძოლი ხალხი“ და ამ რაოდენობის მიხედვით უნდა მოხდეს გათვლა. „თუ ვიტყვით, რომ 500 კაცი არ არის და 50 კაცია, იმ 50 კაცზე უნდა მოხდეს გათვლა... უფრო ძნელი იქნება, მაგრამ მაინც შეიძლება იმითაც საქმის გაკეთება“, – ამბობს ბიწაძე. ვიდეომასალის ბოლოში ის ასევე ამბობს, რომ „ფაქტობრივად, გათვლილია ყველაფერი“.

იმავე ჩანაწერში სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის ხმა ამბობს, რომ მათი მთავარი ძალა არის ის, რომ ჰყავთ „შეფიცულები“, რომელსაც შეიძლება „სხვა ორგანიზებული ჯგუფები დაემატოს“ და ამას ზურგს უმაგრებს „ხალხის მასა“, რომელსაც „თუ თავში უდგას ეს ორგანიზებული ავანგარდი (ასახელებს 3 ათასს კაცს)... მასა იქცევა საშინელ ძალად“.

ამავე ვიდეომასალაში, სავარაუდოდ, გადამდგარი გენერლისა და „შეფიცულთა“ ერთ-ერთი მეთაურის გია უჩავას ხმა ახსენებს 500 „მეომარ“ კაცს. ასევე 3000-4000 ადამიანს აღმოსავლეთ საქართველოდან.

ფარულად ჩაწერილ ერთ ეპიზოდში, რომელიც შსს-ს მითითებით 4 აპრილით თარიღდება, სახალხო კრების ოფისში გია უჩავას მამაკაცი აჩვენებს, სავარაუდოდ, ხელნაკეთ საგანს, რომელზეც ეუბნება, რომ „სხვა მომენტში არის ცივი იარაღი“. მეორე მოკლე ეპიზოდში ჩანს მამაკაცი, რომელსაც ხელში რკინის ბურთულები უჭირავს. შემდეგ მოდის კადრი, სადაც არავინ ჩანს, თუმცა ისმის ხმა, რომელიც ამბობს: „თუ მაგაზე წავიდა. შენ რომ შარიკები ესროლო, მაშინ ჩვენ უნდა იარაღი ვესროლოთ“.

მოგვიანებით, 27 მაისს შსს-მ გამოაქვეყნა გია უჩავას აღიარებითი ვიდეოჩვენება, სადაც ის ამბობს, რომ მაისში რაიონული ორგანიზაციებიდან მიიღეს ინფორმაცია 3582 კაცის შესახებ, რომელიც, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა „ნახევრად გასამხედროებულ ორგანიზაციად“ და რომლის „შეიარაღებაში შედიოდა ფარები და დროშის ტარები“. მისი თქმით, ბადრი ბიწაძეს ჰქონდა ინიციატივა, რომ გაკეთებულიყო „რაგატკები“ და სასროლად გამოყენებულიყო რკინის ბურთულები, რასაც შეეძლო „ძალიან მძიმე დაზიანება მიეყენებინა ადამიანის სხეულისთვის და აგრეთვე, ზოგ შემთხვევაში ადამიანი დაღუპულიყო კიდევაც“. მისი თქმით, აქციის წინა დღეებში უკვე საუბარი იყო მოლოტოვის კოქტეილის შექმნაზე.

ჩვენებაში უჩავა ასევე ამბობს, რომ წამოიჭრა საკითხი, რომ საჭირო შემთხვევაში მომხდარიყო შეჭრა ტელევიზიაში და საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც გამოიყენებდნენ მოლოტოვის კოქტეილებს მანქანებისა და ტექნიკის დასაწვავად, მაშინ როცა პოლიცია მივიდოდა ამ „დანაშაულის“ აღსაკვეთად. აქციის მიმდინარეობისას, მისი თქმით, ერთ-ერთ ახალგაზრდულ ჯგუფს ჰქონდა დავალება, რომ გაეძარცვათ მაღაზიები და დაეწვათ მანქანები.

„აქვე მოდის ინფორმაცია, რომ აქციის გარეთ არის შეიარაღებული დაჯგუფება შეიარაღებული ცეცხლსასროლი იარაღით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შემოვა აქციის ტერიტორიაზე და ცეცხლს გაუხსნის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲩᲡ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ

26 მაისი – შეგნებული პროვოკაცია თუ კარგად დაგეგმილი გადატრიალება

სამართალდამცავ ორგანოებს“, – აცხადებს უჩავა თავის ჩვენებაში.

მისი თქმით, 21 მაისის ღამიდან „ყველაფრის“ ხელმძღვანელობას „თავის ხელში იღებს“ ბადრი ბინაძე „აქციის ტერიტორიაზე“.

მაშინ შოთა უტიაშვილი აცხადებდა:

– გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ჩვენ ჯერჯერობით არ ვლაპარაკობთ რუსულ კვალზე. ასეთ ვერსიას წამოვაყენებთ მაშინ, როდესაც საკმარისი მტკიცებულებები გვექნება. სასამართლო პროცესის დროს გამოჩნდება, იყო თუ არა რუსული კვალი, რამდენად სერიოზული იყო და ასე შემდეგ.

მაგრამ სასამართლო პროცესი არ ყოფილა და ახლა შეიძლება ითქვას, რომ ეს წინა ხელისუფლების სერიოზული შეცდომაა.

ახლა ბურჯანაძე ათას ერთ ტყუილს გვიყვება, საკუთარ თავს პოლიტიკოსს უწოდებს და ისიც ზუსტად იცის, რა უნდა და რა არ უნდა პუტინს.

თუმცა, ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ იგივე 2007 წელს მან სააკაშვილს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მხოლოდ იმიტომ, რომ პრეზიდენტმა 1 ლარად წყნეთში მიწის ნაკვეთი აჩუქა. ვერტიკალზე ყოფნის დროს კი არაფერი, საკუთარი კომფორტის გარდა, არ აინტერესებდა.

2007 წელს ვერტიკალზე დაბრუნების სანაცვლოდ მან სააკაშვილისგან მიიღო გარანტიები საკუთარი ქმრის ხელშეუხებლობის შესახებ. სხვა რა მოთხოვნები ჰქონდა ნინო ბურჯანაძეს საკუთარი ქმრის მიმართ, „პრაიმტაიმი“ ამაზე ადრეც წერდა:

„ბადრი ბინაძეს მისი მეუღლის მიერ „ვარდების რევოლუციაში“ შეტანილი წვლილის სანაცვლოდ სასაზღვრო პოლიციის შეფის სტატუსი უბოძეს. ბინაძემ, დანიშვნისთანავე, ამ უწყების 9-მილიონიანი ბიუჯეტის დაუყოვნებლივ გაზრდა მოითხოვა. გაიზარდა კიდეც – 2007 წელს დაფინანსებამ 62 მილიონს მიაღწია, 2008 წელს კი, ბურჯანაძის კატეგორიული მოთხოვნით, 80 მილიონს გადააჭარბა. როგორც საპაკაშვილის ეკონომიკური გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი იხსენებს, ბურჯანაძის მოთხოვნას ბოლო პერიოდში შანტაჟის ტონი შეეპარა: თუ ბადრის ბიუჯეტს არ გაუზრდით, პირს გავაღებ და ყველაფერს ვიტყვიო, ამიტომაც 2009 წელს ბინაძის მიერ მოთხოვნილი თანხა უპრეცედენტო აღმოჩნდა. მაშინ, როცა მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება საგრძნობლად შემცირდა და საერთო ბიუჯეტი 500 მილიონი ლარით განისაზღვრა, ბინაძე თავისი უწყებისთვის, 80 მილიონის ნაცვლად, უკვე 112 მილიონს ითხოვდა, თანაც ისე, რომ წყალი არ უნდა გასვლოდა მის მოთხოვნას. წარმოიდგინეთ, 500 მილიონიდან მხოლოდ საზღვრის დაცვისთვის 112 მილიონი უნდა დახარჯულიყო, შსს-ს დანარჩენ და არანაკლები მნიშვნელობის სამმართველოებსა და დეპარტამენტებს (მაგალითად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, პოლიციის სამმართველოები, ანტიტერორისტული ცენტრი, სოდ-ი, კუდ-ი და სხვა), რომელთა რაოდენობა 35-ს აჭარბებს, მხოლოდ დარჩენილი 388 მილიონი უნდა ეკმარათ“.

ფქვილის პრინცესა პუტინის პრინცესა გახდა. კომფორტი მაშინაც ჰქონდა და ახლაც აქვს, თუმცა არც პოლიტიკური ღირებულებები გააჩნია და არც თავმოყვარეობა – ისე შეუძლია მოიტყუოს, რომ წარბიც არ შეუტოკდება.

2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ ნინო ბურჯანაძე პარლამენტში სიტყვით გამოვიდა და თქვა:

– არ იყო ჩვენთვის მარტივი ამ გადაწყვეტილების მიღება, არც პრეზიდენტისთვის, არც ჩემთვის, არც ამ დარბაზში მყოფი ნებისმიერი ადამიანისთვის, არც სამართალდამცავი ორგანოებისთვის. მე მინდა იცოდეთ და ალბათ, იფიქროთ ჩემთან ერთად და წარმოიდგინოთ, რამხელა ტკივილი დუღდა თუნდაც იმ „სპეცნაზელებისა“ და სამართალდამცავების გულებში, რომლებიც იძულებული იყვნენ, თავისი მეზობლის, თავისი ნაცნობის, თავისი თანამოქალაქის, თავისი, შესაძლოა, ნათესავის წინაშეც კი მდგარიყვნენ, მაგრამ პირველად ამ ქვეყნის ისტორიაში, ამ ადამიანებმა შეძლეს, საკუთარი ტკივილისა და საკუთარი სიმძიმის განცდაზე მაღლა დაეყენებინათ ქვეყნის ინტერესი, ამ ადამიანებმა შეძლეს, წარმოედგინათ, რა მოჰყვებოდა მათს იმწუთიერ სისუსტეს, მათ შეძლეს, თავის თავზე მაღლა დამდგარიყვნენ. ეს არ არის მხოლოდ ხელისუფლების ბრალი, რომ ჩვენ ვერ ავიცილეთ ეს თავიდან. ეს კარგად გააცნობიერეთ. არც ერთ ჩვენგანს წარმოდგენილიც არ გვქონდა, რომ შეიძლებოდა, მოვლენები ასე განვითარებულიყო. მაგრამ ჩვენ დავდექით არჩევანის წინაშე, ან უნდა გადაგვერჩინა ეს ქვეყანა უმძიმესი საფრთხისგან, სახელმწიფო გადატრიალებისგან, ან უნდა გვეთქვა, რომ ჩვენ არ ვართ იმ პასუხისმგებლობისა და ნდობის ღირსი, რომელიც ხალხმა გამოგვიცხადა.

მან რუსეთის ბოლო იმპერატორიც გაიხსენა და თქვა, მას რომ რევოლუციონერებისთვის ესროლა, ქვეყანა 70-წლიან საბჭოთა სისხლისღვრას აიცილებდა თავიდანო და იქვე დასძინა:

– არის პოლიტიკოსების ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც ყველაფერი უნდა გააკეთო საკუთარი ნერვების, საკუთარი განცდებისა და ყველაფრის ფასად, რომ არ დაუშვა სისხლის მდინარეები შენს ქვეყანაში, არ დაუშვა, რომ შენი ქვეყანა დადგეს ძალიან დიდი საფრთხის წინაშე.

რას ამბობს ბურჯანაძე ახლა:

– მე ყველანაირად ვცდილობდი, ხელისუფლებას არ მოეხდინა მომიტინგეთა დაშლა, ვინაიდან ეს კიდევ უფრო გაამწვავებდა მოსახლეობის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას, რასაც შესაძლოა, ცუდი შედეგები მოჰყოლოდა... პატრიარქთან ცნობილი გახდა ჩემთვის, რომ სამართალდაცველებმა დაიწყეს აქციის დაშლა... იმავე დღეს, როგორც თქვენთვის ცნობილია, მომიტინგეებმა გადაინაცვლეს რიყეზე, სადაც ანალოგიურად მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ძალა, ხოლო რუსთაველსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, კონტროლის მიზნით, გამოიყვანეს საქართველოს შეიარაღებული ძალები. ჯარის რუსთაველზე გამოყვანა იყო უკანონო გადაწყვეტილება, რაც, რა თქმა უნდა, შოკურ მდგომარეობაში მიიღო პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

ასეთი პოლიტიკური ფიგურა ქართულ პოლიტიკას არ ჰყოლია. ყველა იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას, როგორც შეუძლია, ისე იმართლებს თავს, რადიკალურად პოზიციის შეცვლა ნამდვილად მერვე საოცრებაა.

ასე რომ, ბურჯანაძემ არა მხოლოდ 7 ნოემბრის გამო უნდა აგოს პასუხი, არამედ 26 მაისის პროვოკაციის გამოც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილის შემდეგ ბრალს

„მისი თავისუფალი გადაადგილება შეიზღუდება, როცა საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება“

მირიან ბოქოლიშვილი

მიხეილ სააკაშვილს პროკურატურამ ბრალი ოფიციალურად წარუდგინა, სასამართლომ კი ყოფილ პრეზიდენტს წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. როგორ იმოქმედებს ეს გადაწყვეტილება ღარიბაშვილის მთავრობის იმიჯზე? გაგრძელდება თუ არა პოლიტიკურად ცხელი ზაფხული და იქნება თუ არა შემდეგი უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი, გიგა ბოკერია? აქვს თუ არა მმართველ გუნდს იმედი, რომ საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შემთხვევაში სააკაშვილს საქართველოს გადმოსცემენ?

ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, ეკა ბესელიას ესაუბრა:

– ქალბატონო ეკა, სააკაშვილისთვის ბრალის წაყენება რამდენად მომგებიანი იყო პოლიტიკურად თქვენი გუნდისთვის?.. შეგახსენებთ, რომ შეშფოთება გამოთქვეს დასავლელმა ლიდერებმა... როგორ იმოქმედებს ეს გადაწყვეტილება ხელისუფლების იმიჯზე?

– სააკაშვილისთვის ბრალდების წარდგენა 7 ნოემბრის დარბევისა და ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდებისთვის, დარბევისთვის, საკუთარი მოქალაქეების მიმართ გამოვლენილი ძალადობისთვის, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო კანონზე მაღლა არ აყენებს არავის და პატივს სცემს საკუთარ კონსტიტუციას, სადაც ეს წერია.

ეს მომგებიანია იმისთვის, რომ სახელმწიფო შედგეს და მოხდეს პრევენცია იმისა, რომ არც ერთ ხელისუფალს არ გაუჩნდეს არასდროს ცდუნება, საკუთარი მოქალაქეები დაარბიოს, კონსტიტუცია დაარღვიოს და დანაშაული ჩაიდინოს. თუ ქვეყნის პრეზიდენტს დანაშაული აქვს ჩადენილი, სახელმწიფომ თვალი უნდა დახუჭოს იმიტომ, რომ სააკაშვილის მეგობრები არ შეშფოთდნენ?

– ხომ არ ფიქრობთ, რომ, როდესაც საქმე ეხება პრეზიდენტს, ხელისუფლება გარკვეულ კომპრომისზე უნდა წასულიყო, თუნდაც საერთაშორისო კრიტიკის თავიდან ასაცილებლად? გასაგებია, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მაგრამ არსებობს პოლიტიკური კონიუნქტურაც, რომელსაც ითვალისწინებენ ხოლმე თუნდაც დასავლეთში...

– პოლიტიკური კონიუნქტურა თუ გადაწონის კანონის უზენაესობას, ის სახელმწიფო არ შედგება და ეს დემოკრატიის მარცხია. როგორ ფიქრობთ, საფრანგეთი, ან იტალია ის ქვეყანაა, სადაც პოლიტიკური კონიუნქტურა არ არსებობს? სწორედ ესაა საზომი ქვეყნის სამართლებრივი წყობის – არიან თუ არა ხელშეუხებელნი პრივილეგირებული ადამიანები. ასეთი დრო იყო სააკაშვილის ზეობის პერიოდში, როდესაც მათთვის არ არსებობდა კანონი, ყველაფრის უფლება ჰქონდათ თავად და დანარჩენი მოსახლეობა ამ უსამართლობით იტანჯებოდა. რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოებას, სწორედ დასავლეთი ითხოვდა ამ საქმეების გამოძიებას. ნახეთ, რა დასკვნა დადო გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა? იმაზე, რასაც ახლა პროკურატურა აკეთებს, გაეროს კომიტეტმა თქვა, რომ დაჩქარდეს 2012 წლის საქმეების გამოძიება და კვალიფიკაცია შეიძლება იყოს უფრო მძიმე, ვიდრე ეს არის სამოხელეო დანაშაული. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად შეიძლება შეფასდეს, როდესაც რეჟიმი მიმართულია სისტემური დანაშაულებისკენ. სწორედ ასეთი იყო სააკაშვილის რეჟიმი.

– სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შემთხვევაში იმედი გაქვთ, რომ მას დააკავებენ და გადმოგცემენ?

– სააკაშვილი ეძებს პოლიტიკურ ქოლგას და ის ამისთვის გამოიყენებს იმ უდიდეს ფინანსურ რესურსს, რაც საკუთარ ქვეყანასა და მოქალაქეებს წაართვა. შემთხვევითი არ იყო უნგრეთიდან მისი ყოყლოჩინა საუბარი და უნგრეთის პრემიერის მხარდაჭერა. ეს პირადი ურთიერთობებია და „სახალხო პარტიის“ ქოლგის ქვეშ მყოფი მეგობრების დახმარების იმედი აქვს. ადეიშვილმაც ასე შეაფარა თავის უნგრეთს, ახლა სააკაშვილის დროა, მაგრამ მისი თავისუფალი გადაადგილება შეიზღუდება, როცა საერთაშორისო ძებნა გამოცხადდება. რატომ შეეშინდა პროკურატურაში გამოცხადების? ახლა ხომ აღარ აწამებენ ადამიანებს და შეეძლო გაეცა კითხვებზე პასუხი. მას სხვა ფაქტებზეც მოუწევს პასუხის გაცემა... ძალიან ბევრი, ათასობით ადამიანის უფლება შეილახა იმ წლებში. ჩვენ ვერ ავუდივართ ამდენ საჩივარს, რომელიც ყოველდღიურად შემოდის მხოლოდ ჩვენს კომიტეტში. ასევე, პროკურატურაში, სახალხო დამცველის ოფისში... ამ ადამიანებს რომ უფლებები შეელახათ, აწამებდნენ, ქონებას ართმევდნენ და საშინელებებს სჩადიოდნენ, არავინ უნდა აგოს პასუხი?

– დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში კვლავ მხარდაჭერით სარგებლობს სააკაშვილი... ამას თქვენ მის პროდასავლურ კურსს უკავშირებთ, თუ ფიქრობთ, რომ კვლავაც აქტიურად იყენებს ლობისტურ კომპანიებს?

– სააკაშვილის მხარდამჭერნი არიან ის ლობისტური კომპანიები, რომელშიც საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი მილიონები იხარჯებოდა წლების განმავლობაში. ბუნებრივია, იმ ხალხს, ვინც ამ ძღვენს იღებდა, აქვს ვალდებულება. ასეთები ცოტანი არიან, დანარჩენ სამყაროს სააკაშვილი არ აინტერესებს და ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ ახლა მთელი მსოფლიო სააკაშვილის ბრალდების გამო გლოვობს.

– თქვენ უშუალოდ იყავით 7 ნოემბრის მოვლენების მონაწილე... იქნებ განუმარტოთ ჩვენს მკითხველს, კონკრეტულად რა მიუთითებს სააკაშვილის დანაშაულზე? სააკაშვილის გვერდის ავლით, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა აქციის იმ ფორმით დარბევა და შემდგომში განვითარებული მოვლენები?

– საქართველოში ბავშვიც რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ, ვისი ბრძანებით მოხდა 7 ნოემბრის დარბევა, გეტყვით, რომ, რასაკვირველია, სააკაშვილის.

– თუმცა ერთია, რას გვეტყვის ბავშვი და მეორე – რა მტკიცებულებები აქვს ბრალდებას...

– რასაკვირველია და მერწმუნეთ, რომ უამრავი ასეთი მტკიცებულება არსებობს. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, მის გარეშე ჩატარდებოდა ასეთი ძალადობრივი დაშლა? დილით დაიწყო დარბევა, მაშინ რუსთაველზე ვიდექი... ყველა მხრიდან მოგვდევდნენ... შემდეგ რიყეზე გადავინაცვლეთ და იქ ყველა მხრიდან სპეცრაზმი დაიძრა... არასოდეს დამავიწყდება ის დღე... ვიდექი გაქვავებული და ვუყურებდი, როგორ მოემართებოდა სპეცრაზმი... გაქცევა არ შემეძლო... ვიღაც მოვარდა და თავის მანქანაში ჩამსვა, – გაგიყვანთ, თორემ მოგკლავენო. სამებაში ავედით... ტაძრამდე ფეხით ავედით, იქ ვიპოვე გია ცაგარეიშვილი. ხალხი საშინლად შეშინებული და დათრგუნული იყო... აქაც დაიძრა სპეცრაზმი და ველოდებოდით, როდის დაგვარბევდნენ... საშინელება იყო... ჯარიც კი გამოიყვანეს და ეს მოხდებოდა მთავარსარდლის გარეშე? ამაზრზენი იყო, როგორ ურტყამდნენ წაქცეულ ადამიანებს... ეს ყველაფერი წარმოუდგენელია, სააკაშვილის გარეშე მომხდარიყო.

– დღეს ნინო ბურჯანაძე 7 ნოემბრის საქმეზე პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი მოწმე გახლავთ, თუმცა თავის დროზე გვახსოვს ქალბატონი ბურჯანაძის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ მოვლენები, რომელიც მაშინ რუსთაველზე ვითარდებოდა, იყო კონკრეტული ადამიანისა და კონკრეტული ქვეყნის ინტერესებში და რომ აქციის დარბევით ქვეყანამ სერიოზული საფრთხე აიცილა თავიდან... როგორც იურისტს, მინდა გკითხოთ, რამდენად გამოადგება ბრალდებას ბურჯანაძის დღევანდელი ჩვენება სააკაშვილის წინააღმდეგ? და როგორც პოლიტიკოსი, ფიქრობთ თუ არა, რომ იმ ცნობილი გამოსვლის შემდეგ ბურჯანაძესაც ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა?

– ამ საქმეში, ბურჯანაძის გარდა, ბევრი მოწმეა და ყველას ჩვენება სამართლებრივი თვალსაზრისით მტკიცებულებაა. ერთია პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მეორე – სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პოლიტიკური გუნდი, რა თქმა უნდა, ინაწილებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, მაგრამ სააკაშვილის, ადეიშვილის, მერაბიშვილისა და სხვათა როლი არ არის მხოლოდ პოლიტიკური. პროკურატურას ამ საქმეზე 80 ტომი აქვს და უამრავი ადამიანი იძლევა ჩვენებას. ეს ყველაფერი საბოლოოდ სასამართლოზე შეფასდება.

– ფიქრობთ თუ არა, რომ თავის დროზე სააკაშვილის მთავრობას პასუხისგებაში უნდა მიეცა ედუარდ შევარდნაძე? თქვენ მაშინ საადვოკატო საქმიანობას ეწეოდით და, ალბათ, ყველაზე კარგად გემახსოვრებათ იმდროინდელი სამართლიანობის პრინციპები?

– მიჭირს გარდაცვლილ ადამიანზე საუბარი. სამართლიანობა რომ არ იყო, იმიტომ მოხდა რევოლუცია. ხალხს ცვლილებები სჭირდებოდა. სააკაშვილი ამ ლოზუნგით მოვიდა და შევარდნაძის მმართველობის შემდეგ იქცა კიდევ უფრო უსამართლო რეჟიმის შემქმნელად. ის, რაც მის დროს ხდებოდა, არ მახსოვს არასდროს... ადამიანი, როგორც ასეთი, მისთვის არ არსებობდა. უნდა გაესამართლებინა თუ არა შევარდნაძე, ეს მრავალწახნაგოვანი საკითხია. სააკაშვილმა მოსვლისთანავე დაიწყო შევარდნაძის გუნდის წევრების დაპატიმრება უკანონო მეთოდებით. ფულს ართმევდა და ათავისუფლებდა. შევარდნაძის დროს ბევრი უსამართლობა ხდებოდა, მაგრამ სააკაშვილისთვის ეს არ იყო მთავარი. მთავარი იყო, ძალაუფლება შეენარჩუნებინა ნებისმიერი ფორმით.

– რამდენად რეალურია ოპოზიციის შიშები „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით? თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს და არის თუ არა ალბათობა, რომ ტელეკომპანიის მიმართ დაიწყოს სამართლებრივი პროცესები?

„სააკაშვილის მხარდამჭერნი არიან ის ლობისტური კომპანიები, რომელშიც საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი მილიონები იხარჯებოდა წლების განმავლობაში. დანარჩენ სამყაროს სააკაშვილი არ აინტერესებს და ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ ახლა მთელი მსოფლიო სააკაშვილის ბრალდების გამო გლოვობს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიგა ბოკერიას ნაუყენებენ

ეკა ბესელია: „უშიშროების საბჭოს მიმართ არსებობს კითხვები, სად და ვისთან მიდიოდა ეს მილიონები? ვისთვის და რა მიზნით იხარჯებოდა უზარმაზარი თანხები?“

„ჩიორას აქვს პრივილეგია, სტატუსი, მეტი ხელფასი და არაფერს აკეთებს, კომიტეტში სხდომების ჩაშლის გარდა“

EXCLUSIVE

– „რუსთავი 2“-ს ხელისუფლებამ მისცა თავისუფლება ისევე, როგორც სხვა ტელევიზიებს. დღეს მედიას არ აკონტროლებენ და ეს იგრძნო ყველამ. პირიქით, „რუსთავი 2“-ს ძველი ხელისუფლება დღესაც აკონტროლებს და გამოძიება თუ ჩატარდება, გამოჩნდება, როგორ ჩაიგდო ხელში ეს ტელევიზია მიხეილ სააკაშვილმა. მე მახსოვს ქიბარ ხალვაშის ჩვენებები, სადაც ის ყველაფერს ყვება.

– დაანონსებული ცხელი ზაფხული დასრულდება სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენით, თუ კიდევ უნდა ველოდოთ ტემპერატურის მატებას?

– პოლიტიკურად, ზაფხული ცხელი ისედაც არის. დაველოდოთ, როგორ იმუშავებს პროკურატურა. მათ ძალიან ბევრი საქმე აქვთ. უამრავი საჩივარია შესული.

– არის საუბარი იმაზე, რომ შემდეგი იქნება გიგა ბოკერია? ის თავის დროზეც არაერთხელ ახსენა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც უშიშროების საბჭოდან გახარჯულ თანხებზე საუბრობდა... თქვენ რა კითხვები გაქვთ, უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანთან?

– უშიშროების საბჭოს მიმართ არსებობს კითხვები, სად და ვისთან მიდიოდა ეს მილიონები? ვისთვის და რა მიზნით იხარჯებოდა უზარმაზარი თანხები? ეს გამოძიების საქმეა და ცხადია, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს.

– თქვენმა ოპონენტებმა ბოლო პერიოდში გააქტიურეს „კანონიერი ქურდების“ თემა და აღნიშნეს, რომ ხელისუფლების ხელშეწყობით ქვეყანაში შემოვიდა რამდენიმე „კანონიერი ქურდი“... რამდენად საფუძვლიანია მათი ბრალდებები?

– სასაცილოა, „კანონიერი ქურდების“ თემაზე რომ გივი თარგამაძე საუბრობს. გაიხსენეთ, უკრაინაში არჩევნებს რომ ატარებდა თავისი სცენარითა და ზონდერებით, გაიხსენეთ გივის სატელეფონო საუბარი კრიმინალურ სამყაროსთან, გაიხსენეთ სააკაშვილს რომელი ქურდი ეხმარებოდა რევოლუციის დროს და საერთოდ, ბევრი ფაქტია მათი და „კანონიერი ქურდების“ კავშირის შესახებ. სასაცილოა ჩემთვის ასეთი ბრალდებების მოსმენა.

– დაბოლოს, რაკიღა „კანონიერი ქურდების“ თემას შევეხეთ, აქვე გკითხავთ თქვენსა და ჩიორა თაქთაქიშვილს შორის რამდენიმე დღის წინ მომხდარ ინციდენტზე... რატომ დაგიპირისპირდათ თაქთაქიშვილი რეალურად?

– „ნაცმოძრაობას“ სიმართლეს რომ ვახსენებ, ეს აღიზიანებთ. მე მათთვის იმ მძიმე წარსულის მემატიანე ვარ, ვინც ყველაფერი გამოიარა, რაც წინა წლებში ხდებოდა. როდესაც ამას ვახსენებ ხოლმე, ეს ნერვებს უშლით.

ასე ეშლება ნერვები ჩიორასაც, რომელიც ჩემი მოადგილეა და არღვევს ყველა პროცედურას. აქვს პრივილეგია, სტატუსი, მეტი ხელფასი და არაფერს აკეთებს კომიტეტში, სხდომების ჩაშლის გარდა. რეგლამენტის თანახმად, ასეთი მოადგილე არ უნდა იყოს და როდესაც ხულიგნობს, პასუხი უნდა გაეცეს. მე არ ვაპირებ, ნაციონალების მხრიდან მორალის კითხვა ავიტანო.

„რუსთავი 2“-ს დღესაც ძველი ხელისუფლება აკონტროლებს და თუ გამოძიება ჩატარდება, გამოჩნდება, როგორ ჩაიგდო ხელში ეს ტელევიზია მიხეილ სააკაშვილმა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით „ტობა fest“ 2014 გაიმართება

ნანა შონია

ზღვის დონიდან 2 650 მეტრის სიმაღლე, ლურჯად მოელვარე მწვანეში ჩამჯდარი ტბა, ადგილი, სადაც დრო ჩერდება და ბუნება მბრძანებელია - ეს სამეგრელოა და შენ ტობავარჩხილზე მოხვდი.

მდინარე ხობისწყლის ხეობა, ტობავარჩხილისკენ მიმავალი გზის პირველი ეტაპია. ხეობა მთელ აღმოსავლეთ ევროპაში უნიკალურია, იმით, რომ ერთი მდინარის გაყოლებაზე შეხვდებით მღვიმეებს, ხავსიან მასივებს, მინერალურ წყალს, ალპურ ტბებს, ჩანჩქერებს, მწვერვალებსა და მყინვარს.

25-კილომეტრიანი ურთულესი მონაკვეთი და პირველი გაჩერება, მწყემსების ქოხი, რომელსაც მეგრელები „კარეს“ ეძახიან. „კარეში“ წარსულია გაცოცხლებული, საუკუნეებით უკან იხევ, მეგრულ ელარჯს, მთის მაწონს აგემოვნებ და კვამლით აცრემლებული თვალებით შეიგრძნობ იქაურობას.

„კარე“ რაა „ტაბაკის“ გარეშე, „ტაბაკი“ ჩვეულებრივი, საშუალო ზომის „ჯორკოა“, რომელიც ხისგან არის გამოთლილი და სპეციალურად ელარჯისა და ღომისთვის, თეფშის მაგივრად, საუკუნეების წინ სამეგრელოში გამოიყენებოდა.

წინ ისევ გრძელი გზა, აღმართი, ტაფოები და მთის ძირში პირველი დიდი საოცრება - ცაშკიბულია - სამეგრელოს ყველაზე მაღალი და დიდებული მწვერვალი, თავგადასავლების მაძიებელი ტურისტებისთვის.

უძველესი ლეგენდა ამბობს, ვინც ტობას ტბის მყუდროებას დაარღვევს და მის წყალში იბანავებს, შავი ღრუბლების რისხვა დაატყდება, რომელიც იქ ყველაზე ახლოსაა. ეს მხოლოდ მცირედია იმ ადამიანების შთაბეჭდილებებიდან, რომლებმაც ტობავარჩხილის საოცრების ნახვით საქართველოს შეცნობა მოახერხეს.

ტობას მყუდროების დარღვევას არა, თუმცა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, წელს, ამ საოცრების შეგრძნება ყველას შეეძლება. შიდატურიზმის ზრდისა და სამეგრელოს სათავგადასავლო პოტენციალის განვითარებისთვის, წელს, ტობაზე, ხუთდღიანი ტობას ფესტივალი - „ტობა fest“ 2014 გაიმართება.

ფესტივალის ფარგლებში, წელს, ტობაზე მოხვედრა სრულიად უფასოდ 100 ადამიანს შეეძლება. 150 -კაციან შემადგენლობაში, ინსტრუქტორები, მედიკოსები და მზარეულები იქნებიან.

როგორი იქნება „ტობა fest 2014“ ამაზე შიდა ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამარ ჯაკონია საუბრობს.

თამარ ჯაკონია, შიდა ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით, 12-დან 16 აგვისტოს ჩათვლით, სამეგრელოში, ტობავარჩხილის ტბაზე, ტობას ფესტივალი გაიმართება. ჩვენი ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს სამეგრელოს სათავგადასავლო პოტენციალის შესწავლაზე და განვითარებაზე. ამ ღონისძიების მიზანი კი ეგრისის ქედის ტერიტორიაზე არსებული საფეხმავლო მარშრუტების პოპულარიზაცია და ტურისტული ნაკადის ზრდაა. ხუთდღიანი ტურის ფარგლებში, ლაშქრობის მოყვარულები ნახავენ ეგრისის ქედს და ტობავარჩხილის ტერიტორიას. გაეცნობიან ადგილობრივ ყოფას, კულტურას, ტრადიციებს, ტურისტულ რესურსებს. ჩაუტარდებათ თეორიული ლექციები, რომელიც მიეძღვნება იმ ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებას და ტურისტულ რესურსებს. თუ რა პოტენციალი აქვს ამ ადგილებს სამომავლოდ, როგორც დაცული ტერიტორიის თვალსაზრისით, ასევე ტურისტული პროდუქტების განვითარების კუთხით. ღონისძიება სრულად არის დატვირთული გასართობი ნაწილითაც, ყოველ საღამოს დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები. ყველაზე საინტერესო, შექმნილ სიტუაციაში, არის ის, რომ მონაწილეთა შერჩევა გამჭვირვალე პრინციპით ხდება, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სოციალური გვედის მეშვეობით, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეავსოს ანკეტა და დარეგისტრირდეს. წელს „ტობა fest“-ის ფარგლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უზრუნველყოფს 100 ადამიანის ტრანსპორტირებასა და კვებას.



- როგორც ცნობილია, საკმაოდ რთული მონაკვეთია გასავლელი, თუ არსებობს კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია და წამსვლელთა შერჩევისას იქნება გადამწყვეტი?

- ძალიან რთული მარშრუტია, სამწუხაროდ, ალბათ, ყველა ვერ შეძლებს ამ მარშრუტის დაძლევას. პირველი მოთხოვნა ის არის, რომ უნდა გქონდეს გარკვეული კატეგორიის ლაშქრობებში მონაწილეობის გამოცდილება.

სწორედ ამიტომ გადარჩევაში გვეხმარება მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაცია, რომელიც მასში არსებული კლუბების საშუალებით, რეკომენდაციას უწევს მოლაშქრეებს და აფასებს მსურველთა ფიზიკურ მონაცემებს. ტობაზე წასვლის მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. უკვე ხუთასამდე აპლიკაციაა შემოსული. რომელთა გადარჩევაც მოხდება და საბოლოოდ 100 ადამიანი შეირჩევა. ხუთდღიანი ტურის ფარგლებში, ხუთივე დღეს ვართ გზაში. პირველ დღეს გასვლა იქნება თბილისიდან სამგზავრო ავტობუსების საშუალებით. მოგეხსენებათ, რომ საავტომობილო გზა არის მუხურამდე, მუხურიდან კი სატვირთო მანქანებით ე.წ. ურალებით მოგვიწევს გადაადგილება. პირველ დღეს დავბანაკდებით და კარვები გაიშლება მწყემსების ქოხებთან, შემდეგ მივუახლოვდებით „ცასკიბულის ტბას“, რომლის შემდეგაც გამოჩნდება ალპური ზონა და ტობავარჩხილი. მინდა ყველას ვუთხრა, ეს უფრო მეტია ვიდრე ჩვეულებრივი ტური ან ლაშქრობა, აქ ყველაფერი იქნება იმისათვის, რომ ქვეყანაში სათავგადასავლო და შიდა ტურიზმი განვითარდეს. ადამიანები, რომლებიც ამ ღონისძიებაში ჩაერთვებიან, ისწავლიან ყველაფერს, ბუნებაში ორიენტაციიდან დაწყებული ბანაკის გაშლით დამთავრებული.

- ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მსგავს ტურს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აწყობს?

- არა, სხვადასხვა ფორმით ლაშქრობები ჩვენ გვქონია საქართველოს მთიან რეგიონებში, თუმცა ასეთი მასშტაბური არა. ჩვენი მიზანია ტობას ფესტივალმა საფესტივალო სახე მიიღოს და ეს ყოველწლიური ხასიათის იყოს, რათა უფრო მეტ ადამიანს მიეცეს ჩართვის შანსი და ამ საოცარი სანახაობა, მიზანი ერთია, ეგრისის ქედის ტურისტული ბილიკებისა და ზოგადად ლაშქრობის პოპულარიზაცია ქვეყანაში. ნებისმიერ მსურველს ვისაც ლაშქრობა უყვარს, შეუძლია გახდეს ჩვენი წევრი და ჩაერთოს მსგავსი სახის ღონისძიებებში. მოლაშქრეების პოტენციალს კი აფასებენ ჩვენი ინსპექტორები. ტობა არის ერთ-ერთი ყველაზე რთული სალაშქრო ბილიკი საქართველოში. მოლაშქრეებს გასავლელი ექნებათ 25 -კილომეტრიანი მონაკვეთი, თუმცა ეს საკმაოდ რთული 25 კილომეტრია. გზაში მოგიწევთ ყველანაირი კლიმატური ზონის გავლა. ჯგუფს გამოცდილი ინსტრუქტორები მიჰყვებიან და ამ კუთხით გართულებებს არ ველოდებით. მთლიანობაში 150-კაციანი შემადგენლობიდან 100 მონაწილე, 20 ინსტრუქტორი, მედიკოსები და მზარეულები არიან. ადამიანები დაიყოფიან ჯგუფებად, ჯგუფებს თავიანთი ხელმძღვანელები ეყოლებათ, მაგრამ ისინი ერთ მთლიანობაში იმოძრავებენ. იქნებიან წარმომადგენლები გარემოს დაცვის სამინისტროდან და დაცული ტერიტორიების სააგენტოდან, ისინი მონაწილეებს სრულ ინფორმაციას მიაწვდიან, ამ ადგილის მრავალფეროვანი ბუნებისა და ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით.

ღვთისო ტურძილაძე, მოლაშქრეთა ფედერაციის ხელმძღვანელი: - ეს ყოველწლიური მასშტაბური პროექტი ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივაა, ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივაა, ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივაა,

ჯეოსელი

50 ლარი

- უსასრულო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- უსასრულო SMS-ები
- უსასრულო ინტერნეტი

ამ>ის უსასრულო

შეიძინეთ გადახდის აპარატებში ან ჯოდით *010#OK

7036 - ჯეოსელიდან (ზარი უფასოა)

110110 - ყველა ქსელიდან

www.geocell.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილი დიდი პოლიტიკური შოუსთვის ემზადება

ქეთი ხატიაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის ახალგაზრდა მმართველები შესაძლოა, დემოკრატიული მმართველობით ვერ დაიკვეხნიდნენ, თუმცა მათი მისია ამ რეგიონში თითქოს უფრო ერთიანი ფრონტის გახსნა იყო რუსეთის წინააღმდეგ.



„ყველა ქვეყანაში კარგად მიღებენ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში...“

ფრონტმა რღვევა მაშინ დაიწყო, როცა პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი ტრაგიკულად დაიღუპა. რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუ „უკანასკნელი მოჰიკანია“. გამოკვეთილ ანტირუსულ პოლიტიკას აღმოსავლეთში მხოლოდ ის ატარებს, ანუ ამ მხრივ რადიკალიზმით გამოირჩევა. რუსეთში რუმინეთის მოქმედ პრეზიდენტს უკვე დიდი ხანია საქართველოს ექსპრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ადარებენ. რუსულ მედიაში წერენ, რომ ბესესკუმ შესაძლოა, მიიღოს ბესარაბიაში ის, რაც სააკაშვილმა ცხინვალში მიიღო, ანუ ომი...

ტრაიან ბესესკუმ გაპრეზიდენტებისთანავე განაცხადა პრეტენზიები მოლდოვაზე, თქვა რა, რომ ეს რუმინეთის მიწაა და რომ მალე ეს ტერიტორია რუმინეთი გახდება. მეტიც, ბესესკუმ მოითხოვა კიშნიოვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება რუმინულ ენაზე გაეფორმებინა.

– წელს 25 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთმა ბესარაბიის ანექსია მოახდინა, მაგრამ რუმინეთს შეუძლია, ეს ტერიტორია უკან დაიბრუნოს, მას შემდეგ, რაც მოლდოვა ევროკავშირის წევრი გახდება, – ეს ტრაიან ბესესკუს სიტყვებია.

მანამდე კი მან მტკიცედ განაცხადა, რომ არ აპირებდა, ეღიარებინა, რუმინეთი-მოლდოვის საზღვარი, რათა ამით მისი მხრიდან არ მომხდარიყო მოლოტივ-რიბენტროპის პაქტის ცნობა, რითაც ბესარაბია საბჭოთა კავშირმა მიიტაცა.

ტრაიან ბესესკუ სკანდალშიც გაეხვია. ყველაზე ხმაურიანი მაინც მისი ძმის დაკავების ფაქტი იყო. პრეზიდენტის ძმას ბრალად ედებოდა კანონიერ ქურდებთან კავშირი. მედია წერდა, რომ მირჩი ბესესკუ ერთ-ერთ კრიმინალურ ავტორიტეტს ციხიდან დახსნას დაჰპირდა. პრეზიდენტის ძმა დააპატირეს, პარლამენტში ძმა ბრალმდებელ ტიმ დაემუქრნენ და გადადგომა მოითხოვეს. თუმცა, ტრაიან ბესესკუმ გადადგომაზე უარი თქვა.

სააკაშვილი ვიქტორ ორბანთან ერთად

სააკაშვილი ტრაიან ბესესკუსთან ერთად

სააკაშვილისა და ბესესკუს მეგობრობის მიუხედავად, სააკაშვილი უნგრეთში ჩადის და პრემიერ ვიქტორ ორბანს ხვდება. საინტერესოა, რომ, თუ თავისი რადიკალიზმით ცნობილმა რუმინეთის პრეზიდენტმა მწვავე განცხადებები გააკეთა, უნგრეთის პრემიერმა გულახდილად განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ინტერესები მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

ვიქტორ ორბანი, უნგრეთის პრემიერი:

– რა თქმა უნდა, ჩვენ სოლიდარულები ვართ უკრაინის, თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია, დავივიწყოთ საკუთარი ინტერესები. თუ ჩვენ რუსეთთან კარგი ურთიერთობა უნდა შევინარჩუნოთ იმისთვის, რომ აღმოსავლეთ ნაკადი მივიღოთ, მაშინ ჩვენ აღმოსავლეთ ნაკადს დავუჭერთ მხარს.

ტრაიან ბესესკუ, რუმინეთის პრეზიდენტი:

– რუსეთი როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო მხარდაჭერას უცხადებს უკრაინაში მყოფ სეპარატისტებს, შესაბამისად, ის სეპარატისტების პარტნიორად გამოდის. ევროკავშირს რომ სანქციები თავის დროზე დაეწესებინა, შესაძლოა, თვითმფრინავის ტრაგედია თავიდან აგვერიდებინა. და რაც უფრო გავწელავთ სანქციების დაწესებას, რათა პუტინს ხელი შევუშალოთ, მით უფრო შევუწყობთ ხელს საბჭოთა კავშირის აღდგენას.

რა თქმა უნდა, სააკაშვილი თავისი განცხადებებითა და შეხედულებებით, რუმინეთის პრეზიდენტს უფრო უახლოვდება, თუმცა ის უნგრეთის პრემიერთან ჩავიდა, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთთან და პუტინთან. მას პუტინის მეგობარსაც კი ეძახიან.

საქართველოში მაშინვე ითქვა, რომ სააკაშვილი პოლიტიკურ თავშესაფარის ითხოვს.

ლევან ბერძენიშვილის განმარტებით:

– მიხეილ სააკაშვილი, ცოტა არ იყოს, ბრალდებული კაცის პირობაზე ადეკვატურად არ იქცევა. რაც შეეხება თავშესაფარს, მას პოლიტიკური თავშესაფარი დასჭირდება და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ტყუილად და შემთხვევით არ იმყოფება უნგრეთში. პირველივე დღეს, როგორც კი ბრალდება ითქვა, გითხარით, რომ ვიცი, სად იმყოფება და შემდეგში სად იქნება-მეთქი. ვიცოდით, რომ იქ იქნებოდა, სადაც ადეიშვილს მისცეს თავშესაფარი. მას იქ გარანტირებული მეგობარი ჰყავს, ორბანის სახით. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი არის მისი პირადი მეგობარი, ძალიან ბევრი რამ აქვთ ერთად გაკეთებული და ძალიან ბევრ რამეში ერთად ედებათ ბრალი.

თუმცა, ბერძენიშვილი ამ ვარაუდში მარტო არ ყოფილა, მსგავსი შეფასებები სხვებმაც გააკეთეს, უფრო ზუსტად ყველამ, ნაციონალების გარდა.

– რას ნიშნავს პოლიტიკური თავშესაფარი? რაში მჭირდება ეს, ყველა ქვეყანაში კარგად მიღებენ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში... – ეს უკვე სააკაშვილის რეპლიკაა.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სააკაშვილმა დიდი პოლიტიკური შოუ დადგას და ჯერ ამერიკის სასამართლოს ჩაჰბარდეს და შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნების სასამართლოებს, რომლებიც საქმის დეტალურ განხილვაში არ შევლენ და გამოაცხადებენ, რომ ექსპრეზიდენტი პოლიტიკური დევნის მსხვერპლია. ამიტომაც უარს იტყვიან მის საქართველოსთვის გადმოცემაზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბადრი, იცოდე, ეს დიდი თა

რა წერილი მისწერა ისრაელის მოქალაქემ, ომარ თეთრაშვილმა პატარკაციშვილს?

მარიამ ნადირაძე

ამ სტატიის თემა ბადრი პატარკაციშვილის ის ინვესტიციაა, რომლითაც მან საქართველოში შემოსვლა დაიწყო. თავშივე ვიტყვით, რომ ამ პუბლიკაციის მიღმა არ არის საჭირო ლოგიკური კავშირების ძებნა ბოლო დღეებში გახმაურებულ შვიდი ნოემბრის საქმესთან, ან ირაკლი კოდუას სკანდალურ ინტერვიუსთან, რადგან ამ თემაზე „პრაიმტაიმი“ უკვე სამი კვირაა მუშაობს. შესაბამისად, მკითხველს მას ვთავაზობთ, როგორც ყველაფრისგან დამოუკიდებელ მასალას.

ჩვენი რესპონდენტი კი ისრაელის მოქალაქე, ომარ თეთრაშვილია, რომელიც ამჟამად ძებნაშია. მან „პრაიმტაიმისთვის“ მასზე თავს გადამხდარი ისტორიის ექსკლუზიურად მოყოლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა პუბლიკაცია თურქი ბიზნესმენის, ომარ სარის შეახებ, რომელიც საქართველოში სამართალს ეძებს. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტის მთავარი მიზანი კი საზოგადოების ინფორმირებაა ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს „მაუდის კომბინატის“ გარშემო მიმდინარე პროცესების შესახებ, რომლის შედეგადაც ის უკვე რამდენიმე წელია, ოჯახისგან მოშორებით ცხოვრობს და დღემდე ვერ გაურკვევია, რა გახდა რეალურად მისი დევნილობის მიზეზი:

– საქართველოში პირადად მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მოწვევით ჩამოვედი, რათა სათავეში ჩავდგომოდი იმ საწარმოს, სადაც ბოლო რვა წელი მთავარ ინჟინრად ვმუშაობდი. როცა წარმოებაში შევედი და სიტუაციას გადავხედე, ურთულესი მდგომარეობა იყო. 2 მილიონამდე საბიუჯეტო დავალიანება ჰქონდა, ხელფასები გადაუხდელი, გასაკეთებელი იყო რეკონსტრუქცია. მაუდის კომბინატმა რომ იმუშაოს, სჭირდება გარეცხილი მატყლი. სამრეცხაო მულავერში დაკეტილი იყო. დაკეტილი იყო სამკერვალოებიც. თანხების მოზიდვა იყო საჭირო. მე პირადად ამის საშუალება არ მქონდა და წავედი. ისევ დამირეკეს, ჩამოდი, გვერდში დაგიდგებითო. თვითონ პრეზიდენტმა დამირეკა ბორჯომიდან. სწორედ ამ დროს მოსკოვში ბადრი პატარკაციშვილს პოზიციები დაკარგული ჰქონდა და საქართველოში აპირებდა ჩამოსვლას. მასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა. ბადრიმ სკოლა რომ დაამთავრა ჩემთან მაუდში მოვიდა სამუშაოდ. მე ვიყავი წარმოების უფროსი და ზეინკლად გავაფორმე. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, მერე ოჯახურ ურთიერთობაში გადაიზარდა. სხვათა შორის, ბადრიმ თავის შვილს ლია იმიტომ დაარქვა, რომ ჩემს მეუღლეს ჰქვია ლია. ოლიმპიადაზე 1980 წელს მე გამაგზავნეს საქართველოდან და 2 ბილეთი ავიღე, რომ ბადრიც წამომყოლოდა. მომწონდა მისი ხალისიანი ბუნება. მერე ბადრი წავიდა კომბინატიდან და თავის გზას გაჰყვა. უკვე 1986-88 წლებში მირეკავს, რომ იქნებ მოსკოვში ჩავსულიყავი და მათთან ერთად დამეწყო საქმიანობა. მე უარი ვუთხარი, იმიტომ რომ აქ ყველაფერი კარგად მქონდა. მაშინ ვიყავი მთავარი ინჟინერი. მაგრამ ნელ-ნელა საბაზრო ეკონომიკაზე გადამყავდა წარმოება. ამერიკაშიც მიმინვიეს. თეთრ სახლში პრეზიდენტის მიწვევით ვარ ნამყოფი... მერე მომიწია წასვლა, რადგან ეროვნული მოძრაობის ზოგიერთ წარმომადგენელს ძალიან მდიდარი ვეგონე. სამჯერ მომტაცეს შვილი. გავყიდე ყველაფერი და მოსკოვში წავედი. მართალია, უფროსი ბიჭი გაიტაცეს, მაგრამ რაც მაშინ ჩემს ოჯახში ხდებოდა, ჩემი უმცროსი ვაჟის ჯანმრთელობაზე აისახა – ლეიკემია დაემართა. სუიციდს 4-ჯერ მყავს გადარჩენილი, ფანჯრიდან ხტებოდა. უფრო ადრე კი ჩემს ოჯახში სხვა ტრაგედია დატრიალდა, გარდამეცვალა 6 წლის გოგონა...

– თქვენი კომუნიკაცია ბადრი პატარკაციშვილთან მაუდის კომბინატთან დაკავშირებით როდის მოხდა?

– როდესაც მეორედ ჩამოვედი, მივხვდი, რომ ინვესტიცია იყო საჭირო. რაკი ვიცოდი, რომ ბადრიც აპირებდა საქართველოში დაბრუნებას, შევთავაზე, ეს კომბინატი მრავალდარგობრივ საწარმოდ გადაგვეკეთებინა. ასე თუ მოვიქცეოდით 8 ათასი ადამიანის დასაქმებას შევძლებდით. ბადრისაც გაუხარდა ეს წინადადება, რადგან მოსკოვში აღარ დაედგომებოდა. აქ უნდოდა ისეთი რამის დაწყება, რომელიც კარგად გამოაჩენდა და ყველასთვის მისაღები იქნებოდა. მაშინ ამერიკულ ბანკში, „ამრო ბანკში“ მუშაობდა ლადო გურგენიძე და ნიკა ენუქიძე. გავაკეთეთ უნიკალური ბიზნესგეგმა, რომლის განხორციელებაც 11 მილიონი ამერიკული დოლარი ჯდებოდა. პრეზიდენტის ბრძანება 121-ით რესტრუქტურიზაცია გავუკეთე ვალებს. ვალები ჯერ 2003 წლამდე გადავიტანე და მერე 2005 წლამდეც გაგვიგრძელეს. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ, როცა ინვესტიცია შემოვიდოდა, ეს თანხა ვალების გასტუმრებას კი არ მოხმარებოდა, ხელფასები დაგვერიგებინა და საწარმოს ასამუშავებლად დანადგარები შეგვეძინა... ერთი თვე ვიჯექი ფინანსთა სამინისტროში. მაგრამ ამასობაში, პატარკაციშვილმა მოთხოვნა წამოაყენა – საინვესტიციო კონკურსის წესით მომეცით წარმოება და ხალხს დაგისაქმებთ, პროფილსაც შევინარჩუნებთო. ეს იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფოს მისთვის სიმბოლურ ფასად, 1 ლარად უნდა მიეცა ქონება. საინვესტიციო კონკურსის პირობების თანახმად, წარმოებას გაძლევენ 5 წლით და ამ 5 წელიწადში უნდა შეასრულო ბიზნესგეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები. მხოლოდ ვალდებულებების შესრულების შემდეგ გეძლევა აქციების განკარგვის უფლება. მიმონურებს ბადრი აწარმოებდა, „ლოგოვაზის“ სახელით. საბოლოო ჯამში, შეთანხმდნენ, რომ 11-მილიონიან ინვესტიციას ასე მიიღებდა სახელმწიფო – ბადრი 6 მილიონს ჩადებდა დანადგარებისა და ვალების გასასტუმრებლად, ხოლო 5 მილიონს თავისი უძრავი ქონების საშუალებით აიღებდა კრედიტს და იმას შემოიტანდა. ეს იყო ბიზნესმენის სწორი მიდგომა. როგორც უკვე გითხარით, წარმოება რომ ამოქმედებულიყო, მატყლის სამრეცხაო იყო საჭირო. წავედი, ვიყიდე მატყლის სამრეცხაო და ერთი წარმოება გავუშვი. მერე ტრიკოტაჟის წარმოება გავუშვი. წავედი გერმანიაში და მსოფლიოში საუკეთესო საკერავი მანქანები ვიყიდე. დაახლოებით 600 ათასი დოლარის. ჩამოვიტანე და ის წარმოებაც გავუშვი. ფაქტობრივად, დარგი გადავარჩინე და ამისთვის ღირსების ორდენითაც დამაჯილდოვეს. საჭირო იყო დანადგარების შეცვლაც. ამ დროს ქუთაისში ერთ-ერთი ძლიერი საფეიქრო საწარმო იყო, სადაც 90 წელში შემოვიდა უნიკალური საფეიქრო დანადგარები, რომელიც ამ რევოლუციის შემდეგ ეგრევე შეფუთული დარჩა. ეს დაახლოებით 6 000 000$ ღირებულების იყო. ბადრის შევუთანხმდი, ქუთაისელებთან გავაკეთოთ კოოპერირება, შევისყიდოთ ეს დაზგები. ამ ფულს ისინი სახლში არ წაიღებენ, გამოიყენებენ საბრუნავი საშუალებების შესავსებად. ამით ისინიც ცოცხლდებოდნენ და ჩვენც. იმათ კიდევ ჰქონდათ მართლაც უნიკალური ფასონური საგრეხი მანქანები. იქიდან გამოშვებულ ძაფსაც გამოვიყენებდით ჩვენ ქსოვილებში. თუმცა, ეს არ ჰყოფნიდა საქმის გამოსწორებას. წავედი იტალიაში და ხელშეკრულება დავდე „ბიესელ“-თან, რომ ჩვენი გამოშვებული ქსოვილი იქნებოდა საერთო სახელწოდების. თურქეთში ძალიან თანამედროვე ჩანთები გავაკეთებინე პლედებისთვის... ერთი სიტყვით, მაუდი ამუშავდა, თუშური მატყლის დამუშავება დავიწყეთ. პლედები გამოვიდა არაჩვეულებრივი. ავსტრალიიდანაც შემოვიტანე 300 ათასი დოლარის მატყლი. მაგრამ ვასაწყობებდი... 2001 წლამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვალებიც გავისტუმრეთ, მათ შორის, ნახილობრივ საბიუჯეტო ვალიც. ამასობაში კი ვიღაცამ ჩააგონა ბადრის, რას ველოდოთ 2003 წელს, ახლავე დავაყენოთ საკითხი განკარგვის უფლების გადმოცემაზეო. პარალელურად ჩნდებიან ვიღაც თურქი ბიზნესმენები, რომლებსაც გამოუთქვამთ სურვილი, რომ ამ კომბინატს 50 მილიონ დოლარად იყიდიან. ამ ხაფანგში მოექცა უკვე ბადრი. როცა ამის შესახებ მითხრა, ვუპასუხე, აქ ვარ გაზრდილი, მე აქ მომიყვანა კოლექტივმა და პრეზიდენტმა. გაყიდვა, რომ ნდომოდათ, ამას ომარ თეთრაშვილის გარეშეც კარგად მოახერხებდნენ-თქო. წერილიც მივწერე, ბადრი, იცოდე ეს დიდი თაღლითობა ამოტივტივდება, როცა იქნებამეთქი. ამ ნერვიულობაზე თათბირზე გულმა დამარტყა. პირველი ინფარქტი მივიღე. ისრაელში გადამიყვანეს, შუნტირება გამიკეთეს, სპირალები ჩამისვეს. ორ კვირაში ავდექი და ნამოვედი უკან. მინდოდა, რომ საქმე არ შეფერხებულიყო. მეუბნებიან, მოდი, დავაყენოთ განკარგვის საკითხი, რომ კომბინატი გადმოგვეცესო. უარს ვამბობდი – როცა 1000 კაცს შემოვიყვან აქ და დავასაქმებ, მაშინ მოვაწერ მაგ წერილს ხელს-მეთქი. მე პირობა მქონდა, რომ 1000 კაცი უნდა დამესაქმებინა. რამდენიმე წლის შემდეგ შევიტყვე, რომ იმ დროს, როდესაც მე ამაზე უარს ვამბობდი, პრეზიდენტთან გაიგზავნა წერილი ჩემი გაყალბებული ხელმოწერით, სადაც თითქოს ვამბობ, ვალდებულებების უმეტესობა შესრულებულია და ვითხოვ განკარგვის წესით გადმოცემას საწარმოსი.

– ანუ სქემა ასეთი იყო: განკარგვის წესით როგორც კი გადავიდოდა საწარმო, ის მაშინვე გაიყიდებოდა?

– დიახ. მიუხედავად ამ გაყალბებისა, არ გამოუვიდათ ეს საქმე, რადგან უარი მიიღეს. ბადრიმ არც ქუთაისის საწარმოსთან კოოპერირების საკითხი გადამიწყვიტა. ამიტომ, წერილი მიწერე, მივდივარ, აღარ შემიძლია-მეთქი. წავედი კიდეც. 2003 წელს გადავიდა აქციები ბადრის ხელში. ჩემი დასაწყობებული ნედლეული წარმოებაში გაუშვეს, ჩამოცალეს, მერე რაღა უნდა ექნათ და გაჩერდნენ. ადგნენ და 1400 ტექნოლოგიური დანადგარი გაყიდეს. გადარჩა მხოლოდ სამკერვალო და დღესაც ჩემი დაშვებული 85 კაცი მუშაობს იქ. დანარჩენი ყველაფერი გაყიდეს. ირანელები ჩამოვიდნენ, თვითონ ტიროდნენ, საქართველოში რა გაქვთ ამაზე უკეთესიო. ახლა გავიგე, რომ რუსთავში აპირებენ საფეიქრო საწარმოს გაკეთებას. ზოგი ამ სანარმოს ზერელედ უყურებს. არადა ყველა სახელმწიფოს აქვს ის, სადაც ჯარია, მესაზღვრეებია, ჯანდაცვაა, სასტუმროები... საქართველომ კი თურქეთი გაამდიდრა. ამ კომბინატს ჰქონდა დასასვენებელი სახლი კიკეთში, ქობულეთში, საუკეთესო საბავშვო ბაღი. ამის გარდა, თორმეტ და ხუთსართულიანი საერთო საცხოვრებლები. ჩემი ხელმძღვანელობის დროს მუშებს უსასყიდლოდ

„შევხვდი ღარიბაშვილს – ძებნაში ვარ და დამიჭირეთ-მეთქი...“



საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

№ 268 2001 წლის 7 აპრილი ქ. თბილისი

ო. თეთრაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების

შესახებ

მსუბუქი მრეწველობის საწარმოში სრული ტექნოლოგიური ციკლის შეკვრა-დანერგვაში, წარმოების უახლესი ტექნიკით აღჭურვასა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი ორგანიზატორული საქმიანობისათვის თბილისის საავტიო საზოგადოება „მაუდის“ გენერალური დირექტორი ომარ თეთრაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ღლიმოგა ამოტივტივდება!“

აკრძალული პირველი ჩვენება ძებნილი ბიზნესმენისგან პირველად „პრაიმტაიმში“

„ამასოგაში, პატარკაციშვილმა მოთხოვნა წამოაყენა – საინვესტიციო კონკურსის წესით მომეცით წარმოება და ხალხს დაგისაქმებთ, პროფილსაც შევინარჩუნებთო. ეს იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფოს მისთვის სიმბოლურ ფასად, 1 ლარად უნდა მიეცა ქონება...“

„ავდექი, დავადე თავი და წავედი პირდაპირ პროკურატურაში. დამადეს კიდეც ბორკილები“

მიეცათ იქ საცხოვრებელი ბინები. ჩემი წამოსვლის შემდეგ საბავშვო ბაღიც გაიყიდა, პოლიციამ წაიღო, კიკეთისა და ქობულეთის დასასვენებელი სახლები. ვინ წაიღო, არ ვიცი, გაიყიდა 800-კაციანი კლუბი, სადაც დაპროექტებული მქონდა ბოულინგ-ცენტრი და გასართობი ცენტრი. ამის გარდა, „ვითიბი ბანკს“ შევუთანხმდი, რომ იქ ფილიალი უნდა გახსნილიყო. ვხსნიდი სასტუმროს სტილის ბიზნესცენტრსაც. გამოვათავისუფლე 20 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. მინდოდა, დიღომში მანქანების ბაზრობა რომ იყო, აქ გადმოსულიყო, შეთანხმებული ვიყავი დიდი სუპერმარკეტების ქსელთან „რამ სთორისთან“, რომ ჩვენთან შემოსულიყვნენ. არ მინდა დაგრჩეთ შთაბეჭდილება, თითქოს ქვეყანას მე ვატრიალებდი. აქ ერთი რამ იყო: მივატოვე ყველაფერი და წავედი საქართველოდან. დავიწყე ცხოვრება ისევ ნულიდან. რომ ნახეს, თავისუფალი ვიყავი, მაშინვე პეტერბურგში უზარმაზარი კორპორაციის გენერალურ დირექტორად დამნიშნეს, სადაც 125 ათასი კაცი მუშაობს. ჩემი მოადგილე იყო ვიცე-მერი. ამასობაში სააკაშვილი და ბადრი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სააკაშვილმა ფინანსური პოლიცია შეუშვა კომბინატში და ატყდა ალიაქოთი. ამოტივტივდა თაღლითური პრივატიზაცია და გადაწყვიტეს, ხელი ვინმეზე შეეწმინდათ. რაკი მე იქ არ ვიყავი, ბუნებრივია, ამ სუბიექტად მე მომიაზრეს, ვინაიდან მე მქონდა ბადრის მინდობილობა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ შეიქმნა ის გაყალბებული წერილი პრეზიდენტისადმი, სადაც ჩემს ნაცვლად სხვამ მოაწერა ხელი, რითაც უნდოდათ, დაედასტურებინათ, რომ თაღლითი მე ვიყავი, ვინაიდან 2001 წელში მინდოდა სახელმწიფო ქონების დატაცება. არადა, ახლა კალიგრაფიულ ექსპერტიზაზე შევიტანე ეს ხელმოწერა. უკვე აქვთ დასკვნა. ამის შესახებ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან უკვე მაცნობეს. ტელეფონით ისიც მითხრეს, რომ გაყალბება დაადასტურეს. თუმცა, ეს სრულიად ახალი ამბავია და ჯერჯერობით დოკუმენტს ვერ წარმოგიდგენთ... ერთი სიტყვით, სრულიად შემთხვევით გავიგე პეტერბურგში, რომ საქართველოში ჩემთან დაკავშირებით რაღაც საუბრები მიდის. არადა, ამ ყველაფერს პატარკაციშვილიც და მაშინდელი ხელისუფლებაც მალავდა. სასამართლოც ისე ჩაატარეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობაც ისე შემიფარდეს, რომ საქმის კურსში არ ვიყავი. არადა, როდესაც გავიგე, რომ ბადრი ასეთ რთულ სიტუაციაში იყო, მის პრესცენტრს დავურეკე, გუგა, ბადრის გადაეცი, რომ მაგის გვერდში ვარ-მეთქი. თუ რამე დახმარება დასჭირდება, ჩამოვალ-მეთქი. მოგვიანებით გუგამ გადმომცა ბადრის სიტყვები, – ომარ, მე შენგან სხვა მოქცევას არც ველოდი, დიდი მადლობა, ყველაფერს მოვერევითო. ეს კი ხდება იმ დროს, როდესაც მე თურმე პასუხისგებაში მიმცეს, რადგან 3 წლის წინათ წასული კაცი თურმე ფარული მესაკუთრე ვყოფილვარ. ჩემი საქმე რომ წაიკითხოთ, ის, რაც 2003-დან 2006 წლამდე ხდებოდა, იქაც თურმე მე ვყოფილვარ დამნაშავე, როდესაც საერთო აღარაფერი აღარ მქონდა იმ საწარმოსთან. ბოლოს და ბოლოს, ჩამოვდივარ და ვეკითხები ყველას – გოგი ჯაოშვილს, დავით კეზერაშვილის მამას, რომელსაც მანამდე ვიცნობდი, რა ხდება-მეთქი. არავინ არაფერი მითხრა. მეც ავდექი, დავადე თავი და წავედი პირდაპირ პროკურატურაში. დამადეს კიდეც ბორკილები.

– იცოდით, რომ წინასწარი პატიმრობა გქონდათ შეფარდებული?

– არ ვიცოდი. უბრალოდ, გაგებული მქონდა, რომ რაღაც საკითხებში მედავებოდნენ. არადა, თურმე ფედერალურ ძებნაზეც ვყოფილვარ გადაცემული, იმ დროს, როდესაც საქართველოში ამასობაში 18-ჯერ მაინც ვარ ჩამოსული. საზღვარზეც არ იყო ჩემი მონაცემები გადაცემული. ჩემი ფეხით ჩამოვედი. მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა.

– პატარკაციშვილი ცოცხალი იყო მაშინ?

– კი. ციხეში რომ ვიყავი, მაშინ გარდაიცვალა... საბრალდებო დასკვნა წავიკითხე. ჩემთვის ჩვენებაც არავის ჩამოურთმევია. ვითხოვდი, ჩვენება ჩამომართვით-მეთქი. მითხრეს, თუ გინდა ცოცხალი გახვიდე აქედან, დაგვიჯერე, გააფორმე საპროცესოო. დავთანხმდი. 10 ათასი ლარი გადავიხადე და ხუთწლიანი პირობითი სასჯელი მომცეს.

– იაფად გამოსულხართ...

– მაგრამ არაფერში მიიღეს ეს თანხა. თქვენთვის რომ დაებრალებინათ ეს ყველაფერი, ზუსტად იგივე იყო, მე რომ დამაბრალეს...

– და ფიქრობთ, რომ თქვენ ციხეში პატარკაციშვილსა და სააკაშვილის ხელისუფლებას შორის მომხდარი გარიგების ფასად აღმოჩნდით?

– დიახ. მაშინ ბადრის ყველაფერი ჩამოართვეს, მაუდი დაუტოვეს... ამის გარდა, ვთქვათ, მე ვიყავი ფარული მესაკუთრე და მოვახდინე ტყუილი პრივატიზაცია, ვინც აქციების მფლობელია, ის ერთხელ მაინც არ უნდა დაეკითხათ?

– ბადრი პატარკაციშვილი არ იყო დაკითხული?

– არ იყო დაკითხული. სასამართლოზე არც ერთი ის მუშა არ მოვიდა, რომელიც ჩემს წინააღმდეგ ჩვენებას იძლეოდა. გაირკვა, რომ ამ მუშებისთვის უთქვამთ ბადრი კომპენსაციით აგინაზღაურებთ, თუ ჩვენებას მისცემთო...

– ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისევ იმ კორპორაციაში დაბრუნდით?

– იქ როგორ გამაჩერებდნენ? გამიტყდა სახელი, რაკი დაჭერილი ვიყავი... სამაგიეროდ, გადამიყვანეს მოსკოვში, საცხოვრებელი მომცეს, მანქანა მომცეს, მრჩევლად დამნიშნეს ერთ-ერთ დიდ კორპორაციაში, რომელიც სამშენებლო და მეტალურგიულ ქარხნებს აერთიანებდა. ერთხელაც, როსტოვში ვიყავი მივლინებაში. ყველა საქმეს რომ მოვრჩით, მძღოლს ვუთხარი, თუ არ გეძინება, მოსკოვში დავბრუნდეთ-მეთქი. დილის ხუთ საათზე მოსკოვის შესასვლელში გვაჩერებენ. ჩემი საბუთები რომ მივეცი, გადმობრძანდითო და ისევ ბორკილები დამადეს. აღმოჩნდა, რომ ძებნაში მეორედ ვიყავი გამოცხადებული. საბოლოოდ მეგობრები ჩაერევნენ და გამომიშვეს. საზღვარზე გადმომაცილეს, გადავფრინდი ისრაელში და მერე თურქეთში, სადაც წარმომადგენლობა გვქონდა, რათა იქ გამეგრძელებინა მუშაობა. ერთ შაბათ-კვირას ოჯახის მოსანახულებლად გადავწყვიტე წასვლა. ჩავფრინდი თუ არა ისრაელში, ისევ დამარტყა გულმა. სამი ძუნტირება გამიკეთეს. ამის შედეგად ღვიძლმა დაიწყო დაშლა, ღვიძლის ოპერაცია გამიკეთეს... გადაეცა თირკმელს და თირკმლის ოპერაციაც გამიკეთეს. ფაქტობრივად, ჯოჯოხეთს ვეწიე ჩემი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ.

– ახლაც ძებნაში ხართ?

– დიახ... 2013 წელს, საავადმყოფოდან რომ გამოვედი, კბილაშვილს მივწერე წერილი, თავიდან დაიწყეთ გამოძიება, არ ვარ დამნაშავე, ერთ დანაშაულს მაინც თუ დაადასტურებთ, დამალპეთ ციხეში-მეთქი. შევხვდი ღარიბაშვილს – ძებნაში ვარ და დამიჭირეთ-მეთქი... სხვათა შორის, იმ პირველი ხელშეკრულების შემდეგ, რაც ქონების მართვის სამინისტროსა და ინვესტორს შორის დაიდო 1998 წელს, 2006 წელს მათ კიდევ დადეს მეორე ხელშეკრულება, ოღონდ ამჯერად რომელიღაც ამერიკული კომპანიის სახელით. რეალურად კი მის უკან პატარკაციშვილი იდგა. ეს ხელშეკრულება 30 მილიონ დოლარზე დაიდო. კანონით, თუ პირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ ასრულებ, ჯარიმის სახით, ინვესტიციის 10 პროცენტი უნდა გადაიხადო. ეს მეორე ხელშეკრულება დროის გასაყვანად დაიდო, თორემ 30 ლარი არ არის ბიუჯეტში შეტანილი. ამ ხელშეკრულებაში ეკონომიკის სამინისტროს პირობა ჰქონდა ჩადებული, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში 40 პროცენტი უნდა გადაეხადათ ჯარიმის სახით. ანუ, ფაქტობრივად, პირველ და მეორე ხელშეკრულებებზე პატარკაციშვილების ოჯახს 13 მილიონი აქვს ჯარიმის სახით გადასახდელი. ამის მიუხედავად მერე უკვე სააკაშვილის ხელისუფლებასთან იდება მესამე ხელშეკრულება, ცნობილი მემორანდუმი, სადაც უკვე პატარკაციშვილებს საერთოდ ჩუქნიან ამ ქონებას სხვა რაღაცების საფუძველზე. მემორანდუმის გაფორმებისთანავე, ესენი მირბიან, საქართველოს ბანკში ამ საწარმოს უზრუნველყოფად დებენ და 10 მილიონ 200 ათასს იღებენ. თანაც არაფერს აკეთებენ, ჯიბეში იდებენ ამ ფულს. ასე თქვენთვის რომ მოეცა სახელმწიფოს ეს კომბინატი, თქვენც შეგეძლოთ ჩაგედოთ იპოთეკაში, აგეღოთ 10 მილიონი და თუ ამ თანხას ვერ გადაიხდიდით დაკარგავდით იმ ქონებას, რაც ისედაც არ გქონიათ. სამაგიეროდ ფული შეგრჩებოდათ... ამ დროს კი საწყალ მუშებს მეათედ შეაქვთ სარჩელი სასამართლოში კომპენსაციის მისაღებად.

– ახლა თბილისიდან ვერ გადიხართ?

– როგორ გავალ, ძებნაში ვარ. ოჯახი არ მინახავს, რა ხანია.

– ძებნაში ხართ და პრემიერ-მინისტრს ხვდებით?

– დიახ, შევხვდი. მან მასალები იურიდიულ დეპარტამენტს გადასცა. პროკურატურაშიც შევიტანე განცხადება.

– ვინმემ განგიმარტათ, რატომ ხართ ახლა ძებნაში?

– არავინ. ამათი სასამართლო დადგენილებით იცით, რა გამოდის? – რომ მე მოვატყუე მრენველობის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ქონების მართვის სამინისტრო, პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი. ეს თუ ასეა, თავი სად გამოეყოფა ამ ქვეყანას? ჯეიმს ბონდი ვარ თუ შტირლიცი, რომ ამდენი სახელმწიფო სტრუქტურა მოვატყუე, მერე ქონება წავართვი და პლუს ღირსების ორდენიც მომაკრეს შუბლზე? არ რცხვენიათ? თავმოყვარეობა დაკარგეს? მართლაც ასე რომ იყოს, პირიქით, უნდა მეძებნენ და მთხოვდნენ, არსად გავამხილო, რომ ამ ქვეყანას თავი არ მოეჭრას... ჩემი ერთადერთი მიზანი კი სიმართლის დამტკიცებაა. ისედაც ორი დღე დამრჩენია და არ მინდა ჩემს ოჯახს ეს იმიჯი ტვირთად აწვეს.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მიხეილ სააკაშვილს შესა

ხათუნა მგალობლიშვილი

დავით კარტოზია: „ლაზიკის თემის გარდა, იმდენი დანაშაული აქვს სააკაშვილს ჩადენილი, რომ სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს“

ყოფილ პრეზიდენტს შესაძლოა, ბრალი კიდევ ერთი დანაშაულის გამო დაუმძიმდეს. საქმე 2010 წელს ნაციონალების ხელმძღვანელობის მიერ მოპარულ პროექტს ეხება. „ლაზიკის“ ისტორია გახმაურებულია, თუმცა მის დეტალებზე პროექტის ავტორები სწორედ ახლა ალაპარაკდნენ.

ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, დავით კარტოზია და მისი ბიზნესპარტნიორი ენდრიუ მურდზა პირველად სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებს 2010 წლის 16 დეკემბერს შეხვდნენ. შეხვედრა საქმიანი წინადადებით იყო განპირობებული და ის კოლხეთის დაბლობში მდებარე ჭაობიან ტერიტორიას ეხებოდა. ბიზნესპროექტის მიხედვით აუთვისებელ ადგილას ქალაქი უნდა გაშენებულიყო. პროექტის ფარგლებში ქალაქის სახელიც უკვე ჩაწერილი იყო – ლაზიკა. დაახლოებით 30-ათასიანი დასახლების ძირითად საქმიანობად ხამანწკების მოშენება იყო მითითებული. ბიზნესგათვლა, ბუნებრივია, წინასწარ იყო დეტალურად გაწერილი. ორგანიზატორების განცხადებით, ლაზიკაში ძირითადად დევნილები დასახლდებოდნენ და დასაქმდებოდნენ. ბიზნესპროექტი ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა, დავით კარტოზიამ და ამერიკელმა ბიზნესმენმა, ენდრიუ მურდზამ შეიმუშავეს. როგორც ენდრიუ მურდზა აცხადებს, პროექტზე შვიდი წლის განმავლობაში ორმოცამდე ადამიანი მუშაობდა და ის თერთმეტი მილიონი დოლარი დაჯდა.

დავით კარტოზიამ და მისმა პარტნიორმა საკუთარი იდეა თავდაპირველად ამერიკაში, საქართველოს საელჩოს გააცნეს. კარტოზია იხსენებს, რომ მის მიერ შეთავაზებულ იდეას საელჩოში ინტერესით მოუსმინეს, კითხვებიც დაუსვეს და სწორედ ამის შემდეგ შედგა შეხვედრა უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს მაშინდელ ელჩთან, ბათუ ქუთელიასთან. ქუთელიას პირობა იყო, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება კარტოზიასა და მის ამერიკელ პარტნიორს მსოფლიო ბანკთან უშუამდგომლებდნენ. ამის შემდეგ პროექტი ნიკოლოზ რევაზიშვილს გადაეცა დაუყოვნებლივ მსოფლიო ბანკში წარსადგენად. ოთხთვიანი ლოდინის შემდეგ ბიზნესმენებმა საკუთარი პროექტის ბედი მოიკითხეს და აღმოჩნდა, რომ „ლაზიკის“ შესახებ მსოფლიო ბანკში არავინ არაფერი იცოდა...

დავით კარტოზიამ და ენდრიუ მურდზამ საკითხის გარკვევა საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან სცადეს. სწორედ ამ მიზნით დაიგეგმა და შედგა შეხვედრები თემურ იაკობაშვილთან, დავით რაქვიაშვილთან, რომელიც იმ დროისთვის ამერიკაში საქართველოს დესპანი იყო, თუმცა გაირკვა, რომ აღნიშნული პროექტი უკვე საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების „ახალი ინიციატივა“ იყო. კარტოზია უკვე დღეს იხსენებს, რომ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ბიზნესპროექტი მოიპარა, თავისი სახელით, თავისი გათვლებით და ის უბრალოდ მასშტაბებში გაზარდა. თუ პროექტის ნამდვილი ავტორები გათვლებს ოცდაათიათასიან ქალაქზე აკეთებდნენ, სააკაშვილის მაშინდელმა ხელისუფლებამ ის დაახლოებით ოცდაათჯერ გაადიდა და ისე შესთავაზა „ინოვაცია“ ქართველ ხალხს.

მთავარი ბრძოლაც სწორედ მაშინ დაიწყო. დავით კარტოზია და მისი ამერიკელი პარტნიორი წლების განმავლობაში ცდილობდნენ სამართლის აღდგენას, ისინი მართავდნენ შეხვედრებს ამერიკაში, სენატორებთან და პირობას დებდნენ რომ სიმართლეს მთელ მსოფლიოს გააგებინებდნენ...

ენდრიუ მურდზა, ამერიკელი ბიზნესმენი: „ხამანწკებზე მსოფლიო ბაზარზე უდიდესი მოთხოვნაა. შავ ზღვას საჭირო მარილიანობა აქვს ხამანწკების მოსაშენებლად. ხამანწკების საკონსერვო წარმოება და ექსპორტი ქვეყანას დიდ ფულს მოუტანდა. ჩვენი პროექტი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისა და მისი მსოფლიო ბაზარზე გატანის გარდა, დევნილი მოსახლეობის დასაქმებასაც ითვალისწინებდა. თითოეული დევნილისთვის უფასო ბინა და კულტურული გარემო იყო გათვალისწინებული, რომელიც მზის ენერგიის ბატარეებით იქნებოდა აღჭურვილი. დევნილები ამ ახალი წამოწყების მეწილეებიც გახდებოდნენ, მათი საშუალო ხელფასი კი 500-600 დოლარი უნდა ყოფილიყო. პროექტზე მუშაობა 7 წლის წინათ დავიწყეთ. 32 კაცი 7 წლის განმავლობაში დღეღამეს ასწორებდა. დაახლოებით 11 მილიონი დოლარი დაიხარჯა. მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ კი ის მოგვპარა. ისეთი სიმდაბლე, რაც თქვენმა მთავრობამ ჩაიდინა, ძნელად წარმოსადგენია. 77 წლის კაცი ვარ, ასეთი არაფერი მინახავს. ბევრი ქვეყნის მთავრობასთან მქონია საქმე, მაგრამ ასეთი შეურაცხყოფა არავის მოუყენებია. ამ დამცირებას არ ჩავყლაპავ. მანამდე ვიბრძოლებ, სანამ არ გავიმარჯვებ. მსოფლიომ უნდა გაიგოს, ვინ მართავდა საქართველოს და გპირდებით, ასეც იქნება. არ შეიძლება ეს გაუგებარი დარჩეს იმ ქვეყნების მთავრობებისთვის, რომლებიც სააკაშვილის მთავრობას „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებენ. ჩვენ გვაქვს კავშირები კონგრესსა და სენატთან. გავაკეთებთ ყველაფერს, რათა მსოფლიოს სააკაშვილის მთავრობის აღვირახსნილობა ვუჩვენოთ“...



„ჩვენ ძალიან მალე გავხდებით იმის მომსწრეები, რომ უკრაინიდან სააკაშვილსა და მისი გუნდის წევრებს საერთოდ გამოყრიან... ეს ინფორმაცია მაქვს უკრაინის პრეზიდენტის უახლოესი წრიდან, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას“

დავით კარტოზია

დანაშაულის გახმაურების შემდეგ, როგორც დავით კარტოზია იხსენებს, სააკაშვილის ხელისუფლებამ მათი მისამართით მუქარის მესიჯების გაგზავნა დაიწყო: „მწერდნენ, როგორ არ გრცხვენია, ასეთ რამეებს რომ აკეთებო, შემდეგ კი საერთოდ მუქარის კასკადი დაიწყო, არ იცი, რა შარში გაყავი თავი, ფრთხილად იყავი, რატომ არ გეშინია, საქართველოში დარჩენილ ნათესავებზე რატომ არ ფიქრობო. მახსენებენ, რომ საქართველოში მყავს დედა, ძმა, მამიდა“...

ენდრიუ მურდზასა და დავით კარტოზიას პირობა, რომ სააკაშვილს საკუთარი იდეის მოპარვას არ შეარჩენდნენ, არ დავიწყებიათ. ისინი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იმედს არ კარგავენ, რომ პროკურატურაც და შესაბამისი უწყებებიც ლაზიკის თემისთვისაც მოიცლიან. კარტოზიას განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ ნაციონალების მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაულის გამოძიება უწევს და სწორედ ამიტომ ხელახალი სარჩელი მათ აღარ შეუტანიათ, ვიცოდით, რომ ეს ისევ საქართველოს დააწვებოდაო...

დავით კარტოზია, ბიზნესმენი:

– ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ხელახალი განცხადებით აღარ მიგვიმართავს პროკურატურისთვის. პროკურატურისთვის მიმართვა და საერთაშორისო სასამართლოებში სირბილი ისევ საქართველოს დააწვებოდა კისერზე. ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, თუმცა მე დავპირდი სააკაშვილს, რომ ამას არ შევარჩენდი და ასეც მოვიქცევი. ჩემ გარდა ამ ნაბიჯით სააკაშვილმა ძალიან ბევრი ამერიკელი მაღალჩინოსანი გააღიზიანა. ლაზიკის საქმე მივიწყებული და გადადებულია სადღაც ორმოცდამეათე უჯრაში, უმრავლესობის ზოგიერთი წევრი, მაგალითად, გია ვოლსკი და კიდევ რამდენიმე ადამიანი ამბობდა, სექტემბერში დავიწყებთ ამ საქმის გამოძიებასო, თუმცა სექტემბრიდან ძალიან დიდი დრო გავიდა და ეს საკითხი არავის გახსენებია. მე ასეც ვიცოდი, რომ ეს მოხდებოდა, სამაგიეროდ გაიტანეს ერგნეთის ბაზრობის საკითხი, რომელიც უშუალოდ გია ვოლსკის კურაციის ქვეშ იყო და არის. მე არ ვიცი, რა დონეზე და როგორ უნდა დავიწყო ლაზიკაზე საუბარი, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ ეს საკითხი არ მიმივიწყებია და მჯერა, რომ, ადრე თუ გვიან, მას გაიხსენებენ.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან საქმიანი ურთიერთობები გაქვთ, თუ დაგისვამთ მათთვის კითხვა ლაზიკაზე, ან რატომ არ იძიებენ, ან რატომ ჭიანურდება ასე?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ძლია, ბრალი დაუმძიმდეს

„მე დავჰირდი საპატიმროს, რომ ამას არ შევარჩენდი და ასეც მოვიქცევი“

EXCLUSIVE

„არ შეიძლება ეს გაუგებარი დარჩეს იმ ქვეყნების მთავრობებისთვის, რომლებიც საპატიმროს მთავრობას „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებენ. ჩვენ გვაქვს კავშირები კონგრესსა და სენატთან. გავაკეთებთ ყველაფერს, რათა მსოფლიოს საპატიმროს მთავრობის აღვირახსნილობა ვუჩვენოთ“...

– არ დაგვისვამს ლაზიკასთან დაკავშირებით კითხვები ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. კიდევ ველოდები სიახლეებს, რადგან მთავრობაში ძალიან ბევრი სიახლე მიმდინარეობს. მე პირადად ამ ცვლილებებს ძალიან პოზიტიურად ვუყურებ. პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის ქმედებებში ძალიან გააზრებულ პოლიტიკას ვხედავ, მე და ჩვენი ჯგუფი სრულად ვენდობით ღარიბაშვილის გუნდს. თუნდაც პროკურორების ჩამოყვანა საზღვარგარეთიდან, ჩვენ ამ საკითხზე თავის დროზე ძალიან დიდხანს ვმუშაობდით და ძალიან პოზიტიურად ვაფასებ დღევანდელი ხელისუფლების ყველა ნაბიჯს.

– თქვენ განაცხადეთ, ასეც ვიცოდი, რომ ლაზიკის საკითხს არ გამოიძიებდნენო, რატომ გქონდათ ასეთი განცდა? თუ ინფორმაციას ფლობდით...

– ინფორმაციებიც მქონდა და საერთოდ, ძალიან ბევრი ინფორმაცია გვაქვს, უფრო მეტი, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. ლაზიკის თემას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ყველამ იცის ჩვენი ბრძოლა საპატიმროს წინააღმდეგ, სამწუხაროდ, საპატიმროს საცეცები ჯერ კიდევ დარჩენილია სხვადასხვა დონეებზე. ეს ადამიანები განსაკუთრებით იბრძვიან და ეწინააღმდეგებიან ლაზიკის თემის გამოძიებას. სწორედ ამიტომ ლაზიკის თემას ყოველთვის ეყოლება მტერი, სანამ „ნაციონალური მოძრაობის“ თუნდაც 1-2% იქნება მთავრობაში.

– იმედი გაქვთ, რომ, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, კოტე კუბლაშვილი შეიცვლება, შემდეგ განახლდება ლაზიკის საკითხიც?

– მარტო კუბლაშვილი არაფერს წყვეტს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იმდენია ჩანერგილი და მსტოვარი „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაში“, რომ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. შეხედეთ, პარლამენტში რა ხდება? მეტი ცოცხალი მაგალითი რაღა ვთქვა?

მე ერთი ჩვეულებრივი ემიგრანტი ვარ, რომელიც არანაირ ძალას არ წარმოვადგენ, უბრალოდ, ისეთ გუნდებთან ვმუშაობ, რომელიც სერიოზული ძალაა. სწორედ ამიტომ ვთქვი დასაწყისშიც და ახლაც გავიმეორებ, რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ ირაკლი ღარიბაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკას. ძალიან დიდი საჭადრაკო დაფაა გაშლილი და ყველა სვლას ვირტუოზულად აკეთებენ. ამიტომ ძალიან გული მწყდება ზოგიერთი ექსპერტის მიერ გაკეთებულ ვითომ შეფასებებსა და მათ სიბეცეზე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა უბედურებასთან და ჭირთან გვქონდა საქმე ნაციონალების სახით, ამის წარმოდგენა მართლაც ძალიან ძნელია. ამას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიხვდებოდით, მათთან პირადი შეხება რომ გექნებოდათ.

– რამდენად შეიძლება რომ საპატიმროს საქმეს სწორედ ლაზიკის თემაც დაემატოს და ამ დანაშაულით დაუმძიმდეს ბრალი?

– ლაზიკის თემის გარდა, იმდენი დანაშაული აქვს საპატიმროს ჩადენილი, რომ სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს. სხვათა შორის, ახლა რასაც საპატიმროს მოქალაქეები აკეთებს, უკვე იქაც ძალიან აღიზიანებს ყველას.

– უკრაინის ხელმძღვანელობას?

– დიახ და ამ ინფორმაციას უშუალოდ პირველი პირისგან ვფლობ. ჩვენი გუნდი უკრაინის მთავრობას ეხმარება ძალიან ბევრი საკითხის გადაწყვეტაში. ჩვენ ეკონომიკური თუ პოლიტიკური მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებასთან.

– თქვენს გუნდში ვის გულისხმობთ?

– ეს ძალიან დიდი თემაა, ჩვენს გუნდში ვის ვგულისხმობ და კომპანიებს, ორგანიზაციებს, როგორიც არის JWI, ასევე სხვადასხვა ლობისტურ კომპანიებს, რომლებშიც პირადად ვმონაწილეობ. ასევე, უკვე შექმნილია ახალი ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ მხოლოდ საქართველოზე იმუშავებს. ამ ორგანიზაციაში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც საქართველოს, მართლმადიდებლების მხარეს არიან.

– შეგიძლიათ კონკრეტული სახელი და გვარი გვითხრათ?

– მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი არის უდიდესი ამერიკელი ადვოკატი რობერტ კელია, ის მზად არის, ჩამოვიდეს საქართველოში და მართლმადიდებლურად მოინათლოს. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ეს ადამიანები სიკეთის მომხრეები არიან. ბევრი ჩვენი მოქალაქე, როცა ამერიკაზეა საუბარი, უარყოფითად არის განწყობილი, მინდა ვუთხრა ყველას, რომ, როგორც საქართველოსა და სხვა ქვეყანაში, ასევე, ამერიკაშიც არიან ძალები, რომლებსაც უხეშად რომ ვთქვათ, თეთრად მოვნათლავთ და არიან ძალები, რომლებსაც შავად ვნათლავთ. აქ, ამერიკაში, თეთრი, ანუ სიკეთისკენ მოწოდებული ძალა ძალიან ბევრია. მაგალითად, ეს ადამიანები საპატიმროსა და მაკკეინის მეგობრობას მანკიერებას უწოდებდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მაკკეინის მხარე საქართველოს ჩამოშორებულიყო. აქეთკენ მიილტვოდა ირაკლი ალასანიაც.

– უკრაინა ახსენეთ და როგორც ცნობილია, ახალ ხელისუფლებას ეკონომიკურ საკითხებში კახა ბენდუქიძე უწევს დახმარებას, თქვენ თუ გაქვთ მასთან შეხება, თუ იცნობთ საერთოდ?

– მე ბენდუქიძესთან არანაირი ტიპის შეხება არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, გარდა საშინელი ანტიპათიისა. გეტყვით, რომ საპატიმროს და მისი გუნდი რაღაცას აკეთებენ უკრაინაში, რაღაცას ფაფხურობენ, მაგრამ ძალიან დიდ გაღიზიანებას იწვევენ იქ. ჩვენ ძალიან მალე გავხდებით იმის მომსწრეები რომ უკრაინიდან საპატიმროსა და მის გუნდის წევრებს საერთოდ გამოყრიან.

– ვისგან გაქვთ ეს ინფორმაცია?

– ეს ინფორმაცია გვაქვს უკრაინის პრეზიდენტის უახლოესი წრიდან, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერთი დღე ქეთი ოდჯ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ონიკიძესთან ერთად

ფოტო: თინა თუთიხანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

სალომე ბაკურაძე მეუღლესთან ერთად

ლიკა ქორქია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

EXCLUSIVE EXCLUSIVE EXCLUSIVE

ფოტო: თინა თუთიასანი

ია ფარულავა

ალეკო ელისაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რაში დასჭირდა ია უძილაურს მკერდის 2 ზომით გაზრდა?

„ვიცი, ახლა ბევრი იფიქრებს, სულაც არ მინდა ვიყო ეგეთიო“

ია უძილაურმა, ცოტა ხნის წინ, პლასტიკური ოპერაციის წყალობით მკერდი გაიდიდა. ბევრისგან განსხვავებით, ია ამ ცვლილებას არ მალავს. როგორც ამბობს, ამის მიზეზი პროფესიული ინტერესია. ამას თვითონ უკეთ ხსნის. მანამდე იას დამაც ზუსტად იგივე მიზეზით მიმართა პლასტიკურ ქირურგს. ამბობს, როცა ცოცხალი „ნიმუში“ გინახავს, ბევრად ადვილად იღებ გადაწყვეტილებასო. მოკლედ, პირველი ქართველი ბოდიბილდერი ქალი „პრაიმტაიმის“ მკითხველს თავისი სხეულის შეცვლილ „ტერიტორიებზე“ უყვება.

ია უძილაური: - გეთანხმებით, ბოლო დროს გარეგნულად შევიცვალე. არ ვიცი რამდენად ძალიან :), მაგრამ ვიცი ამისთვის რამდენი ვიშრომე. ჩემი მიზანი უბრალოდ კარგ ფორმაში ყოფნა არ ყოფილა, როცა სპორტული თვალსაზრისით იდეალურ ე.წ. საშეჯიბრო ფორმაში უნდა იყო, ეს ათჯერ, არა, ასჯერ უფრო რთულია.

- რატომ მოგინდა მკერდის გაზრდა?

- თუ ამ სპორტში მინდა რაიმეს მივაღწიო, ამ ოპერაციის გაკეთება აუცილებელი იყო. როცა მკაცრ სამზადისში ვარ და ცხიმის პროცენტი ძალიან დაბალია, ვერ ავარჩევთ ჩვენი სხეულის ნაწილებს, მაგალითად, ფეხებს, მუცელს, საჯდომს, რომ უცხიმოდ (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცელულიტების გარეშე) მკვრივი იყოს და მკერდი კიდევ იგივე ზომის დარჩეს. იქაც ინვება ცხიმი. მოკლედ, მკერდის გაზრდისას პროფესიული ინტერესები იყო მთავარი მიზეზი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფორმის შეცვლა ისე არ მინდოდა. რომელ ქალს არ უნდა იდეალურად ლამაზი მკერდი?

- რა შეცვალა ამ ოპერაციამ?

- აი, ამაზე დაფიქრების გარეშე შემიძლია გიპასუხოთ, რომ არაფერი. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბევრი დრო და ფინანსები დამეზოგება, რასაც ბიუსტჰალტერების არჩევაში ვხარჯავდი :)

- დამ ადრე გაიკეთე მსგავსი ოპერაცია. მან ხომ არ შეგაგულიანა ამ ოპერაციის გაკეთებისას?

- რა თქმა უნდა, როცა ცოცხალი „ნიმუში“ გინახავს, ბევრად ადვილად იღებ გადაწყვეტილებას. ასეთივე „შეგულიანება“ ვარ მე ბევრისთვის, ვისაც უნდა და ეშინია. თუმცა ისედაც ბევრად მეტი იკეთებს ამ პლასტიკურ ოპერაციას, ვიდრე თქვენ გგონიათ და მეც მეგონა აქამდე. აბსოლუტური უმრავლესობა უბრალოდ მალავს.

- კიდევ აპირებ რაიმეს შეცვლას გარეგნობაში?

- მე ვთვლი, რომ არც აქამდე შემიცვლია ბევრი. ის, რომ ჩემს სხეულს კარგად ვუვლი, არ არის ცვლილება. პირიქით, არაჯანსაღი კვებით ვაკარგვინებთ ხოლმე სხეულს ფორმას და გენეტიკურ სილამაზეს. მინდა ყველას ვუთხრა, რომ მთავარი მონდომებაა და ყველას შეუძლია ის, რაც მე შევძელი. ვიცი, ახლა ბევრი იფიქრებს, სულაც არ მინდა ვიყო ეგეთიო))) მოკლედ, სურვილისამებრ ნაკლებიც და მეტიც. ვარცხნილობას ხშირად ვიცვლი. მე მგონი შემდეგ ჯერზე სულ გადავიპარსავ.

- მოგწონს საკუთარი გარეგნობა?

- მომწონს. მიუხედავად ჩემი საქმიანობისა, არ ვარ „ლუკისტი“(გარეგნობით რომ აფასებენ ყველაფერს). მთავარი გარეგნობა არ არის, მთავარია კმაყოფილები და ბედნიერები ვიყოთ. თუ გარეგნული ცვლილება ამას მოგვცემს, რატომაც არა. მაგრამ მხოლოდ ესაც არაა საკმარისი.

„ბევრი დრო და ფინანსები დამეზოგება, რასაც ბიუსტჰალტერების არჩევაში ვხარჯავდი“

დათუნა სულიკაშვილმა ყაზახეთის მოდის კვირეულისთვის მდიდრული კოლექცია შექმნა

დათუნა სულიკაშვილი ყაზახეთის მოდის კვირეულისთვის ემზადება. ყაზახეთში ქართული მოდის შესვლა დაწყებულია. ქართველი დიზაინერების მაღაზია უკვე გახსნილია და ჯერ მხოლოდ დათუნას და ავთანდილის სამოსი იყიდება. მაღაზიის პრეზენტაცია მოდის კვირეულის ფარგლებში შედგება.

- როგორი კოლექცია მიგაქვს?

- ჩემი კოლექციის ქალი მდიდრულია. გამოვიყენე ტყავი და ბეწვი. ბეწვს კოლექციაში პირველად ვიყენებ - ეს სიასამურის ბეწვია. რაც შეეხება ფერებს - იქნება ნაკლები შავი, და მეტი დოზით ვიყენებ წითელს ჟოლოსფერ გრადაციამდე, ცისფერს, ვერცხლისფერსა და ნაცრისფერს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

გიორგი ბახუტაშვილზე ახალი სერიალის გადაღებას ფიქრობენ

„ჩემი ცოლის დაქალების“ ყველა სეზონს თავისი კოზირი პერსონაჟი ჰყავს. თუ წინა სეზონის ფავორიტი ბარათეონის გმირი იყო, მეხუთე სეზონის აღმოჩენა ცოტნე ცოტაშვილის პერსონაჟია. მსახიობმა გიორგი ბახუტაშვილმა პოპულარობა გამოჩენის დღიდან მოიპოვა. ნიჭიერმა, ქარიზმატულმა და ზომაზე მეტად ემოციურმა მსახიობმა ფორმულა „კრეატივის“ წევრებს ახალი იდეა გაუჩინა. პროდიუსერები ახალი პროდუქტის შექმნაზე ფიქრობენ, თუმცა ჯერ იდეის დონეზე. როგორც გავიგეთ, „ბახუტაზე“ აპირებენ სერიალის მორგებას. ეს მსახიობის გამარჯვებაა. შენზე ააგონ ტელეპროექტი - მართლაც წარმატებაა! ამ სიახლეზე კომენტარის გაკეთება პროდიუსერს, ირაკლი საღინაძეს ვთხოვეთ.

ირაკლი საღინაძე: - ეს ჯერ სურვილის დონეზე საუბარია. „ბახუტა“ იმდენად კარგი მსახიობია, იძლევა იმის საშუალებას, რომ მასზე თუნდაც მთელი პროექტი გამოაბა. თუმცა ჯერ ხუმრობანარევი ნათქვამი იყო, რომელიც სურვილს გამოხატავდა და სერიოზულად არ განხილულა. შეიძლება მომავალში კონკრეტული სახე მიიღოს. ის სიახლე, რომელიც სერიალის ბოლო სეზონში ჩავიფიქრეთ - ბახუტაშვილის და მახარაძის გმირების პერსონაჟებია, რომელმაც გაამართლა მთელი ხაზით, რაც მათ გარშემოა. ახალი შემოიტანა. სასიხარულოა, როდესაც პერიოდულად მესმის - ეს სეზონი საუკეთესო არისო. რახან მეხუთე სეზონზე ამბობენ, რომ საუკეთესოა, ეს გიორგი ბახუტაშვილის დამსახურებაა.

გიორგი ბახუტაშვილი: - მე ყურმოკვრით ვიცი, რომ ახალ პროექტს აპირებენ, ვნახოთ. თუ გაკეთდება, ახალ სეზონზე იქნება. მე ისიც არ ვიცი, „ჩემი ცოლის დაქალების“ მომავალ სეზონში ვიქნები თუ არა. კარგი იქნება, მეტი პასუხისმგებლობაა, მეტი სამუშაო. როგორც მსახიობი, ფორმაში ვიქნები.

- დატვირთული და დამღლელი სამუშაო წლის შემდეგ ისვენებ?

- ცოლთან ერთად არსად ვყოფილვარ. ჯერ ზღვაზე წავალ და მერე მთაში მინდა დასვენება.

ირაკლი საღინაძე: -„ბახუტა“ იმდენად კარგი მსახიობია, იძლევა იმის საშუალებას, რომ მასზე თუნდაც მთელი პროექტი გამოაბა“

გიორგი ბახუტაშვილი: „მეტი პასუხისმგებლობაა. როგორც მსახიობი, ფორმაში ვიქნები“

ანა ალექსიშვილმა ჯერემის ჰოუკზე იქორწინა



„ჯვარს მომავალ წელს საქართველოში დავიწერთ, ქართული ქორწილიც გვექნება“

მუსიკომედიის მსახიობმა ანა ალექსიშვილმა ჯერემის ჰოუკზე იქორწინა. წყვილმა 1 აგვისტოს ხელი გერმანიაში მოაწერა, ქორწილი კი საფრანგეთში ჰქონდათ.

ანა და ჯერემი დანიშნულები იყვნენ. მსახიობმა პირველად საქმროს შესახებ „პრაიმტაიმს“ უამბო.

„მეგობართან ვიყავი ჩასული, შტუტგარდში. ღვინის ფესტივალი იყო. გარემო მოგვეწონა, მუსიკა უკრავდა, გავერთეთ. სამი ბიჭი შემოგვიერთდა. ერთმანეთი გავიცანით. კონტაქტები გავცვალეთ. ათასში ერთხელ მომიკითხავდა ხოლმე. ერთხელაც ვუთხარი, გასტროლზე ვილნიუსში „მაკბეტი“ მიგვაქვს-მეთქი“.

მან სასტუმროში შესულ ანას მისწერა - „ვილნიუსში ვარო“. ანათი მოხიბლული 27 წლის ჰოუკი სპექტაკლს დაესწრო. ანაც მიხვდა, რომ ეს ბიჭი ძალიან მოსწონდა.

27 დეკემბერს ჩაიყვანა საფრანგეთში, სტრასბურგში, სამონასტრო კომპლექსში - მონტე სეინთ ოდელეში. ანა ამბობს, მსგავსი ლამაზი ადგილი მე არ მინახავსო. ჯერემმა თვალებზე შარფი შემოახვია.

„შარფი რომ მომხსნა და ზემოთ ავიხედე, ფეიერვერკებმა გადაფეთქა ცა. ქვევით დავიხედე და სულ ყვავილები და სანთლები იყო. დავიბენი და სანთლებს ჩაქრობა დავუწყე. არასდროს ვყოფილვარ რომანტიკოსი, მაგრამ ამ სილამაზემ გამაოგნა. ხომ არ მეკაიფებიან-მეთქი, კინოგადაღება მეგონა და კამერას დავუწყე ძებნა. ცოლად გამომყევიო - მუხლმოყრით იდგა ბილიკის ბოლოს და პასუხს ელოდა და მე რომ დაბნეულობისგან არაფერი ვუთხარი, მოიწყინა. ხელში ბეჭედი ეჭირა. როგორც ამერიკულ მელოდრამებშია, ისე. ვერც წარმოვიდგენდი გერმანელისგან ასე უცებ, ამგვარ სერიოზულ ნაბიჯს, ათი წელია ცხოვრობენ ერთად და მერე სთხოვენ ხოლმე ხელს“.

როგორც ანამ გვითხრა, წინ კიდევ ქართული ქორწილია.

ანა ალექსიშვილი: - ჩემი ოჯახის წევრები ხელის მოწერაზე ვერ ჩამოვიდნენ, დედამ ოპერაცია გაიკეთა. ჯვარს მომავალ წელს საქართველოში დავიწერთ, ქართული ქორწილიც გვექნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

2014 წლის გამარჯვე



my View
თამარ გონგაძე

ნუცა ბუზალაძე მესამე ქართველია, ვინც „ახალ ტალღაზე“ გვასახელა. ბევრს 2008 წელს დუეტ „ჯორჯიას“ გამარჯვებას მოყოლილი ომის ასოციაცია გაუჩნდა. გავიმარჯვეთ, მაგრამ ჯვარი გვეწეროსო... აღარ გვინდა ომი, ღმერთმა გვაშოროს. გამარჯვება კი ნამდვილად კარგი შეგრძნებაა. აწეული ქართული დროშის ფრიალს სულ სხვა ჟრჟოლა და სიამაყის განცდა მოაქვს, სადაც არ უნდა იყოს. 17 წლის ქარიზმატულ და არტისტულ ქართველ კონკურსანტს ზოგი ჯეისი ჯეის ადარებდა, ზოგიც ტონი ბრექსტონს. მაღალი ქულებიც სრულიად დამსახურებულად მიიღო. შარშან თუ ტოტო კუტუნიო გვიწერდა დაბალ ქულებს, წელს ამ სიაში ფილიპ კირკოროვი შევიდა, რომელსაც დავით ბუხრიკიძემ „მწუხარე სახის კონჩიტა“ უწოდა. როგორც ნუცამ გვითხრა, მისთვის კირკოროვს გამარჯვება არც კი მიულოცია. ეგ არაფერი. იმან გამაცა, ფულადი პრიზიდან ამხელა პროცენტი რომ ჩამოაჭრეს მოგებულს. მით უმეტეს ბავშვს ბინის ყიდვა უნდა...

„ყველანაირად შევიცვალე“

ნუცა ბუზალაძე: - ბინის ყიდვა მინდა. ქირით ვცხოვრობ და საკუთარი სახლის ყიდვის მშვენიერი შესაძლებლობა მომეცა. როგორც მოგეხსენებათ, მოგებული 50 ათასი ევროდან ლატვიის ბანკს თავისი პროცენტი - 12 ათასი ევრო მიაქვს. 38 ათასი ევრო გადმომცეს. ეს თანხა კიდევ იყოფა პროდიუსერზე, კახა მამულაშვილზე. იმედია, მეყოფა ბინის საყიდლად. კომპანია „გალფმა“ 10 ათასი დოლარი გადმომცა.

- რა ხდებოდა ახალი ტალღის კულისებში? ვინ გაიცანი, ვინ მოგილოცა, როგორ შეხვდნენ შენ გამარჯვებას?

- ავთერფართიზე ბევრი მომღერალი გავიცანი, ბევრმა მომილოცა. ვგრძნობდი, რომ თითქმის ყველა კეთილგანწყობილი იყო და მგულშემატკივრობდა. გაუხარდათ ჩემი გამარჯვება. ისეთი ხალხი მოდიოდა, მილოცავდა და ფოტოებს

ნუცა ბუზალაძე: „წასვლის წინ პატრიარქმა დამლოცა. ეს დიდი ძალაა. მას ვგრძნობდი და მაძლიერებდა“

ნინო ჯოწენიძე: „ბინა სტივ ტაილერმა მომაგებინა. ვგიჟდები ამ კაცზე ისე მიყვარს“

იღებდნენ, მე იქით ვუხდიდი ამ ყურადღებისთვის მადლობას.

- კირკოროვმა მოგილოცა?

- კირკოროვს არ მოულოცავს. სამაგიეროდ კრუტოიმ მომილოცა. ლუბა უსპენსკაია ყველაზე მეტად მგულშემატკივრობდა. ინსტაგრამზე დაწერა კიდეც, ნუცას ვგულშემატკივრობ, გამარჯვებული არისო. მომილოცა გალკინმა, მაისეევმა. გამორჩეულად მგულშემატკივრობდა ბასკოვი. ყველაზე თბილად ვალერი მელაძემ მომილოცა. გამოვყოფდი სოსო პავლიაშვილს.

- გამარჯვებულმა ტექსტი ინგლისურად წარმოთქვი, იქ კი „გისაყვედურეს“ რუსულად თქვიო. რატომ?

- რაც იმ მომენტში მომაფიქრდა, ის ვთქვი. ტექსტი წინასწარ არ მომიმზადებია. რუსულად უაქცენტოდ შემიძლია ლაპარაკი, უბრალოდ, გრამატიკულად გამართულად ვერ ვლაპარაკობ. ამიტომაც ვერიდები რუსულად ლაპარაკს, რომ ვიღაცის დასაცინი არ გავხდე. ინგლისურად კარგად რომ ვილაპარაკე, ამიტომ დაიწყეს - რატომ რუსულად არ თქვიო?! მე რა ენაზეც კომფორტულად ვსაუბრობ, იმ ენაზე ვისაუბრე.

- მაინც ვის თვლიდი ყველაზე დიდ კონკურენტად?



- უკრაინელ კონკურსანტს, სონას, ნოდარ რევიას, ბევრს...

- იურმალაში აკლიმატიზაციას პრობლემა არ მოუტანია? წინა კონკურსანტებს ყელის პრობლემები ექმნებოდათ, მახსოვს.

- მადლობა ღმერთს, გაუთვალისწინებელი არაფერი მომხდარა. წასვლის წინ პატრიარქმა დამლოცა. საჭირო თავდაჯერებისთვის ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ეს დიდი ძალაა. მას ვგრძნობდი და მაძლიერებდა.

- „ახალმა ტალღამ“ რა მოგცა?

- „ახალმა ტალღამ“ ჩემი ცხოვრება სრულიად შეცვალა, სულ სხვანაირი მომღერალი ვარ. ყველანაირად შევიცვალე - როგორც მომღერალი, როგორც არტისტი. ბევრი რამ ვისწავლე. მიხარია, რომ 17 წლის ასაკში ასეთ წარმატებას მივაღწიე. ეს ჩემს კარიერაში მართლა წარმატებაა. იქ დიდი მასტერკლასი გავიარე.

- გადაღლილი ხარ?

- უძილობისგან ვარ გადაღლილი. მინდა კარგად გამოვიძინო. ალბათ, დეიდასთან სტამბულში წავალ.

„ყოველთვის მინდოდა, საკუთარი ბინა მქონოდა“

ნინო ჯოწენიძემ „ერთი-ერთში“ ისეთები ჩაატარა, მაყურებელს კარგახანს რომ გემახსოვრება. თითქმის ყველა მუსიკოსი მაღალ ხარი-

„მოგებული 50 ათასი ევროდან ლატვიის ბანკს თავისი პროცენტი - 12 ათასი ევრო მიაქვს. 38 ათასი ევრო გადმომცეს. ეს თანხა კიდევ იყოფა პროდიუსერზე, კახა მამულაშვილზე. იმედია, მეყოფა ბინის საყიდლად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირინა ონაშვილი: „ძალიან საყვარელი მანქანაა. საბა მყავდა ურეკში წაყვანილი. დიდ გზაზე პირველად ახლა გამოვცადე. მასიამოვნა“

სხში შეასრულა. განსაკუთრებული კი ნინოს თინა თერნერი, სტივ ტაილერი და ლაიზა მინელი იყო. „ჯიდიესის“ ყველაზე წარმატებულ პროექტად ისევ ეს მუსიკალური შოუ რჩება. პირველი „ერთი-ერთის“ გამარჯვებული ელენე კალანდაძეა, მეორის ნინო ძოწენიძე, რომელმაც ბინა მოიგო.

ნინო ძოწენიძე: - 16 წელია თბილისში ვცხოვრობ. ბოლოს უკვე ჩემმა მეუღლემ იყიდა ბინა, რომელიც რემონტდება. თორემ მანამდე წლებია ქირით ვცხოვრობდით. მე არ მქონდა და ყოველთვის მინდოდა, რომ საკუთარი ბინა მქონოდა. ეს გამარჯვება ამიტომ არის ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. როცა შევალ, მერე უფრო ვიგრძნობ და უკეთ გავაცნობიერებ ამ მოგებას. აგვისტოში მთავრდება და მერე უნდა გარემონტდეს. მნიშვნელოვანია ასეთ რთულ პროექტში რომ მიაღწევ გამარჯვებას, გექნება მხარდაჭერა და შეგიყვარებს ხალხი.

- შენ რომელი ნომერი მოგწონს?

- ბოლო ნომერი, სტივ ტაილერის. კაცი იყო და მეც განსაკუთრებულად გარდავისახე. მე ელა ფიცჯერალდიც და ლაიზა მინელიც ძალიან მიყვარს.

- ანუ კაცმა მოგაგებინა შოუ.

- ასე გამოდის :) ბინა სტივ ტაილერმა მომაგებინა. ვგიჟდები ამ კაცზე ისე მიყვარს. შოკში ვიყავი, არ მახსოვს არაფერი. მოულოდნელი იყო. ის წამები არ მახსოვს, გავითიშე.

- რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რომ ამ გამარჯვების სიხარული გადაფაროს?

- „ევროვიზიაზე“ მინდა წასვლა. პოლიტიკური კონკურსია და იქ გამარჯვება წარმოუდგენელია. თუმცა თუ გამიშვეს და წარმატებულად ჩამოვედი, კიდევ უფრო დიდი გამარჯვება იქნება ჩემთვის.

„საყვარელი მანქანაა. ძალიან მასიამოვნა“

ირინა ონაშვილი „ორი ვარსკვლავის“ გამარჯვებულია. დიდი მონდომებით მიუდგა დავალებული საქმის შესრულებას. ეს მის ყველა ნომერს ეტყობოდა. შედეგად „კია ოპტიმას“ მფლობელი გახდა.

ირინა ონაშვილი: - პროექტში ძალიან ბევრი ადამიანი გავიცანი. შევიძინე ახალი მეგობრები. შეკრული გუნდი ვიყავით. ახლა მათ რომ ვერ ვხედავ დისკომფორტი და ამ ადამიანებთან ურთიერთობის დეფიციტი მაქვს. ზაფხულის არდადეგების მერე ვეცდები გავაგრძელო მათთან ურთიერთობა. მე და გიორგი მახარაშვილი „ფეისბუქით“ ვკონტაქტობთ. ვიცი, რომ კარგად არის.

- საჩუქარი როგორ მოიხმარე?

- ძალიან საყვარელი მანქანაა. საბა მყავდა ურეკში წაყვანილი. დიდ გზაზე პირველად ახლა გამოვცადე. ძალიან მასიამოვნა. 18 წლიდან საჭესთან ვზივარ. საბა რომ დამყავს, დინჯად დავდივარ. არ ვარ იმ ასაკში, რომ „ვიხულიგნო“. მოძრაობის წესებს ყოველთვის ვიცავდი. ჯარიმები მიმიღია, მაგრამ ცუდად სიარულის გამო არა, მექანიკური შეცდომის გამო. მაგალითად, სიჩქარის გადაჭარბებაში 100 ლარი გადამიხდია. ვხუმრობ, ერთი ჯარიმის ქვითარი ყოველთვის უნდა მედოს მანქანაში-მეთქი. ახლა ბაკურიანში უნდა წავიყვანო საბა.

„ხალხის მართლა მადლიერი ვარ“

თორნიკე ყიფიანი პირველი „X ფაქტორია“. ეს იყო კონკურსანტი, რომლის გამარჯვებასაც თითქმის ყველა ვარაუდობდა. ბევრი პრიზი ხვდა წილად. ახლა ზის და მოგებული პრიზების გამოყენებას იწყებს. გუდაურის ბინა აჩვენეს, გააფორმა ხელშეკრულება. დეკემბრის ბოლოს მთლიანად მთავრდება მშენებლობა და სახლს ჩააბარებენ. მანქანა გადმოუფორმეს. „ყიფო“ ახლა პარიზში წასასვლელად ემზადება. 21-23 აგვისტოს მეუღლესთან ერთად ფესტივალზე უნდა წავიდეს.

თორნიკე ყიფიანი: - ჯობია, რომ შემოთავაზებებზე ცოტა მერე ვისაუბროთ. „ბრავოსთან“ უნდა ვითანამშრომლო. ალბომის გამოშვება გეგმაშია, ჯერ მასალა დასალაგებელია. ჩემზეა დამოკიდებული როგორ გამოვიყენებ მოგებულ პრიზებს. ვფიქრობ, არ გავაწბილებ არც ოჯახის წევრებს და არც იმ 67 პროცენტს, რომელიც მხარში დამიდგა. კონცერტებისთვის მკვდარი პერიოდია. ხალხი ისვენებს. ოქტომბერში ვფიქრობ დიდი კონცერტის ჩატარებას.

- ისვენებ?

- ჯერ თბილისში ვარ. ელექტრონულ მუსიკას ვაკეთებ. „მაგთის“ პრიზის მეშვეობით ვიძენ აპარატურას. ხალხის მართლა მადლიერი ვარ. მათ გარეშე ისევ ისე ვიქნებოდი, როგორც აქამდე ვცხოვრობდი. ძალიან გახარებული ვარ, მადლობა, მადლობა და მადლობა.

თორნიკე ყიფიანი: „ჩემზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებ მოგებულ პრიზებს. ვფიქრობ, არ გავაწბილებ არც ოჯახის წევრებს და არც იმ 67 პროცენტს, რომელიც მხარში დამიდგა“

მარიამი ვიქტორს ბინას უყოფს?

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეოთხე სეზონის გამარჯვებული ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი გახდა. მარიამმა ბინა მოიგო. დაიწერა, რომ თითქოს ის ბინის გაყოფას თავის მეწყვილესთან აპირებს. მარიამი ზარს არ პასუხობს, თორემ ამ ინფორმაციას უფრო დაწვრილებით მოგაწვდიდით. მისი მეწყვილე, მოსკოვში მცხოვრები ქართველი ვიქტორ ბურჭულაძე, საქართველოში სამი თვით მოწვევით იმყოფებოდა. პროექტის დასრულების დღეს ის მოსკოვში უნდა გაფრენილიყო, აეროპორტში მივიდა, გაიარა რეგისტრაცია, ბარგიც ჩააბარა, მაგრამ ბოლო მომენტში გაფრენა გადაიფიქრა.

„საოცარი ადამიანია, უნდა დაგვმშვიდობებოდა, ამ დროს გული ამიჩუყდა, თვალზე ცრემლები მომადგა, ეს რომ დაინახა გამოგვიცხადა, - აღარ მივდივარო“, - თქვა მარიამმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N30 (280) ორშაბათი, 4 აგვისტო, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ირაკლი საღინაძე:
-„ბახუტა“ იმდენად კარგი მსახიობია, იძლევა იმის საშუალებას, რომ მასზე თუნდაც მთელი პროექტი გამოაბა“

გიორგი exclusive ბახუტაშვილზე ახალი სერიალის გადაღებას ფიქრობენ

ერთი დღე ქეთი ორჯონიკიძესთან ერთად

EXCLUSIVE

EXCLUSIVE

ნუცა ბუზალაძე:
„მოგებული 50 ათასი ევროდან ლატვიის ბანკს თავისი პროცენტი - 12 ათასი ევრო მიაქვს. 38 ათასი ევრო გადმომცეს. ეს თანხა კიდევ იყოფა პროდიუსერზე, კახა მამულაშვილზე. იმედია, მეყოფა ბინის საყიდლად“

exclusive 2014 წლის გამარჯვებული კონკურსანტები

დათუნა სულიკაშვილმა ყაზახეთის მოდის კვირეულისთვის მდიდრული კოლექცია შექმნა

EXCLUSIVE

ISSN 1987-7404

9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება